სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



NATO - საქართველოს ურთიერთობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში: არსებული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

NATO - GEORGIA RELATIONS IN CONTEXT OF NATIONAL SECURITY: EXISTING CHALLENGESAND DEVELOPMENT PERSPECTIVES

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
2021

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

NATO - საქართველოს ურთიერთობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში: არსებული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

NATO - GEORGIA RELATIONS IN CONTEXT OF NATIONAL SECURITY: EXISTING CHALLENGESAND DEVELOPMENT PERSPECTIVES

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

22 ოქტომბერი 2021

კონფერენციის ხარისხიანად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შეიქმნას საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის სარედაქციო კოლეგია (შემდგომში-კოლეგია) შემდეგი შემადგენლობით:

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი	
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი
სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი	
პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
სტილისტი / კომპიუტერული უზრუნველყოფა	
დავით სტეფანიშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების უფროსი სპეციალისტი
სარედაქციო კოლეგიის წევრები	
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი
ალექსი ბურდულაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსი
ნანი არაბული	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
რომეო გალდავა	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი
რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი
შალვა ჯულაყიძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორები
ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი სხირტლაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
მიხეილ შავთვალაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარჩევი

NATO, როგორც ეროვნული უსაფრთოხოების გარანტი და ქვეყნის განვითარების გზა
ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა ადუაშვილი _ 7

ნატოს ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში
მარი გოგალაძე და ნინო კოზმავა _ 12

მცოცავი ოკუპაციის გამოწვევები დღევანდელი საქართველოსთვის და მისი გადაჭრის გზები
ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი _ 18

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური პერსპექტივები, ნატო-ს ბოლო გაფართოვების მაგალითზე
ნიკა თარაშვილი და ამირან შარაშენიძე _ 26

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური კურსი (ისტორია, შედეგები და მიზნები)
გიორგი მხეიძე _ 32

საქართველო-ნატო - პარტნიორობის პოტენციალი და ინსტიტუციების როლი ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში
მაიორი ლაშა ქარდავა _ 37

ნატო-საქართველოს ურთიერთობები ინფორმაციული ომისა და კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევების ფონზე
ვიცე-პოლკოვნიკი ილია ჩანადირი,
ვიცე-პოლკოვნიკი აკაკი გუნჯუა,
მაიორი დავით შალიკიანი და მარიამ ურმაშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 43

„თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ - თეორიიდან პრაქტიკამდე (ნატო-ს შემთხვევის გარჩევა)
ვიცე-პოლკოვნიკი ილია ჩანადირი, თამარ მახარაშვილი,
ვიცე-პოლკოვნიკი აკაკი გუნჯუა და თეოდორე პაპავა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 48

ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, როგორც გამოწვევა ნატო-საქართველოს ურთიერთობებისთვის
ვიცე-პოლკოვნიკი ბიძინა წერეთელი,
მაია ბეჭვაია და დავით ტაბატაძე _ 53

საქართველოს ნატოში ინტეგრაციისა და ეროვნული უსაფრთხოების სამომავლო პერსპექტივები
ნიკოლოზ ხაჩიძე _ 62

ISBN 978-9941-8-4117-0

CONTENT

NATO AS A GUARANTOR OF NATIONAL SECURITY AND THE WAY OF DEVELOPMENT OF COUNTRY
LIEUTENANT COLONEL LASHA ADUASHVILI _ 7

NATO HUMANITARIAN INTERVENTION IN KOSOVO
MARI GOGALADZE AND NINO KOZMAVA _ 12

CHALLENGES OF THE CREEPING OCCUPATION FOR MODERN GEORGIA AND WAYS TO SOLVE THEM
LIEUTENANT COLONEL LEVAN GOZALISHVILI _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 18

GEORGIA'S NORTH ATLANTIC PERSPECTIVES, BY THE EXAMPLE OF NATO'S RECENT ENLARGEMENT
NIKA TARASHVILI, AMIRAN SHARASHENIDZE _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 26

NORTH ATLANTIC COURSE OF GEORGIA (HISTORY, RESULTS AND OBJECTIVES)
GIORGI MKHEIDZE _ 32

NATO-GEORGIA – THE POTENTIAL OF PARTNERSHIP AND THE ROLE OF INSTITUTIONS IN THE PROCESS OF DEMOCRATIC RECONSTRUCTION OF THE COUNTRY
MAJOR LASHA KARDAVA _ 37

NATO-GEORGIA RELATIONS IN THE CONTEXT OF INFORMATION WARFARE AND NEW CYBER SECURITY CHALLENGES
LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI,
LIEUTENANT COLONEL AKAKI GUNJUA,
MAJOR DAVIT SHALIKIANI, MARIAM URMASHVILI _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 43

COLLABORATIVE SECURITY" – FROM THEORY TO PRACTICE (NATO CASE RESOLUTION)
LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI, TAMAR MAKHARASHVILI,
LIEUTENANT COLONEL AKAKI GUNJUA, TEODORE PAPAVA _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 48

RAISING PUBLIC AWARENESS ABOUT EURO ATLANTIC INTEGRATION, AS A CHALLENGE FOR NATO – GEORGIAN RELATIONSHIP
LIEUTENANT COLONEL BIDZINA TSERETELI,
MAIA BECHVAIA, DAVIT TABATADZE _ 53

GEORGIA'S INTEGRATION INTO NATO AND FUTURE PROSPECTS FOR NATIONAL SECURITY
NIKOLOZ KHACHIDZE _ 62

NATO, როგორც ეროვნული უსაფრთოხოების გარანტი და ქვეყნის განვითარების გზა

ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა ადუაშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
უსაფრთხოების კვლევების
სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის მოწყობა. ყურადღება გამახვილებულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობაზე, რომელსაც იყენებს ორივე მხარე. აქცენტირება გაკეთებულია იმაზე, რომ NATO საქართველოს მჭიდრო ურთიერთობის ფონზე რუსეთმა გაზარდა სპეცსამსახურების აქტიურობა და ეფექტურად იყენებს საკუთარ სამხედრო-პოლიტიკურ შესაძლებლობებს საკუთარი მიზნების მისაღწევად. ასევე, ამ კონტექსტში ცალკე საკითხად წარმოდგენილია ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება, რომელის მიზანია, ჩამოაყალიბოს უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს განვითარებას და მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას.

საკვანძო სიტყვები:
ეროვნული უსაფრთხოება; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია NATO; ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე; NATO - საქართველოს სამომავლო ურთიერთობა.

NATO AS A GUARANTOR OF NATIONAL SECURITY AND THE WAY OF DEVELOPMENT OF COUNTRY

LIEUTENANT COLONEL LASHA ADUASHVILI
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
MASTER'S DEGREE PROGRAM IN SECURITY STUDY

ABSTRACT

The paper discusses current issues of national security of Georgia, arrangement of an effective national security system of the country. The focus is on current and future cooperation with the North Atlantic Treaty Organization, which is being used by both parties. Emphasis is placed on the fact that against the background of NATO-Georgia relations, Russia has increased the activity of the special services and is effectively using its military-political capabilities to achieve its goals. Also, in this context, the development of an effective national security system is presented as a separate issue, which aims to establish a security system that ensures the development of the state and the security of its citizens.

KEYWORDS:
National security; North Atlantic Treaty Organization NATO; Intensive dialogue on membership issues; NATO - Georgia's future relations.

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებაა. ალიანსის უმთავრესი ამოცანაა წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან. საქართველო ნატოს კოლექტიური თავდაცვის ერთადერთ ორგანიზაციად განიხილავს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო და სხვა რესურსი, რათა უზრუნველყოს მისი წევრების უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მშვიდობა ევროატლანტიკურ სივრცეში.

1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანამ პროდასავლური კურსი აიღო. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ამიტომ, საქართველომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკურ სივრცეში დაიწყო.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს. აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს განიხილავენ, საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული.

2002 წელს ქ. პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ნატოში გაწევრიანების სურვილი, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

2004 წელს საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. აღნიშნული თანამშრომლობის ინსტრუმენტი წარმოადგენდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. დოკუმენტი ითვალისწინებდა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და მოითხოვდა საქართველოს მთავრობის ერთიან და კოორდინირებულ ძალისხმევას მათი ეფექტიანი განხორციელებისთვის.

2006 წელს ქ. ნიუ-იორკში გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო „ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე“. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის წევრობის კანდიდატის - ასპირანტის ფორმატზე, რაც გულისხმობს ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მისწრაფებას.

ინტენსიური დიალოგი - ეს იყო ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც საქართველოს დაეხმარებოდა, ნატოში გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმების უკეთესად გაცნობაში. ინტენსიური დიალოგის ფორმატში ნატო-საქართველოს შორის მრავალი კონსულტაცია გაიმართა პოლიტიკური, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკური, მეცნიერების, განათლებისა თუ სხვა საკითხებზე.

საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის, მისი მოქალაქეებისა და ინსტიტუტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და პრინციპებით. ნატოს არცერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ არის მითითებული, რომ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები ხელს შეუშლის ნატოში გაწევრიანებას. ერთადერთი სავალდებულო დოკუმენტი, სადაც ნატოში გაწევრების აუცილებელ კრიტერიუმებზეა საუბარი, ალიანსის დამფუძნებელი წესდების ე. წ. ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლია, რომლის მიხედვითაც ნატოს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში. ამ კრიტერიუმებით, საქართველოს შეუძლია გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით.

სინამდვილეში, ნატო მყარად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ალიანსი თვლის რომ, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ნატო მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოდან.

ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება:

საქართველოს მიზანია, ჩამოაყალიბოს უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს განვითარებას და მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას.

საქართველო ისწრაფვის ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრობისკენ, რაც მას საშუალებას მისცემს, მოახდინოს დემოკრატიის კონსოლიდაცია, ასევე განამტკიცოს კეთილდღეობა და ეროვნული უსაფრთხოება. საქართველო იზიარებს პრინციპს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება აირჩიოს ალიანსები, რომელთა წევრობაც სურს და შესაბამისად, მომავალი განვითარების გზაც.

NATO-საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ალიანსის მხრიდან გამოჩენილი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას მოჰყვა 2008 წლის აგვისტოში. ასევე, აქტუალურია თანამშრომლობა სამხედრო სფეროში ალიანსსა და საქართველოს შორის. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად ალიანსი საქართველოში ახორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია არღვევს მის სუვერენიტეტს. ასევე, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რუსეთის ფედერაციის მხრიდან მსგავსი რამ საშიშროებას უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ფედერაციის მეზობელ ყველა სხვა სახელმწიფოს და მთლიანად ევროუსაფრთხოებას.

ნატოს ყოველ სამიტზე ალიანსი ადასტურებს ბუქარესტის სამიტზე აღებულ ვალდებულებას, ოდესღაც საქართველოს აუცილებლად მიიღებენ თავის რიგებში. რუსეთის ყველა მცდელობის მიუხედავად, ორმხრივი თანამშრომლობა მაინც წინ მიიწევს.

ნატოს 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე კი მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, კონკრეტული პრაქტიკული ინიციატივების შემუშავების თაობაზე, რაც აღნიშნული სამიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო.

საქართველო გააგრძელებს კონსტრუქციულ თანამშრომლობას ნატოსთან საერთაშორისო, მრავალმხრივ და ორმხრივ ფორმატებში. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით უაღრესად მნიშველოვანია ნატო საქართველოს თანამშრომობის გაგრძელება, რათა საბოლოოდ გახდეს ჩრდილო ატლანტიკური ალიანისნ სრულუფლებიანი წევრი.

რუსეთიდან მხარდაჭერილი სეპარატისტული მოძრაობები შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, ამან კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის საქართველოდან ფაქტობრივი გამოყოფა და ამ ტერიოტორიებზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის დაკარგვა გამოიწვია. ისინი მუდმივად არღვევენ ადამიანთა უფლებებს. თუ კი ამ პრობლემის დროული გადაჭრა ვერ მოახერხდა, დარღვეულმა ტერორისტულმა მთლიანობამ შესაძლოა საქართველოს როგორც სრულფასოვან სახელმწიფოს შეუქმნას საფრთხე.

განვითარების პერსპექტივები

ნატოს თავის მხრივ, გაფართოება არ შეუწყვეტია. 2009 წელს მას შეუერთდა ხორვატია და ალბანეთი, ხოლო 2017 წელს მონტენეგრო. რუსეთი ამ ბოლო გაფართოებას მშვიდად არ შეხვედრია. რუსულმა სპეცსამსახურებმა მონტენეგროს პრემიერ მინისტრის მოკვლა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაც კი სცადა, მაგრამ ამაოდ. ის რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკა და გაფართოების პროცესი კვლავაც გრძელდება, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სულ მალე ნატოს ახალი, 30-ე წევრი ეყოლება ჩრდილოეთ მაკედონიის სახით. მას შემდეგ რაც ათენსა და სკოპიეს შორის ისტორიული შეთანხმება მოხდა და სახელწოდებასთან დაკავშირებული დავა მოგვარდა, 2019 წლის 6 თებერვალს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში ხელი მოეწერა ალიანსში ჩრდილოეთ მაკედონიის გაწევრების პროტოკოლს. ახლა ნატოში ჩრდილოეთ მაკედონიის გაწევრიანების პროტოკოლის რატიფიცირება ალიანსის თითოეულმა წევრმა უნდა მოახდინოს, რის შემდეგაც, ალიანსს უკვე 30-ე წევრად შეუერთდება. მანამდე კი ჩრდილოეთ მაკედონია ალიანსის საქმიანობაში როგორც მიწვეული წევრი ისე მიიღებს მონაწილეობას. ნატოს ასპირანტი ქვეყანა – საქართველო კი ელის თავის რიგს ალიანსში გასაწევრებლად. სადღეისოდ, იშვიათად, მაგრამ მაინც გაისმის მსჯელობა, ხომ არ იყო შეცდომა ნატოს გაფართოება, მაგრამ ფაქტებს თუ შევხედავთ, ნათელია, რომ შეცდომა იყო გაფართოების შეჩერება. ნატოს წევრ ქვეყნებში მშვიდობაა, ისინი ეკონომიკურად განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნები არიან. სამწუხაროდ, მშვიდობა არ არის უკრაინაში, რომელიც ნატოს წევრი ქვეყანა არ არის. ოკუპირებულია საქართველოს ნაწილი, რომელსაც 2008 წელს უარი ეთქვა გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP). დასავლეთში კი, საღად მოაზროვნე ადამიანები რუსული აგრესიის შემდეგ ალბათ, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ თავის დროზე ნატოს შექმნა, შემდეგ მისი შენარჩუნება და გაფართოება არა მხოლოდ სწორი, არამედ აუცილებელი ნაბიჯი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://bit.ly/3IoVsO3
- https://bit.ly/3dmCfOD pdf
- https://bit.ly/3ppSxvU pdf
- http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2019-04/1555401920_nato-book-2019-1.pdf
- https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan

ნატოს ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში

მარი გოგალაძე და ნინო კოზმავა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალური მეცნიერებები - საერთაშორისო ურთიერთობები
ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინას მხოლოდ უმნიშვნელო მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფოთა პრაქტიკაში; გარდა ამისა, ის ეწინააღმდეგება არსებულ Jus Cogens-ის (საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს), რომლებითაც ძალის გამოყენება იკრძალება. ამ ნორმების ხასიათიდან გამომდინარე, მათი შეცვლისთვის აუცილებელია ამგვარი ახალი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებული და აღიარებული ნორმის შემუშავება.

ინტერვენციის კანონიერება ნებისმიერ შემთხვევაში, ეფუძნება ინტერვენციის მრავალმხრივ ბუნებასა და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას და არა რაიმე განცალკევებულად მდგომ ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლებებს. გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს იძულებითი ხასიათის ჩარევის შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები:
ჰუმანიტარული ინტერვეცია, სახელმწიფო, კანონიერება

NATO HUMANITARIAN INTERVENTION IN KOSOVO

MARI GOGALADZE AND NINO KOZMAVA
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY
SOCIAL SCIENCES – INTERNATIONAL RELATIONS
SUPERVISOR: LEVAN NIKOLEISHVILI
PROFESSOR OF CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

ABSTRACT

The doctrine of humanitarian intervention had only minor support in the practice of states; In addition, it contradicts the existing jus cogens (imperative norms of international law) which prohibit the use of force. Due to the nature of these norms, in order to change them, it is necessary to develop a norm adopted and recognized by the international community of such new states.

The legality of the intervention, in any case, is based on the multifaceted nature of the intervention and the authority conferred by the competent international organization, and not on the rights of any separate humanitarian intervention. UN Secretary-General Kofi Annan raises issue of Security Council consideration of coercive intervention.

KEYWORDS:
Humanitarian intervention, state, legality.

შესავალი

ტერმინი ,,ჰუმანიტარული ინტერვენცია'' გულისხმობს ძალით დამუქრებას ან მის გამოყენებას სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, რათა აიძულონ სხვა სახელმწიფო, პატივი სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს თავისი სუვერენული უფლებამოსილების განხორციელებისას. კლასიკური განმარტების თანახმად, სიტყვა ,,ჰუმანიტარული'' მიანიშნებს, რომ ინტერვენციის მიზანია ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილება ან შეჩერება. 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიღებით მკაცრად შეიზღუდა სამხედრო მოქმედებების ცალმხრივად განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ მაინც ვერ შეაჩერა სახელმწიფოების მიერ ჰუმანიტარული ინტერვენციის ცალმხრივად განხორციელება. მიუხედავად ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების გამართლების მიზნით ,,ჰუმანიტარული ინტერვენციის'' მოშველიებისა , საზოგადოების უმრავლესობა ნაკლებად უჭერს მხარს ამგვარ ინტერვენციებს და უფრო გმობს, ვიდრე იწონებს მათ.

ძირითადი ნაწილი

ჰუმანიტარული ინტერვენცია არასდროს ყოფილა ინკორპორირებული რაიმე უნივერსალურ საერთაშორისო ხელშეკრულებაში; ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინას მხოლოდ უმნიშვნელო მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფოთა პრაქტიკაში; გარდა ამისა, ის ეწინააღმდეგება არსებულ Jus Cogens-ის (საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს), რომლებითაც ძალის გამოყენება იკრძალება. ამ ნორმების ხასიათიდან გამომდინარე, მათი შეცვლისთვის აუცილებელია ამგვარი ახალი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებული და აღიარებული ნორმის შემუშავება.

ინტერვენციის კანონიერება ნებისმიერ შემთხვევაში , ეფუძნება ინტერვენციის მრავალმხრივ ბუნებასა და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას და არა რაიმე განცალკევებულად მდგომ ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლებებს. გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს იძულებითი ხასიათის ჩარევის შესაძლებლობა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა;

2) სამშვიდობო ხასიათის ძალისხმევათა უგულებელყოფა;

3) ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობა, დაიცვას წესრიგი ან მათი თანამონაწილეობა დარღვევებში;

4) სამხედრო ძალის შეზღუდული და პროპორციული გამოყენება, რომელიც მინიმალურად იმოქმედებს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ჰუმანიტარული ინტერვენციის **საერთაშორისო სამართლებრივ** აქტად დასაშვებობას აბრკოლებს როგორც ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრების აკრძალვის პრინციპი, ისე სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ორგანიზაცია ემყარება ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპს; მე2 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით კი, ეს წესდება სრულებითაც არ აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლებას, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად ნებისმიერი სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციას მიეკუთვნება და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისაგან, წარმოადგინონ ასეთი საკითხები ამ წესდების მიხედვით განსახილველად. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც თავად სახელმწიფო მიმართავს სხვა სახელმწიფოს თხოვნით, დაეხმაროს შიდა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის მოგვარებისა და გადაწყვეტაში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს წინააღმდეგობრივი მომენტები საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ჰუმანიტარულ ინტერვენციას შორის, შეიმჩნევა აღნიშნული პრინციპებისა და ჰუმანიტარული ინტერვენციის ურთიერთ თავსებად ინსტიტუტებად წარმოჩენის ტენდენცია, რამაც გამოიწვია დისკუსია ჰუმანიტარული ინტერვენციის ჩვეულებით სამართლებრივ ნორმად განვითარების შესახებ.

ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების წინაპირობები და კრიტერიუმები

ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის თანახმად, ინტერვენციული აქტი უნდა განხორციელდეს შესაბამისი წინაპირობების არსებობისას და იგი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს.

ყველაზე გავრცელებული წინაპირობებია:

ა) ადამიანის უფლებების მასობრივი და უხეში დარღვევების არსებობა;

ბ) საერთაშორისო სამართლით დავის მოგვარების ყველა დასაშვები საშუალების ამოწურვა.

ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ინტერვენცია უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებისათვის;

ბ) ინტერვენცია უნდა იყოს მრავალმხრივი;

გ) ინტერვენცია უნდა იყოს პროპორციული.

ლეგიტიმური ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მთავარი მოთხოვნაა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების არსებობა ან მათთვის საფრთხის შექმნა. მიუხედავად ამისა, ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საფუძვლით შეიძლება ინტერვენცია განხორციელდეს სხვა მიზნებისთვის. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების არსებობისას ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება შეიძლება, თუ დარღვეულია ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება ან ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, და სახეზეა ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა.

ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების ფაქტები აუცილებლად უნდა იყოს დადასტურებული სარწმუნო მტკიცებულებებით. სარწმუნო მტკიცებულება გულისხმობს საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მისი სანდოობისა და უტყუარობის აღიარებას. როგორც წესი, ასეთი მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს დამოუკიდებელი მხარის მიერ, რომელიც კრიზისის შედეგებით დაინტერესებული არ არის. ინფორმაციის სარწმუნო წყარო, უპირველეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა.

ჰუმანიტარულ კატასტროფასთან ერთად აუცილებელია, რომ სახეზე იყოს იმ სახელმწიფოს უმოქმედობა ან მოქმედების შეუძლებლობა, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ადამიანის უფლებების მასობრივი და სასტიკი დარღვევები, ან სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებების უხეშ ხელყოფას. კონკრეტულად რა იგულისხმება ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებში, დადგენილი არ არის. მაგალითად, გენოციდის შესახებ კონვენცია არ განსაზღვრავს, თუ რა მასშტაბებს უნდა მიაღწიოს კონკრეტულად ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა მსხვერპლმა, რომ მოხდეს გენოციდის ფაქტის აღიარება. ამდენად, როგორც ჩანს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტა .

ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მეორე წინაპირობაა საერთაშორისო სამართლით დაშვებული დავის მოგვარების ყველა საშუალების ამოწურვა, რაც ნიშნავს იმას, რომ არაიძულებითი მექანიზმების ამოწურვის შემდეგ ძალის გამოყენება კრიზის დაძლევის ერთადერთ საშუალებად რჩება. არაიძულებით მექანიზმებში იგულისხმება დავის მოგვარების ისეთი მშვიდობიანი საშუალებები, როგორებიცაა: გაფრთხილება, პრევენციული დიპლომატია და სხვა .

ჰუმანიტარული ინტერვენცია შემოფარგლული უნდა იყოს კონკრეტული ამოცანით, რაც გულისხმობს კრიზის დაძლევას ან მის თავიდან აცილებას. ჰუმანიტარული ინტერვენცია მიზნად არ უნდა ისახავდეს ტერიტორიის დაპყრობას, დანაწევრებას ან ხელისუფლების დამხობას.

სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ადამიანის უფლებების დაცვას, როდესაც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე. ამდენად, ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის თანახმად, ინტერვენციის ლეგიტიმურობისთვის აუცილებელია, რომ იგი ხორციელდებოდეს ჰუმანიტარული მიზნებისთვის. ინტერვენცია არ უნდა ისახავდეს მიზნად სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ძირის გამოთხრას და არ უნდა ხორციელდებოდეს ინტერვენტი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე.

ნატოს ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ ჰუმანიტარული ინტერვენცია განახორციელა ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთ პროვინციაში კოსოვოში. კოსოვო ისტორიულად განეკუთვნებოდა სერბეთის ტერიტორიას , ხოლო ბოლო წლების განმავლობაში დასახლებულია ალბანელებით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან კოსოვო სარგებლობდა ავტონომიით და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თვალსაზრისით შედიოდა სერბეთის შემადგენლობაში. იუგოსლავიის დაშლის შემდგომ პერიოდში, კერძოდ 1989 წელს კოსოვოს ავტონომია გაუქმებულ იქნა სერბეთის ხელისუფლების მიერ, რამაც გამოიწვია მძაფრი წინააღმდეგობა ალბანური მოსახლეობისგან რაც მათი აჯანყებით დასრულდა. საპასუხოდ ცენტრალურმა

ხელისუფლებამ მიიღო უმკაცრესი ზომები, გაძლიერდა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც ლტოლვილთა დიდი ნაწილი მიაწყდა მეზობელ ქვეყნებს, რამაც შექმნა ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხე და უდიდესი ეკონომიკური პრობლემები. საერთაშორისო ორგანიზაციების; გაეროს , ეუთოსა და ნატოს მშვიდობიანი ღონისძიებები არავითარ შედეგს არ იძლეოდა.

საკითხის სწრაფი მოგვარების მიზნით ნატოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, დაეწყო კოსოვოში განლაგებული ცენტრალური ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ტექნიკისა და ცოცხალი ძალების დაბომბვა, რათა იძულებული გაეხადათ ისინი, დაეტოვებინათ რეგიონი. ამ საშიშროებამ აიძულა იუგოსლავიის პრეზიდენტი მილოშევიჩი, 1998 წელს დათანხმებულიყო კოსოვოში ეუთოს მეთვალყურეთა მისიისა და სხვა მაკონტროლებელი სტრუქტურების დაბინავებაზე. მაგრამ ვერც ამან შეაჩერა სისხლისმღვრელი წინააღმდეგობა, რომლის მსხვერპლიც მშვიდობიანი მოსახლეობა ხდებოდა. საბოლოოდ, იუგოსლავიამ უარი თქვა, ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის, რომელიც კოსოვოს ავტონომიის აღდგენას ითვალისწინებდა. 1999 წლის მარტში დაიწყო ჯერ კოსოვოს, ხოლო მოგვიანებით მთელი სერბეთის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების დაბომბვა, რაც 78 დღეს გაგრძელდა .

ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის მომხრეები ინტერვენციას კოსოვოში ამართლებენ , სწორედ ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ, რომ ძალის გამოყენება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ არღვევს საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს. ამ საკითხთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმჟამინდელი გენერალური მდივნის მოსაზრება არის შემდეგი , მან მიუთითა, რომ არსებობს 2 მთავარი კითხვა: ერთის მხრივ, რამდენად ლეგიტიმურია ძალის გამოყენება რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაეროს მანდატის გარეშე?, და, მეორე მხრივ, გასაანალიზებელია ის, თუ რამდენად დასაშვებია ადამიანის უფლებების მასობრივი და სისტემატური დარღვევა ?.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ყველა სახელმწიფო არის სუვერენული და საკუთარი საზღვრების ფარგლებში აქვს თავისუფლად მოქმედების უფლება. როდესაც აღნიშნული პრინციპი ირღვევა, ეს იწვევს ქაოსს საერთაშორისო ურთიერთობებში და ძლიერი სახელმწიფოების დომინირებას სუსტ სახელმწიფოებზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეუთო, ნატო, ამერიკის შეერთებული შტატები და ბალკანეთის საკონტაქტო ჯგუფი ცდილობდა, დიპლომატიური საშუალებებით შეეჩერებინათ ძალადობა და მიეღწიათ საერთო პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის .

მაგრამ 1999 წლის მარტში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ჰუმანიტარული კრიზისიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შესაბამისი ზომების მიღება, თუმცა გაეროს უშიშროების საბჭო უუნარო აღმოჩნდა. ამასთანავე, ნატო ითვალისწინებდა იმ ფაქტსაც, რომ გაერომ ვერ შეძლო ბოსნიაში კრიზისის თავიდან აცილება. ამდენად, ალიანსმა გადაწყვიტა, ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება ცალმხრივად მიეღო, ნატოს მიერ კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ არ არის სწორი უშიშროების საბჭოს უუნარობაზე საუბარი მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოში ოფიციალურად კენჭისყრა არ ჩატარებულა აღნიშნული საკითხის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრა ოფიციალურად არ ჩატარებულა, ნათელი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს არაეფექტურობა, რასაც ამყარებს სომალიში, რუანდასა და ბოსნიაში მიმდინარე კრიზისების დროს მის მიერ გამოვლენილი უუნარობა. კოსოვოს ხელმძღვანელობა და ეთნიკური ალბანელები მიესალმნენ ნატოს ინტერვენციას.1999 წლის 2 იანვარს ალბანელმა პოლიტიკოსმა, იბრაჰიმ რუგოვამ, ნატოს ჩარევისა და მშვიდობის უზრუნველყოფისკენ მოუწოდა. რუგოვამ აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეძლებდა კრიზის შეჩერებას კოსოვოში. **შეიძლება ითქვას, რომ ალიანსის ინტერვენცია კოსოვოში შეესაბამება ჰუმანიტარული ინტერვენციის ერთ-ერთ მოთხოვნას, რომელიც გულისხმობს თავად ადამიანის უფლებების დარღვევების შედეგად გამოვლენილ მსხვერპლთა მიერ ინტერვენციის დადებითად შეფასებას.**

ნატოს ჰუმანიტარულ ინტერვენციას კოსოვოში ჰქონდა განსაზღვრული მიზანი, კერძოდ; ძალადობის შეჩერება, სერბეთის სამხედრო ძალების გაყვანა, საერთაშორისო ძალების განლაგება და ლტოლვილების მშვიდობიანი, უპირობო დაბრუნება. რაც შეეხება ინტერვენციის მრავალმხრივობას, სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ინტერვენცია უფრო ეფექტური და ლეგიტიმურია, ვიდრე ინტერვენცია, რომელსაც ერთი ქვეყანა ახორციელებს. კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის შეჩერებისას ნატო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 19 სუვერენულ სახელმწიფოს აერთიანებდა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ნატოს ჰუმანიტარულ ინტერვენციას კოსოვოში არ ჰქონდა სრული საერთაშორისო მხარდაჭერა, ვინაიდან იგი არ იყო გაეროს ოპერაცია. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საჯაროდ არასდროს გამოუხატავს, რომ ალიანსის მოქმედება იყო არაკანონიერი. მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დააფინანსა ნატო-იუგოსლავიის მშვიდობიანი მოლაპარაკებების

პროცესი, რომელიც 1999 წლის 10 ივნისს შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა.

ინტერვენციის მიზეზები ნათლად ჩანს სახელმწიფოთა ლიდერების განცხადებებში. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი აღნიშნავდა, რომ ამერიკელები შეუერთდნენ ნატოს ძალებს საჰაერო თავდასხმებში სერბი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ კოსოვოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ნატოს ძალებს სურდათ, რომ დაეცვათ ათასობით უდანაშაულო ადამიანი და მოეხდინათ უფრო ფართო ომის პრევენცია, რომელიც უკვე ორჯერ მოხდა მსოფლიოში და კატასტროფული შედეგები გამოიწვია. შესაბამისად, მოკავშირეთა ქმედებები მშვიდობის დაცვას ისახავდა მიზნად.

მიზეზი, რის გამოც ნატომ არ მიმართა უშიშროების საბჭოს არის ის, რომ ცივი ომის პერიოდშიც კი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები ხელს უშლიდნენ უშიშროების საბჭოს ერთსულოვნებას სამხედრო მოქმედებების ჩატარების მხარდაჭერის შესახებ. ნატომ გადაწყვიტა უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე განეხორციელებინა ინტერვენცია, რათა იგი არ ჩაშლილიყო უშიშროების საბჭოს რომელიმე წევრის ვეტოთი და ამგვარად, ხელი არ შეეშალა კრიზისის მოგვარებისათვის. მართლაც, ნატოს მიერ მოქმედებების განხორციელებისთანავე, რუსეთის ფედერაციამ შესთავაზა უშიშროების საბჭოს, რომ ნატოს ქმედებები უკანონოდ გამოეცხადებინათ რეზოლუციით და შეეწყვიტათ იგი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭოს სამმა წევრმა, რომელთა შორის იყვნენ მუდმივი წევრები: რუსეთი და ჩინეთი.

დასკვნა

ამრიგად, ნატოს ქმედებები და ჰუმანიტარული ინტერვენცია მოტივირებული იყო იმ მიზეზით, რომ თავიდან აერიდებინა კიდევ ერთი კატასტროფა მსოფლიო ომის სახით და მიეღო სწრაფი ზომები ადამიანის უფლებათა დასაცავად.

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მთავრობამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამ ფაქტს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დაძაბვა მოჰყვა. სერბთა ასეთ ნაბიჯს არაკონსტრუქციული უწოდა იმ მოტივით, რომ ის არღვევს სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. მიუხედავად ამისა ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ და აშშ-მ სცნო კოსოვო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამავე დროს ნატოს 4 ქვეყანამ: ესპანეთმა, საბერძნეთმა, სლოვაკეთმა და რუმინეთმა მხარი არ დაუჭირეს კოსოვოს დამოუკიდებლობას. სამმა დიდმა ქვეყანამ რუსეთმა, ჩინეთმა და ინდოეთმა არ სცნეს კოსოვოს დამოუკიდებლობა და პროტესტი გამოაცხადეს ამ აქტის მიმართ. გაეროს 193 წევრი ქვეყნებიდან კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნო 65 ქვეყანამ. ამგვარად კოსოვოს ხელისუფლებას პარლამენტს და მთავრობას გადაეცა სერბეთმა თხოვნით მიმართვა , რათა კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის ნამდვილობა და კანონიერება განეხილა გაერო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს.

2010 წლის 22 ივლისს აღნიშნულმა სასამართლომ საკონსულტაციო დასკვნა გამოაცხადა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მას გააჩნია ამ საქმეზე იურისდიქცია და კომპეტენცია. სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია არ არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს.

კოსოვოს კონფლიქტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ არსებობს ხარვეზები სამართლებრივ ნორმებსა და პროცედურებში, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ ინტერვენციასთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლევან ალექსიძე - თანამედროვე საერთაშორისო სამართალი
2. წერეთელი ნ . გურგენიძე ვ. - საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მართვასა და მოწესრიგებაში
3. ჩიტაძე, ნ. ნატო – ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.
4. ირაკლი მენაღარიშვილი - საერთაშორისო ორგანიზაციები (კვლევა ნატოს ინტერვენციის შესახებ)

მცოცავი ოკუპაციის გამოწვევები დღევანდელი საქართველოსთვის და მისი გადაჭრის გზები

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
უსაფრთხოების კვლევის სამაგისტრო პროგრამა

აბსტრაქტი

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, თუ რა არის დღესდღეობით საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი უპირველესი საფრთხე. ეს არის რუსეთი და მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. ასევე ოკუპაციის განვითარების დინამიკა, ეგრედ წოდებული ,,მცოცავი ოკუპაცია" და თანმდევი ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშე დგას ან შესაძლოა დადგეს საქართველო. აღნიშნულ გამოწვევებს შესაძლოა წარმოადგენდეს: ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლა; მოწინააღმდეგის ძალის დემონსტრირებით ქართველი საზოგადოების სულიერად გატეხვა, გადაბირება და ბრძოლის სურვილის დაკარგვა; პრეტენზია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თრუსოსა და კობის ხეობებზე; ცენტრალური მაგისტრალისა და მასთან ერთად საციცოცხლო მნიშვნელოვანი გამტარი ენერგოხაზების ბლოკირება.

საბოლოოდ წარმოდგენილია, რა ძირითადი გზები არის შესაძლებელი ,,მცოცავი ოკუპაციის" და მისი გამოწვევების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული გამოწვევის თავიდან აცილებისთვის, არსებობს რამდენიმე საშუალება: პირველი, ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება; მეორე, სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურების აქტიურობა; მესამე, მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება რეალური საფრთხის, აღქმის შესახებ. აღნიშნული ქმედებები, სრულად აღკვეთს საქართველოს ტერიტორიაზე ,,მცოცავ ოკუპაციას" რომელიც თავის მხრივ გაზრდის სახელმწიფოში უსაფრთხოების გარემოს.

საკვანძო სიტყვები:
მცოცავი ოკუპაცია, გამოწვევები, საფრთხეები, ნარატივები, ნატო, ევროატლანტიკური ორგანიზაცია, ინტეგრაცია, სტრატეგიული კომუნიკაცია, ნატოს მე-5 მუხლი, პარტნიორობა, რესურსების მობილზება.

CHALLENGES OF THE CREEPING OCCUPATION FOR MODERN GEORGIA AND WAYS TO SOLVE THEM

LIEUTENANT COLONEL LEVAN GOZALISHVILI
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
MASTER'S DEGREE PROGRAM IN SECURITY STUDY

ABSTRACT

The main purpose of this article is to show what is one of the main threats facing Georgia today. This is Russia and the territories occupied by it. As well as the dynamics of the development of the occupation, the so-called "creeping occupation" and the accompanying major challenges that Georgia faces or may face. These challenges may include: hindering the free movement of local people; Demonstrating the strength of the enemy, spiritually breaking the Georgian society, capturing it and losing the desire to fight; Claim in areas controlled by the central government of Georgia, such as Kobi and Gudauri; Blockage of the Central Highway and with it vital conductor power lines.

Finally, the main ways to eliminate the "creeping occupation" and its challenges are presented. To avoid this challenge, there are several ways: first, to join NATO and the European Union; Second, the activity of state law enforcement agencies; Third, raising public awareness about the real threat, perception. These actions completely prevent the "creeping occupation" on the territory of Georgia, which in turn will increase the security environment in the country.

KEYWORDS:
Creeping Occupation, Challenges, Threats, Narratives, NATO, Euro-Atlantic Organization, Integration, Strategic Communication, NATO Article 5, Partnership, Resource Mobilization.

არსებობს მოსაზრება, რომ პატარა სახელმწიფოების სუვერენიტეტს მეტწილად განსაზღვრავს ძლიერი სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციები. ამ მხრივ არც საქართველო არის გამონაკლისი, რადგან საერთაშორისო სისტემაში ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, - ძლიერი მოკავშირის გარეშე შესაძლოა დაკარგოს სუვერენიტეტი და შესაბამისად, სახელმწიფოებრიობა. ნაშრომში გამოკვეთილია, საქართველოს წინაშე არესბული ძირითადი საფრთხე, ეგრედ წოდებული ,,მცოცავი ოკუპაცია", მისი განვითარების შესაძლო გამოწვევები და მათი აღმოფხვრის გზები.

დღესდღეობით, საქართველოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ უპირველეს საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი, ამასთან, მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და ეგრეთ წოდებული ,,მცოცავი ოკუპაცია". რა არის ოკუპაცია? საერთაშორისო სამართლის განმარტებით, სამხედრო ოკუპაცია არის არა ტერიტორიის შეძენის ფორმა, არამედ ძალის გამოყენებით სხვა ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ დროებით დაკავებაა და, წესისამებრ, უნდა შეწყდეს კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ დადებული ზავის ან სხვა სახის საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე. თუმცა, განსხვავებული ფაქტის წინაშე დგას საქართველო, რადგან საქართველოს ორი რეგიონი - აფხაზეთი ცხინვალი, ოკუპირებულია რუსეთის მიერ და იქ მარიონეტული მთავრობები ახორციელებენ სიმბოლურ მმართველობას. რუსეთმა იმის მაგივრად, რომ შეასრულოს საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებები, აგრძელებს ოკუპაციას ეგრედ წოდებული ,,ბორდერიზაციით/ მცოცავი ოკუპაციით". აღნიშნული გამოწვევის თავიდან აცილებისთვის, არსებობს რამდენიმე საშუალება: პირველი, ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება; მეორე, სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურების აქტიურობა; მესამე, მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება რეალური საფრთხის, აღქმის შესახებ. აღნიშნული ქმედებები, სრულად აღკვეთს საქართველოს ტერიტორიაზე ,,მცოცავ ოკუპაციას" და ხელს შეუშლის რუსების მიერ შესაძლო სრულად ანექსიას, რომელიც თავის მხრივ გაზრდის სახელმწიფოში უსაფრთხოების გარემოს.

ზემოაღნიშნულ ჰიპოთეზას, ამყარებს ის ფაქტი, რომ ისტორიულად რუსეთს ჩვევად აქვს, მეზობელ ქვეყნებში წინასწარ შექმნას ინტერვენციის საბაბი ისე, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობას არ გააჩნდეს წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. შემდგომში კი ინტერვენცია, რაც არსობრივად ოკუპაციაა და სხვა არაფერი, რეალურად ანექსიად აქციოს, რომლის მაგალითსაც 1921 წლის საქართველოსი და 2014 წლის ყირიმის ანექსია წარმოადგენს. მოკლედ რომ ითქვას, რუსეთი, ინტერვენციის ჰუმანური საბაბით, როგორც წესი, რეალურად ანექსიას ახორციელებს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ძალზე დიდია საშიშროება, რომ ასევე იმოქმედებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებითაც. თუმცა, დღევანდელი ,,მცოცავი ოკუპაცია" იწვევს საფუძვლიან ეჭვს, რომ მოწინააღმდეგე არ ჩქარობს ანექსიას, ვინაიდან მის ძირითად ინტერესებში არ არის მხოლოდ აღნიშნული რეგიონები. რუსეთის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური ძალების ჩანაცვლება პრორუსული ძალებით და საქართველოს პოლიტიკური ვექტორის შეცვლა. ამრიგად, მცოცავი ოკუპაციის შედეგად დღევანდელი სიტუაციის პირობებში, საქართველო უკვე დგას მთელი რიგი უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე, როგორიცაა: ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილებისთვის ხელის შეშლა; მოწინააღმდეგის ძალის დემონსტრირებით ქართველი საზოგადოების სულიერად გატეხვა, გადაბირება და ბრძოლის სურვილის დაკარგვა; პრეტენზია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თრუსოსა და კობის ხეობებზე; ცენტრალური მაგისტრალისა და მასთან ერთად საციცოცხლო მნიშვნელოვანი გამტარი ენერგოხაზების ბლოკირება. ზემოთ მოყვანილი საფრთხეების თავიდან აცილება ქვეყნისთვის არის ურთულესი გამოწვევა. მაგრამ მისი ნაწილობრივ შესუსტება შესაძლებელია, თუ მიმდინარე/ სამომავლო პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობას მიიღებს არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებიც, მათ შორის ნატო, ევროკავშირი. საქართველომ დასავლეთს და საერთაშორისო ორგანიზაციებს პირველ რიგში, უნდა დაანახოს, რომ იგი მზადა არის განავითაროს, აქციოს ძლიერ სახელმწიფო და დაიცვას საკუთარი ქვეყანა ნებისმიერი გზით. ეს გამოიხატება მაშინ, როდესაც ხელისუფლებასა და ძალოვან სტრუქტურებთან ერთად, ქვეყნის საზოგადოებაც აქტიურად იქნება ჩართული, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, სხვადასხვა ფორმით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნატოში ინტეგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. დაისმის კითხვა, რატომ ნატო? იმიტომ, რომ მსოფლიოში ნატო არის ყველაზე მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. ამ გაერთიანებაში გაწევრიანებით, საქართველო შეძლებს დააბალანსოს რუსეთიდან მომდინარე საფრთხე. ნატო შეიქმნა 1949 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 12 თანადამფუძნებელი სახელმწიფოს მიერ. მისი ძირითად მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შეკავება. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატო განიხილებოდა უფუნქციოდ დარჩენილ ორგანიზაციად და მას ემუქრებოდა დაშლა. თუმცა, ნატომ შეცვალა ძირითადი სტრატეგიული კონცეფცია და პირიქით, ნაცვლად დაშლისა, დაიწყო მასიურად გაფართოება. მან საერთო ჯამში, განახორციელა 8 გაფართოება და დღესდღეობით ნატო აწევრიანებს 30 სახელმწიფოს. დღეის მდგომარეობით, ნატო მსოფლიოში არის, ყველაზე მძლავრი სამხედრო

ალიანსი. ნატოს ორგანიზაციის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: პირველი კოლექტიური თავდაცვა; მეორე კრიზისების მართვა და მესამე თანამშრომლობა და უსაფრთხოება. კოლექტიურ უსაფრთხოებას (მეხუთე მუხლი) აქვს უდიდესი დანიშნულება. ნატოს წევრი ქვეყნები, თავდასხმის შემთხვევაში, იცავენ ერთმანეთს, რაც გულისხმობს, თავდასხმა ერთ წევრ ქვეყანაზე, ავტომატურად ითვალისწინებს, თავდასხმას ყველა წევრ სახელმწიფოზე. შესაბამისად, წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი. მეორე ძირითადი ამოცანა, კრიზისების მართვა, გულისხმობს კრიზის/კონფლიქტის დარეგულირებას მანამ, სანამ გადაიზრდება სამხედრო დაპირისპირებაში, თუმცა, ასევე ორგანიზაციის მიერ კრიზისების მართვა ხორციელდება კონფლიქტის დროს, ან კონფლიქტის შემდეგაც. რაც შეეხება, მესამე ამოცანას, თანამშრომლობასა და უსაფრთხოებას, იგი გულისხმობს, როგორც წევრ, ასევე არაწვრ სახელმწიფოებთან მჭიდრო პოლიტიკურ, თუ სამხედრო ურთიერთობას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. ნატოს უმთავრესი ამოცანაა, საერთაშორისო სისტემაში მშვიდობის, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, რაც პირდაპირ ჯდება საქართველოს ინტერესებში.

რაც შეეხება მცოცავი ოკუპაციის შედეგად საფრთხეებს, პირველი გამოწვევას წარმოადგენს, ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილებისთვის ხელის შეშლა, მათი შეზღუდვა და მუდმივად შიშის ქვეშ ყოფნა. საჭიროა შემუშავდეს საქართველოს სტრატეგიის გეგმა/პროგრამა. იგი მინიმუმ უნდა ითვალისწინებდეს, რუსეთის შეკავებას დე-ფაქტო გამყოფ ხაზზე, უკეთესია - საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით (მაგალითად, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პოტენციალის ქმედითი გამოყენებით). მაგრამ ვიდრე ეს განხორციელდება, საჭიროა, სახელმწიფომ აქტიურად ჩართოს საკუთარი ძალები და რესურსები, რაც, პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. ესაა სახელმწიფოს შესაძლებლობების დემონსტრირება გამყოფ ხაზზე. აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივი საგუშაგოების განთავსება და ღამის ხედვის ხელსაწყოების გამოყენებით ვიდეოდაკვირვების სისტემის მონტაჟი. ამის ნათენლი მაგალითი შესაძლოა იყოს, დასახლებულ პუნქტ ჩორჩანასთან არსებული საგუშაგო, რომელიც მოეწყო 2019 წელს. რომ არა ზემოთ ხსენებული საგუშაგო, დიდი ალბათობით დასახლებული პუნქტი ჩორჩანის მიმდებარე ტერიტორია, დღეის მდგომარეობით იქნებოდა სეპარატისტების კონტროლის ქვეშ. ამის თქმის ვარაუდს იძლევა ქვემოთ აღნიშნული ინტერვიუ:

2021 წელს გამოცემა „კავკაზსკი რუბეჟ"-ის ინტერვიუში ე.წ. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პ.გასიევმა „დ.პ წნელისის დაკარგვაში ექსპრეზიდენტი ე.კოკოითი" დაადანაშაულა. მისი გაცხადებით „დ.პ წნელისი დაიკარგა ჯერ კიდევ 2011 წელს", თუმცა „რეალურ ვითარებაზე ინფორმაცია გამჟღავნდა ახლა, რის გამოც პასუხიმგებლობა დაეკისრა ამჟამინდელ ხელისუფლებას". სოციალურ ქსელში გავრცელდა მოწოდება პ.გასიევისადმი წარადგინოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულება და კრიტიკა მისდამი, რომ თვალს ხუჭავდა „თედეევის კომისიის მოხსენებაზე", სადაც აღწერილი იყო დ.პ წნელისში არსებული „კრიტიკული სიტუაცია". საბოლოოდ, აღნიშნული დოკუმენტი გადაეგზავნა „პრეზიდენტ" ა.ბიბილოვს, რომელმაც „2 თვის განმავლობაში არ მოახდინა რეაგირება და ფაქტიურად დაელოდა დ.პ წნელისში ქართული მხარის მიერ საგუშაგოს მოწყობას".

გარდა საგუშაგოების მოწყობისა, პარალელურად უნდა ჩამოყალიბდეს „მცოცავი ოკუპაციის" შეჩერების ფონდი. ფონდის მხარდაჭერა აქტიური იქნება როგორც ბიზნესმენების, ასევე რიგითი მოქალაქეების მხრიდან. ფონდის სახსრები ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს თანამოქალაქეების მხარდასაჭერად. აღნიშნული ფონდის საქმიანობა აგრეთვე ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებასა და გაერთიანებას ყველაზე სახიფათო გამოწვევის გადალახვაში.

მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა არის ის, რომ მოწინააღმდეგემ თავისი ძალის დემონსტრირებით საქართველოს ხელმძღვანელი პირები და საზოგადოება სულიერად გატეხოს, გადაიბიროს და ბრძოლის სურვილის დააკარგინოს. იგი აქტიურ პროპაგანდას ახორციელებს პრორუსულად განწყობილი საზოგადოებისა და ორგანიზაციის აქტიური დახმარებით. მათი მხრიდან გაჟღერებული აგიტაცია-პროპაგანდით, როგორიცაა: ,,რუსეთი ერთმორწმუნე ერია და ის თუ გადაგვარჩენს" ,,რუსეთის გარდა, საქართველოს სხვა გზა არ აქვს", ,,როდესაც დათვს ვერ ერევი, ბაბაია უნდა დაუძახო", და ასე შემდეგ. ძალის დემონსტრირებით (მცოცავი ოკუპაციით) მოსახლეობაში მათ სურთ გარკვეულწილად შიში გამოიწვიონ. თუმცა, არსებობს ისტორიული მაგალითები, რა დროსაც მცირე ძალბით და რესურსებითაც, შესაძლებელია რეალური წინააღმდეგობა გაუწიოს გაცილებით დიდი რესურსების მქონე ქვეყანას. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, ფინეთისა და საბჭოთაკავშირს შორის ომი 1939 წელს. შემდგომში ,,ზამთრის ომად" წოდებული. მიუხედავად, საბჭოთა კავშირის ჭარბი ძალისა, ფინელებმა შეძლეს საბრძოლო სულისკვეთების და მორალური მდგრადობის ამაღლება და შეინარჩუნეს ქვეყნის დამოუკიდებლობა. საბჭოთა შეიარაღებული ძალების

რიცხოვნობა ფინეთის შეიარღებულ ძალებთან მიმართებით სამი, თვითმფრინავებით კი ერთი რიგით , ხოლო რაც შეეხება ჯავშან ტექნიკთ, მთელი ორი რიგით აღემატებოდა. მიუხედავად სამხედრო ძალების ასეთი კალეიდოსკოპიური სხვაობისა, „ზამთრის ომში“ ფინეთმა მცირე რესურსების ფონზე, შეძლო მოქალაქეების საყოველთაო მობილიზება. ასევე მოამზადა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რაც ითვალისწინებდა ისეთი ტაქტიკას, მოქმედებებს, რომელიც მაქსიმალურად შერწყმული იყო გარემო ფაქტორებთან. ამით მათ მოახერხეს ძალთა თანაფარდობის კომპენსირება, მოწინააღმდეგეს გაუწიეს უდიდესი წინააღმდეგობა და არ მისცეს აგრესორს თავისი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის შესაძლებლობა, რაც ფინეთის სრულ ანექსიას გულისხმობდა.

სქართველოში არიან ისეთი მოქალაქეები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ ხდებიან ზემოაღნიშნული რუსული ნარატივის მსხვერპლნი, მაგრამ, ასევე არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ,,ცივი გონებით“ აფასებენ ვითარებას და ხედავენ, თუ სად არის ხსნა. უკანასკნელთა აზრით, ეს არის დასავლეთი, ნატო, და ევროკავშირი. მათ კარგად ესმით, რომ ,,რუსეთთან ყველა დადებულ ხელშეკრულებას ის ფასი აქვს, რაც ღირს ის ქაღალდი, რომელზეც დაწერილია ხელშეკრულება“. ამ კატეგორიას ძირითადად განათლებული ადამიანები მიეკუთვნებიან, რომლებმაც კარგად იციან საქართველოს ისტორია. ამიტომ ერთ-ერთი ძლიერი იარაღი არსებული გამოწვევის წინააღმდეგ არის სწორი სტრატეგიული კომუნიკაცია, საერთაშორისო ორგანიზაციებზე ცნობადობის ამაღლება, ისტორიის ზედმიწევნით ცოდნა და კოორდინაცია საზოგადოებასთან არსებული ვითარების შესახებ. მუდამ უნდა ხორციელდებოდეს მოსახლეობის ინფორმირება რუსების ჩანაფიქრსა და ქმედებებზე, რაც დაეხმარება მოქალაქეებს, არ დანებდნენ მოწინააღმდეგეს, არ შეშინდნენ და არ დაკარგონ სულისკვეთება. მთავარია, სტრატეგიული მოთმინება.

შემდეგი უმნიშვნელოვანეს საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ცხინვალის რეგიონის ეგრედ წოდებულმა პარლამენტის წარმომადგენლებმა წარსულში არაერთხელ განაცხადეს პრეტენზია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თრუსოსა და კობის ხეობებზე. შესაბამისად, არის ვარაუდი, რომ ისინი მუდამ გააგრძელებენ პროვოცირებას მომავალშიც. გარდა ამისა, რუსეთს შესწევს უნარი, დაბლოკოს ცენტრალური მაგისტრალი, მასთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ენერგოგამტარი ხაზები, რაც ფაქტიურად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის იზოლირებას გამოიწვევს. რაც შეეხება ცხინვალის მხრიდან პროვოკაციების გაგრძელების ვარაუდს, იგი შესაძლოა გამყარებული იქნას შემდეგი ფაქტის საფუძველზე. რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი ცხინვალში პერიოდულად აკეთებს პროვოკაციულ განცხადებებს თრუსოს ხეობასთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსით: ,,ისტორიულად თრუსოს ხეობა ცხინვალის რეგიონს ეკუთვნოდა, სადაც ცხოვრობდა ოსური წარმოშობის მოსახლეობა და საქართველოს ხელისუფლება პერმანენტულად აწყობდა ეთნიკური ოსების ეროვნულ წმენდას, ძალადობრივად ასახლებდა მათ, მასობრივად კლავდა და დევნიდა ძირძველი ტერიტორიებიდან“. ცხადია, ეს ყველაფერი არის ორკესტრირებული რუსეთის ფედერაციის მიერ. ეს არ არის ახალი თემა, მაგრამ მნიშვნელოვნად ყურადსაღებია. საქართველოს საგარეო უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის კომენტარში არაერთხელ არის გაჟღერებული, შემდეგი სახის ინფორმაცია: რომ ,,2008 წლიდან მოყოლებული, ცხინვალის რეგიონი ამ თემებს პერიოდულად წევს, როცა მათ მიზანს წარმოადგენს დამატებითი პროვოკაციების შექმნა ადგილზე. საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით ადევნებს თვალს მიმდინარე პროცესებს, იღებს შესაბამის პრევენციულ ზომებს. ახორციელებს ყველა ჩვენი პარტნიორის ინფორმირებას ამგვარი საკითხის შესაძლო პროვოკაციული შედეგების შესახებ და ამით შესაბამისად გარკვეულ შედეგებსაც კი აღწევს.'' საჭიროა ამ ტემპის შენარჩუნება და ქვეყანაში არსებული გამოწვევების შესახებ მუდამ ხმამაღალი საუბარი საერთაშორისო ტრიბუნიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ, რომ აღიაროს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ამ შემთხვევაშიც, რუსეთი მაინც არ დაკმაყოფილდება და შეეცდება საქართველოში აამოქმედოს, სხვა ნაღმები. ეს შეიძლება იყოს ჯავახეთის ან ქვემო ქართლის რაიონები, სადაც ძირითად დასახლებას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობის მოსახლეობას. აქედან გამომდინარე იკვეთება ერთ-ერთი მკაფიო გამოსავალი, საქართველო ნებისმიერი ვითარებაში, რაც შეიძლება მალე უნდა გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა.

საქართველო შესაძლებელია გახდეს ნატოს წევრი, თუნდაც ისეთ ვითარებაში, როდესაც მეხუთე მუხლი დროებით არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მსგავსი ფაქტის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, დასავლეთ გერმანიის გაწევრიანება, ჯერ ,,ნატოში“ 1955 წელს და შემდეგ, ,,ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში“ შემდგომში წოდებულ ,,ევროკავშირში“ 1957 წელს, როდესაც გერმანია ორად იყო გაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირი წინააღმეგი გახლდათ, გერმანიის გაწევრიანებას ხელი მაინც არ შეშლია. ეს მეტწილად განპირობებული იყო, გერმანიის სტრატეგიულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობით. მაშინ ნატო მიუახლოვდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. რაც შეეხება საქართველოს,

ასევე გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილმდებარეობას იკავებს. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლოა გახდეს დასავლეთისთვის მიმზიდველი. ამ შემთხვევაში საინტერესოა საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემდეგ, როგორ გავრცელდება მე-5 მუხლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აღნიშნული საკითხი გამხდარა არაერთი ექსპერტისა თუ პოლიტიკოსის მიერ განხილვის საგანი. ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს, კვლევითი ცენტრის, ,,The Heritage Foundation", მკვლევარის ლუკ კოფის ანალიტიკური კვლევა აღნიშნულ საკითხზე. რომელიც ჯერ კიდევ 2018 წელს პირველად გამოქვეყნდა. ნაშრომში ის ემხრობა იდეას, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი სახელმწიფო, მეხუთე მუხლის დროებით არ გავრცელებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აღნიშნული განცხადების შემდეგ, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ტრიბუნებიდან აქტუალურად განიხილებოდა მე-5 მუხლის გავრცელების საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მაგალითად, 2019 წელს თბილისში სტუმრად მყოფმა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა, ასევე განაცხადა, რომ ,,საქართველომ უნდა დაიწყოს დისკუსია ნატოში შესვლის თაობაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მეხუთე მუხლის გავრცელების გარეშე". აღნიშნული განცხადებები მიუთითებს იმ ფაქტს, რომ დასავლეთი რეალურად არის დაინტერესებული საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით და საქართველოს, როგორც კი მიეცემა ეგრედ წოდებული ,,შესაძლებლობის ფანჯარა", მან უნდა გამოიყენოს აღნიშნული ვითარება და უნდა გახდეს ნატოს წევრი. რადგან „მცოცავი ოკუპაციის" შეჩერების უმნიშვნელოს ბერკეტს წარმოადგენს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანება.

ამ ყველაფერს ემატება, უკვე მოქმედი ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტერბერგის განცხადება, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 67-ე საპარლამენტო ასაბლეაზე. 2021 წლის 10 ოქტომბერს, მან ხაზი გაუსვა, რომ ნატოში გაწევრიანება, მხოლოდ თავად სუვერენული სახელმწიფოს უფლებაა, ხოლო რამდენად აკმაყოფილებენ ნატოსთან შესაბამის სტანდარტებს, ეს უკვე წევრი ქვეყნის შეფასების პრეროგატივაა. შესაბამისად, რუსეთს არ აქვს ვეტოს დადების უფლება. რუსეთი ნატოს გაფართოებას ყოველთვის პროვოკაციად აფასებს. ასე იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მაშინდელი საბჭოთა კავშირი, წინააღმდეგი იყო 1949 წელს ნორვეგიის ნატოში შემოერთებაზე, ასევე უახლოეს წარსულში რუსეთმა აღიქვა პროვოკაციად, ბალტიის პირა ქვეყნების და პოლონეთის შემოერთება, მიუხედავად ამისა, ნატოს წევრმა ქვეყნაბმა მიიღეს რაციონალური გადაწყვეტილება და დღეს ისინი ნატოს წევრი ქვეყნები არიან. იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ ასე იქნება დღესაც: ,,ნატო-ს მოკავშირეების გადასაწყვეტია, დააკმაყოფილებენ თუ არა ნატო-ს სტანდარტებს ასპირანტი ქვეყნები, როგორებიც არიან საქართველო და უკრაინა და მზად იქნებიან თუ არა ისინი გაწევრიანებისთვის, ამას სხვა ვერავინ გააკეთებს" ნათქვამია განცხადებაში. ერთი შეხედვით აღნიშნულ განცხადებაში ახალი არაფერია, ნატოში გაწევრიანება ნამდვილად ნატოს წევრი და ასპირანტი ქვეყნების სურვილზეა დამოკიდებული, აღნიშნული ნატოს წესდებაშიც ნათლად არის გაწერილი. თუმცა, სხვა კუთხით თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ განცხადების ტონი, თემის აქტუალობა და რიტორიკა განსხვავებულია და უფრო მიმართულია რეალურ ქმედებებზე. ამას ამტკიცებს, აშშ-ის თავდაცვის მდივნის ლოიდ ოსტინის 2021 წლის ვიზიტი საქართველოში და მისი მკაფიო გზავნილი ოკუპაციის შესახებ, ასევე აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. მან განაცხადა: ,,ერთი საკითხი მინდა ნათლად და გარკვევით დავაფიქსირო: ამერიკის შეერთებული შტატები გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და მის მიერ სხვადასხვა მექანიზმებით შავ ზღვაზე გავლენის მოპოვების მცდელობებს. ეს მნიშვნელოვანი რეგიონია და მისი უსაფრთხოება და სტაბილურობა ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო ხედვის პრაქტიკული განხორციელებისთვის - ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი საზოგადოების არსებობისთვის''. ზემო თქმულიდან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, საქართველოს პარტნიორები დასავლეთში ხვდებიან, რომ საჭირო ქმედით ნაბიჯები, რადგან მის გარეშე, შესაძლოა საქართველო დასავლეთს ნელ-ნელა დაშორდეს. ამ შემთხვევაში, საქართველოს, როგორც ეგრედ წოდებული სტრატეგიული ხიდის როლი დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის დაკარგავს მნიშვნელობას. სავარაუდოდ, დასავლეთი არ შეეგუება აღნიშნული გასაღების დაკარგვას და საქართველოს მისცემს მეტ შესაძლებლობას გაერთიანდეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. აღნიშნული, აღვკვეთს მცოცავ ოკუპაციას, არ დაუშვებს, საქართველოს სხვა რეგიონების შემდგომი პროვოცირებას და რაც მთავარია, მოემზადება, შემდეგი ნაბიჯისთვის რაც მოიცავს საერთაშორისო მხარდაჭერით და მშვიდობიანო მოლაპარაკებებით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას.

საქართველო რომ რაც შეიძლება მალე უნდა გახდეს ნატოს წევრი, თანხმდება საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს 2008 წლის პლებისციტით, ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. თუმცა, უმეტესობას, ასევე ისიც კარგად ესმით, რომ ეს არის გრძელვადიანი პერსპექტივა. რა არის გამოსავალი? რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, ამ შემთხვევაში? რა თქმა უნდა ამ კითხვებზე პასუხის გადაჭრით გაცემა და მტკიცება რთულია, მაგრამ ნებისმიერი კრიტიკულ სიტუაციიდან გამოსავალის მოძებნა არის შესაძლებელი. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს და რუსეთის გეოგრაფიული

მდებარეობა, ისე არის მოწყობილი, რომ რუსეთი შეეცდება მაქსიმალურად შეაფერხოს საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, როგორც პირდაპირ, სამხედრო აგრესიით, ასევე ირიბად, რბილი ძალის გამოყენებით. რაც გულისხმობს ნატოსი და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მიმართებით ენერგო რესურსებით მანიპულირებას. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის მართველი ელიტის ხედვით, მათ თავდაცვისუნარიანობას საფრთხე დაემუქრება. ფაქტიურად ნატო აღმოჩნდება რუსეთის ,,უკანა ეზოში". მიუხედავად რუსეთის ხისტი პოზიციისა, საქართველომ უნდა გააგრძელოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ნატოს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა, ისეთ საკითხებში, სადაც რუსეთს ხელ არ ეწიფება და, რომელიც ნაკლებად გამოიწვევს კონფლიქტის ესკალაციას. პირველ რიგში საჭიროა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, აქტიური ინვესტიციების განხორციელება განათლებაში და განათლების სისტემის გაუმჯობესება. მეორე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საკომუნიკაციო ხაზებისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების გამართვა/შექმნა, როგორიცაა ნატოს ქვეყნებთან თავსებადი სარკინიგზო მაგისტრალების, საერთაშორისო სახმელეთო მაგისტრალების, პორტებისა და ჰიდრო ელექტრო სადგურების აშენება. გარდა ამისა სამხედრო კუთხით მეტი აქტიურობა და საქართველოს ტერიტორიაზე ფართომაშტაბიანი სწავლებების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, საქართველოში უკვე არსებული ნატოსთან თავსებადი ბაზის, როგორიც არის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა, მათი მსგავსი სასწავლებლების რაოდენობრივად გაზრდა. აღნიშნულ სამთო სკოლაში, საქართველოს მოქალაქე ინსტრუქტორების დახმარებით ხორციელდება ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების სამთო მიმართულებით მომზადება, წელიწადის ოთხივე სეზონის პერიოდში. საქართველოს აქვს პოტენციალი, შესთავაზოს ნატოს მსგავსი სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე, სხვადასხვა გვარეობების მიხედვით. ზემოაღნიშნული ფაქტორები ხელს შეუწყობს როგორც, საქართველოს სამხედროების გაწვრთნასა და მომზადებას, ასევე ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესებას. შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზრდება დასავლეთის ვექტორის მომხრე საზოგადოება და რუსეთს მნიშვნელოვნად გაუჭირდება თავის მიზნის მიღწევა, რაც გულისხმობს რეგრესისკენ დაბრუნებას.

დასკვნის სახით შესაძლებელი ითქვას, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება არის ერთადერთ მყარი გარანტი იმისა, რომ შეჩერდეს რუსეთის მხრიდან აგრესია, შეწყდეს ,,მცოცავი ოკუპაცია" და მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი მოლაპარაკებებით დაბრუნება, რაც თავის მხრივ გაზრდის უსაფრთხოების გარემოს საქართველოში. შესაბამისად, სანამ საქართველო გახდება ნატოს წევრი სახელმწიფო, ის გამოწვევები რომელიც შექმნილია დღესდღეობით, როგორიცაა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლების შეზღუდვა, ქართველი საზოგადოების სულიერად და მორალურად დასუსტება და საბრძოლო სულისკვეთების დაკარგვა, ცხინვალის რეგიონის მიერ პრეტენზიები სხავ რაიონებზე, ცენტრალური მაგისტრალისა და მასთან ერთად საციცოცხლო მნიშვნელოვანი გამტარი ენერგო ხაზების ბლოკირების მუდმივი შიში. ამისათვის საჭიროა მოთმინება და ადეკვატური კონტრ-ქმედებების განხორციელება. რაც მოიცავს საჭიროების შემთხვევაში ერის საყოველთაო მობილიზებას, გონივრულობას და სწორი პროგნოზირებას. განათლება, ისტორიის ცოდნა, პრობლემების სწორად აღქმა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პარტნიორების სწორად შერჩევა. ვერანაირმა ,,მცოცავმა ოკუპაციამ", პროპაგანდისტულმა განცხადებებმა ვერ უნდა მოახდინონ ზეგავლენა საქართველოს მიერ არჩეული ვექტორის შეცვლაზე და შესაბამისად უნდა გაძლიერდეს დასავლეთთან, ნატოსთან ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობა, ორგნიზაციაში გაწევრიანების მიზნით. ამის შემდეგ პარტნიორები უფრო რეალურად შეაფასებენ სიტუაციას და გადადგამენ ისეთ ნაბიჯს, რომელიც კალეიდოსკოპურად სასიკეთოდ შეცვლის ქვეყანაში არსებულ ვითარებასა და დაძაბულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი ამბები, სამხრეთ კავკასიის ამბები. ცხინვალის პოზიცია თრუსოს ხეობის საკითხზე და თბილისის პასუხი https://netgazeti.ge/news/295087/ მომზადებულია ნინო კახიშვილის მიერ 26.07.2018. (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
2. ეკა ქევანიშვილი. სექტემბერი 11, 2019. NATO, მე-5 მუხლი და საქართველო: მოკლედ ყველაფერზე https://bit.ly/3AZLqhA (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
3. ვალერი ჩეჩელაშვილი, რონდელის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 2017 / 07 / 18. როგრ შევაჩეროთ მცოცავი ოკუპაცია, ინტერპრეს ნიუსი. იენს სტოლტენბერგი. https://www.gfsis.org/ge/blog/view/729 (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
4. ინტერპრეს ნიუსი. ლოიდ ოსტინის ვიზიტი საქართველოში https://bit.ly/3vw2QBq (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. https://bit.ly/3n9QnPS (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
6. https://mod.gov.ge/ge/page/117/sachxeris-samto-momzadebis-skola (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
7. კორნელი კაკაჩია პოლიტოლოგი და პოლიტიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი, https://bit.ly/3AZLP3Aმომზადებულია თამარ შუკვანის მიერ 08.11.2018. (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
8. მინდია გოსტამაშვილი. https://bit.ly/3BYpSTG (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
9. Luke koffey.NATO Membershiip for Georgia: In U.S. and Europeean Interest. January 29, 2018 https://herit.ag/2ZcCZT1 (გადამოწმებულ იქნა 11. 10 2021);
10. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება. https://bit.ly/3AWxCUP. 11 ოქტ 2021 Benvenisti, E. ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი, 2012

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური პერსპექტივები, ნატო-ს ბოლო გაფართოვების მაგალითზე

ნიკა თარაშვილი და ამირან შარაშენიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
უსაფრთხოების კვლევების
სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა

აბსტრაქტი

საქართველო, პატარა სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში, არის ევროატლანტიკური ინტეგრაციის ყველაზე დიდი მხარდამჭერი რეგიონში. ნატო-საქართველოს ურთიერთობები ხასიათდება სტრატეგიული პარტნიორობითა და მუდმივი თანამშრომლობით, რაც საქართველოს უქმნის შესაძლებლობების ფანჯარას, გახდეს ალიანსის წევრი ახლო მომავალში. 2018 წლის ივლისში ნატო-მ დაუშვა მისი მერვე გაფართოვება და ოფიციალურ წევრად ჩრდილოეთ მაკედონია გამოაცხადა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საქართველომ მაკედონიას გადაუსწრო რეფორმების ყველა ძირითად სფეროში, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ნატო-ს შესაძლო წევრობისთვის, თუმცა, მომხდარმა ფაქტმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა წევრობის გეოპოლიტიკურ ასპექტებს, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ მაკედონიის კანდიდატურა უფრო თავსებადი აღმოჩნდა ალიანსის მოთხოვნებთან.

საკვანძო სიტყვები:
ნატო, პატარა სახელმწიფო, სტრატეგიული პერტნიორობა, ჩრდილოეთ მაკედონია, გეოპოლიტიკური ასპექტები, ალისნსის მოთხოვნები

GEORGIA'S NORTH ATLANTIC PERSPECTIVES, BY THE EXAMPLE OF NATO'S RECENT ENLARGEMENT

NIKA TARASHVILI, AMIRAN SHARASHENIDZE
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
MASTER'S DEGREE PROGRAM IN SECURITY STUDY

ABSTRACT

Georgia, a small state in the South Caucasus, is the largest supporter of Euro-Atlantic integration in the region. NATO-Georgia relations are characterized by a strategic partnership and ongoing cooperation, which creates a window of opportunity for Georgia to become a member of the Alliance shortly. In July 2018, NATO allowed its eighth enlargement and declared Northern Macedonia an official member. A comparative analysis revealed that Georgia had overtaken Macedonia in all key areas of reform, which was an important factor for possible NATO membership, however, the fact once again underscored the geopolitical aspects of membership, which made northern Macedonia more suitable for the Alliance.

KEYWORDS:
NATO, Small State, Strategic Partnership, Northern Macedonia, Geopolitical Aspects, Alliance requirements

შესავალი

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსსა და საქართველოს, თითქმის 30 წლიანი თანამშრომლობითი ურთიერთობა აკავშირებთ. 1992 წლიდან დღემდე საქართველო დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებისა და ფასეულობების დაცვით ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ჩრდილოატლატიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას ისახავს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, არსებულ ვითარებაში კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციას განიხილავს, როგორც უსაფრთხოების გარანტს.

უკვე 13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნატო-მ ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი, რის მისაღწევადაც საქართველო ასრულებს თავის „საშინაო დავალებას“, თუმცა, ცოტა ხნის წინ განვითარებული მოვლენა, რომელიც ნატოს მერვე გაფართოებით და ჩრდილოეთ მაკედონის წევრობით დასრულდა, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების თვალსაზრისით ბადებს რამედენიმე შეკითხვას. კერძოდ, შეასრულა თუ არა მოცემული დავალებები მაკედონიამ საქართველოზე უკეთ? და კვლავ ენიჭება თუ არა გეოპოლიტიკას უპირატესობა ნატო-ს გაფართოების პოლიტიკის დღის წესრიგში?

იმისათვის რომ, ვუპასუხოთ ამ შეკითხვებს, სტატიაში განხილული არის, პირველ რიგში, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკა და მოლოდინები ორგანიზაციისგან. ამასთანავე, მოკლედ არის მიმოხილული ის სახალხო განწყობები, რომელიც პერიოდულად იცვლება საქართველოს ნატო-ში წევრობასთან დაკავშირებით და ის მიზეზები, რომლებიც შეიძლება იდგეს ამგვარი დინამიკის უკან. საბოლოოდ კი, მაკედონიის მაგალითზე, შედარებითი ანალიზის სახით წარმოდგენილია ის სფეროები, რომლებსაც ნატო განიხილავს შესაძლო წევრობისთვის, კერძოდ, დემოკრატია, თავდაცვა და ეკონომიკა.

მაკედონიის შემთხვევა კარგად ერგება საქართველოს შემთხვევას იმ მხრივ, რომ ორივე პატარა ქვეყნის სტატუსს ატარებს, აქვთ უხეშად თანაბარი სოციო-ეკონომიკური სურათი, იზიარებენ საერთო საბჭოთა მემკვიდრეობას და რაც ყველაზე მთავარია, ორივეს ახასიათებს მეზობელთან გადაუჭრელი კონფლიქტები. რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები არ შეიძლება შევადაროთ ბერძნულ-მაკედონურს, რადგან ორივეს განსხვავებული ანატომია აქვს, თუმცა, მაინც მნიშვნელოვანია, იმ მხრივ, რომ ნატო-მ მაკედონიის გაწევრიანების საკითხი კონფლიქტის რეზოლუციიდან თითქმის ერთ თვეში წამოწია და 2020 წლის მონაცემებით მაკედონია გახდა ორგანიზაციის ოფიციალური წევრი. (Nato.int, 2020)

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ქრონოლოგია

ოფიციალურად საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები თარიღდება 2000-იანი წლების დასაწყისიდან. დოკუმენტი სახელად: “საქართველო და მსფოლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია”, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველო აღიქვამს „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამას, როგორც არსებით ნაბიჯს ნატო-ში გასაწევრიანებლად და ალიანსის წევრობა წარმოადგენს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანს. (საქართველოს მთავრობა, 2000)

ვარდების რევოლუციის შემდგომ, დიდად არ შეცვლილა საქართველოს ევროატლანტიკური პოლიტიკა. ერთადერთი განსხვავება წინა მთავრობისგან იყო ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა ჩადო იმ მიზნების მისაღწევად, რომელიც ნატო-ს წევრობის წინაპირობა იქნებოდა. კერძოდ, რეფორმები და სამშვიდობო ოპერაციებში ფართო ჩართულობა. (საქართველოს მთავრობა, 2005)

მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებულ პირველი რეფორმათაგანი იყო ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტის დაფუძნება, რომელიც ემსახურებოდა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სურვილის სიმბოლოს. (Ⓦil.ge, 2012)

რეფორმების შთამბეჭდავმა შედეგებმა, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისას 2013 წელს საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. ეს ვარაუდი გამოწვეული იყო იმ გულუხვი შეფასებებით, რომლებიც საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე დაიმსახურა. მეტიც, მსოფლიო ბანკმა საქართველო აღიარა 2007 წლის “საუკეთესო რეფორმატორად”. (Independent Evaluation Group, 2009) თუმცა, 2013 წლისთვის საქართველო არა მხოლოდ დარჩა ნატო-ს კარს მიღმა, არამედ წევრობის სამოქმედო გეგმა ე.წ. (MAP)-ც კი ვერ მიიღო.

2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების

საუკეთესო აღიარება იყო. ეს გახლდათ საეტაპო მოვლენა, რადგან პირველად საქართველომ მიიღო გარანტიები ჩრდილოატლანტიკური საბჭოსგან. თუმცა, ამ დეკლარაციის ფორმულირება საკმაოდ ბუნდოვანი აღმოჩნდა, კერძოდ, არ გააჩნდა ის მკაფიო ნაბიჯები, რომლის პირობებშიც გაწევრიანდებოდა საქართველო, ან მინიმუმ, მიიღებდა MAP-ს. (Nato.int, 2008)

მიუხედავად ამისა, ნატო-მ გააფართოვა პარტნიორობა საქართველოსთან. ყველა მომდევნო სამიტის დეკლარაციებში ნატო ადასტურებდა თავის "ღია კარის" პოლიტიკას საქართველოს მიმართ, თუმცა, შედეგების არარსებობამ გამოიწვია იმედგაცრუება და სკეპტიციზმი საქართველოს მოსახლეობაში. ამას მოჰყვა კრიტიკული განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა ნატო გადაჭარბებულად აფასებს რუსეთის პოტენციალს, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. ყოფილი თავდაცვის მინისტრი, თინათინ ხიდაშელი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ნატო-ს საქართველო უფრო მეტად სჭირდებოდა, ვიდრე პირიქით, ვინაიდან საქართველოს გაწევრიანება ალიანსს საშუალებას მისცემდა გაეძლიერებინა გავლენები რუსეთის მახლობლად. ასევე არ გამოირიცხებოდა ის ფაქტი, რომ თუ ნატო არ დაიწყებდა საქართველოს წევრობის პროცესს, შესაძლებელი იყო, რომ 2016 წელს პროდასავლურ ძალებს წაეგოთ საპარლამენტო არჩევნები. (Radiotavisupleba, 2015)

ნატო-საქართველოს ურთიერთობამ დიდი გავლენები იქონია საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე. დროთა განმავლობაში, პროგრესის არ არსებობამ, საქართველოს ევროატლანტიკურ გზაზე, უარყოფითი გავლენა იქონია საზოგადოებრივ აზრზეც. 2008 წლის რეფერენდუმმა, საქართველოს ნატო-ს წევრობის შესახებ, 80%-იანი დადებითი აქტივობა აჩვენა, თუმცა, 2012-2016 წლების მონაცემებით მხარდამჭერთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. მეტიც, კვლევითი ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგად, მოსახლეობის თითქმის მეხუთედი მხარს უჭერდა საქართველოს წევრობას ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, რომლის დამფუძნებელი წევრიც რუსეთი გახლავთ. (CRRC, 2017)

საქმე იმაშია, რომ საქართველოს მთავრობები გულმოდგინედ ისწრაფვოდნენ ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, მაშინ, როცა, ქართული საზოგადოება საგარეო პოლიტიკის საკითხებს აღარ ანიჭებდა უპირატესობას, გამომდინარე იქიდან, რომ ეს საგარეო მისწრაფებები გადაწონა ყოველდღიურმა ცხოვრებისეულმა პრობლემებმა: სიღარიბემ, უმუშევრობამ და სოციო-ეკონომიკურმა გამოწვევებმა.

საქართველო VS მაკედონია: რეფორმების შედარებითი ანალიზი

იმისათვის, რომ უფრო ყოვლისმომცველი სურათი გვქონდეს საქართველოს ნატო-ში წევრობის პერსპექტივების შესახებ, აუცილებელია, გავაანალიზოთ, თუ რამდენად მიაღწია საქართველომ ევროატლანტიკურ გზას და ჩამორჩება თუ არა მაკედონიას, ქვეყანას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გახდა ალიანსის წევრი.

ცნობილია, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია პოტენციური წევრებისგან მოითხოვს თავდაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას. სამოქმედო გეგმის მიხედვით, ასპირანტ ქვეყნებს უნდა შეეძლოთ, წვლილი შეიტანონ ნატო-ს კოლექტიურ უსაფრთხოებაში და მონაწილეობა მიიღონ მის მისიებში. (ნატო, 1999)

მაკედონიისგან განსხვავებით, საქართველო იყო ალიანსის ერთ-ერთი უდიდესი კონტრიბუტორი სამ საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში: ერაყი-მრავალეროვნული ძალები , საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები და მტკიცე მხარდაჭერა ავღანეთში. აგვისტოს ომამდე, საქართველომ გაზარდა თავისი კონტიგენტი ერაყში, რითაც გახდა მესამე უდიდესი კონტრიბუტორი აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ. ანალოგიურად, კრიზისის პერიოდში საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების მისიაში 1500-ზე მეტი ჯარისკაცი გაგზავნა, ხოლო მაკედონიის კონტიგენტი 200-ზე ნაკლებ ჯარისკაცს ითვლიდა. ამასთან ერთად, ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის, საქართველო იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ავღანეთში მიმდინარე მისიაში. (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2017)

კიდევ ერთი საკითხი, რაც საყურადღებოა ნატოს წევრებისთვის და ასპირანტი ქვეყნებისთვის, არის საკმარისი საბიუჯეტო დანახარჯები თავდაცვის სფეროში. ნატო-ს წევრებისთის მისაღები სამხედრო დანახარჯები მშპ-სთან მიმართებაში ორი პროცენტია. დიაგრამებზე დაკვირვებით 2008 წლის ომის შემდგომ ეს თანაფარდობა საქართველოში იყო უაღრესად მაღალი, რაც შეეხება მაკედონიას, მისი თანაფარდობა ნატოს სტანდარტთან ყველაზე ახლოს, 2008 წელს იყო, რაც შემდგომში 1%-მდე შემცირდა.

ალიანსის მომავალმა წევრებმა, გარდა ზემოთაღნიშნული ჩამონათვალისა, უნდა იზრუნონ ისეთ დემოკრატიულ ღირებულებებზე, როგორებიცაა: ინდივიდუალური და ეკონომიკური თავისუფლება, კანონის

უზენაესობა, ადამიანის უფლებები, სოციალური სამართლიანობა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და ა.შ. ისევ რაოდენობრივ მონაცემებზე დაკვირვებით, დემოკრატიის პოპულარიზაციის ინდექსის განსაზღვრისას, საქართველოს ბევრად მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ვიდრე მაკედონიას, ჩრდილოატლანტიკურ ინტეგრაციამდე. ამას ასევე ადასტურებს Freedom House-ის კვლევები და მეტიც აქვეყნებს ისეთ მონაცემებს, სადაც ნათლად ჩანს 2015 წლის შემდგომი თავისუფლების ხარისხის შეფარდება ამ ორ ქვეყანას შორის. საქართველომ მაკედონიას აჯობა როგორც ამ, ისე ადამიანების კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

მაკედონიის ცუდი "მოსწრება" ყველა ზემოთ განხილულ სფეროში, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც საქართველოს ხელ-ფეხს უკრავს ინტეგრაციის გზაზე. ფაქტი ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიული დავები რუსეთთან და მასთან მეზობლობა, ნატო-სთვის ქმნის ხელოვნურ ბარიერს, რათა მიიღოს საქართველო ალიანსში. რუსულმა ფაქტორმა დიდი გავლენა იქონია ნატო-ს ქართულ პოლიტიკაზე ორი ძირითადი მიმართულებით. პირველ რიგში, მან გაყო ორგანიზაციის წევრები სკეპტიკოსებად და მხარდამჭერებად, მაგალითად გერმანია, რომელიც არ უჭერს მხარს ამ წევრობას, ხოლო აშშ, რომელიც არა მარტო მხარს უჭერს ნატო-საქართველოს ინტეგრაციას, არამედ არის ორგანიზაციის ერთადერთი წევრი, რომელმაც საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები სანქციების პოლიტიკის დღის წესრიგში დააყენა. (აშშ კონგრესი, 2017)

ნატო საკმაოდ ფრთხილია სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებების პოტენციურ წყაროებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი მოკავშირესა და არა-ნატოს წევრ სახელმწიფოს შორის და ამის ფონზე მთელი ალიანსი ჩართოს ომში. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი და თურქეთი, ნატოს წევრები, კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფებიან, ეს შემთხვევა არარელევანტურად ჩაითვლება, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ქვეყანა ნატო-ს წევრი ცივი ომის პერიოდში და სრულიად განსხვავებულ გეოპოლიტიკურ რეალობაში გახდა. მაკედონიის შემთხვევა კი სათანადოდ ჯდება ნატო-ს გაფართოების პოლიტიკის ამჟამინდელ ლოგიკაში, რადგან საბერძნეთი და მაკედონია როგორც იქნა შეთანხმდნენ მაკედონიის სახელზე, მაშინ როცა ნატო-მ ოფიციალური მოწვევა გაავრცელა.

საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ მაკედონიას სამოქმედო გეგმა 1999 წელს მიენიჭა და წლების განმავლობაში მხოლოდ ერთ თვეში მიიღო ნატო-მ გადაწყვეტილება მაკედონიის ალიანსში მიღების. საქართელოსთვის ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმ დაძაბულობისა, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებობს, ნატო არ აპირებს, შეცვალოს გაფართოების პოლიტიკის პრინციპები და რომ გადაუჭრელი კონფლიქტები აღემატება იმ პროგრესებს, რომელსაც სამოქმედო გეგმა მოითხოვს.

მეორეს მხრივ, ნატო აცნობიერებს, რომ მან უნდა შეიმუშაოს თანმიმდევრული სტრატეგია, რომელიც საქართველოს არ დატოვებს იმედგაცრუებულს, რასაც ადასტურებს ნატოს გენერალური მდივნის, იან სტოლტენბერგის განცხადება, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს არ მოუწევს ოკუპირებული ტერიტორიების დათმობა წევრობის ხარჯზე და რომ ის გახდება ალიანსის წევრი. საქართველოს პერსპექტივად სწორედ ის გზა რჩება, შეასრულოს ნატო-ს მიერ ინიცირებული "მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში". ნატოსთან თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში წარმოადგენს საკმაოდ პერსპექტიულ სფეროს, გამომდინარე იქიდან, რომ ნატო ცდილობს, დააბალანსოს რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობა შავ ზღვაში.

ნატო-ს ინტერესს შავი ზღვის რეგიონში ადასტურებს აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველო, რუმინეთსა და უკრაინაში. გარდა იმისა, რომ გრძელდება თავდაცვის სფეროში პარტნიორობა და ურთიერთობები უფრო გაღრმავდა შეკავებისა და თავდაცვის გაძლიერების მემორანდუმით, საგულისხმოა ისიც, რომ ლოიდ ოსტინმა ისაუბრა დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობაზე ნატო-ში წევრობისთვის, დღის წესრიგში არსებულ მიმდინარე გამოწვევებსა და პოლიტიკურ პოლარიზაციაზე. (ინტერპრესნიუს, 2021)

დასკვნა

მაკედონიისა და საქართველოს რეფორმების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ დემოკრატიული, ეკონომიკური და ადამიანური განვითარების მაჩვენებლით საქართველომ მაკედონიას უპირობოდ აჯობა. თავდაცვის თვალსაზრისით, საქართველომ აჩვენა ნატო-ს კოლეტიური უსაფრთხოების უდიდესი ერთგულება. გარდა ამისა, საქართველომ შეინარჩუნა ნატო-ს სტანდარტები სამხედრო ხარჯებსა და მშპ-ს თანაბარდობაზე, ხოლო მაკედონია მუდმივად ამცირებდა თავდაცვის ბიუჯეტს. ყოველივე ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, მიუხედავად საქართველოს მიღწევებისა, ნატო-ს გაფართოების პოლიტიკაში

“რუსეთი პირველი” მიდგომა ყოველთვის წინ იყო. სანამ რუსეთი მკაცრად ეწინააღმდეგება ნატო-ს სამხრეთ კავკასიაში შეღწევას, ევროატლანტიკური ინეგრაცია იქნება ეკლიანი გზა საქართველოსთვის. ამას ასევე ემატება გაზრდილი პოლიტიკური პოლარიზაცია ქვეყნის შიდა სამზარეულოში, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის საქმედ და სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული არასტაბილურობა, სადაც ერთ-ერთ მთავარ აქტორად, ისევ და ისევ, რუსეთი გვესახება. რაც შეეხება, ინტეგრაციის პროცესს, აშკარაა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში არ არსებობს გაწევრიანების გეგმა, გამომდინარე პოლიტიკური არასტაბილური ვითარებისა, რაზეც ხაზგასმით ისაუბრა აშშ-ს თავდაცვის მდივანმა - ლოიდ ოსტინმა საქართველოში ვიზიტისას, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ნატო-მ ისეთი სფეროს კაპიტალიზაციით, როგორიცაა შავი ზღვის უსაფრთხოება, შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა საქართველოს წევრობასთან მიმართებით, რასაც ასევე ადასტურებს თავდაცვის მდივნის მიზანმიმართული ვიზიტი შავი ზღვის რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Civil.ge, 2012. ბათუმში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ დეპუტატად ბარამიძე იყრის ჯენჭს. http://old.civil.ge/geo/article.php?id=25844 (გადამოწმებულ იქნა: 11 ოქტომბერი 2021);
2. Independent Evaluation Group, 2009. The World Bank in Georgia 1993-2007. https://documents1.worldbank.org/curated/en/854491467993489399/pdf/104937-CAE-P106379-Georgia-CAE-Box396247B-PUBLIC.pdf (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
3. NATO, 1999. Membership Action Plan (MAP). https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27444.htm (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
4. Nato.int, 2008. Bucharest Summit Declaration. Issued by the Head of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Bucharest on 3 April 2008. https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
5. Nato.int, 2020. North Macedonia joins NATO as 30th ally. https://www.nato.int/cps/en/natohq/news_174589.htm (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
6. ინტერპრესნიუს, 2021. ლოიდ ოსტინი-აშშ დიდად აფასებს საქართველოს, როგორც მტკიცე სტრატეგიულ პარტნიორს - ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ უცვლელი დამტკიცეა. https://www.interpressnews.ge/ka/article/679237-loid-ostini-ashsh-didad-apasebs-sakartvelos-rogorc-mtkice-strategiul-partniors-chveni-mxardachera-sakartvelos-suverenitetisa-da-teritoriuli-mtlianobis-mimart-ucvlelli-da-mtkicea (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
7. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), 2017. https://caucasusbarometer.org/ge/ (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
8. რადიო თავისუფლება, 2015. თინა ხიდაშელი: ხალხი რომ არ გაწბილდეს, ნატოსგან მეტი უნდა მიიღოს საქართველომ. https://www.radiotavisupleba.ge/a/nato-georgia/27327246.html (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
9. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2017. თანამშრომლობა ნატო-სთან. https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
10. საქართველოს მთავრობა, 2000. საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია. http://iccn.ge/index.php?article_id=287&clang=0 (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021);
11. საქართველოს მთავრობა, 2005. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0 (გადამოწმებულ იქნა: 12 ოქტომბერი 2021).

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური კურსი (ისტორია, შედეგები და მიზნები)

გიორგი მხეიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერიტეტი
სოციალური მეცნიერებები - საერთაშორისო ურთიერთობები
ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ხელშეკრულების საბჭოს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე. კონკრეტულად, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა თანამშრომლბოის ჩამოსაყალიბებლად და გასამყარებლად, როგორც საქართველოს, ისე ნატოს ორგანიზაციის მხრიდან. რა არის ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მთავარი პრინციპები და რამდენად არის თავსებადი საქართველო ამ ღირებულებებთან. როგორი ნაბიჯები გადაიდგა საქართელოს სახელმწიფოს მხრიდან, რომ კონსტიტუციის დონეზე იქნა აყვანილი სახელმწიფოს სწრაფვა დასავლური ვექტორისკენ. რა პროგრამები განხორციელდა ნატო-საქართველოს შორის და რა შედეგების მომტანი აღმოჩნდა იგი. რა ასპექტშია სარგებლის მომტანი განხორციელებული პროგრამები და როგორ აისახა საქართელოს სახელმწიფოსა და თავდაცვის ძალებზე. რა არის საქართველოს სახელმწიფოს კონკრეტული მიზანი და რატომ აქვს სახელმწიფოს მტკიცედ ჩამოყალიბებული სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური კურსისკენ, შესაბამისად ინტეგრაცია ნატოში. როგორი არის დღევანდელი საქართველოს გამოწვევები უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკურ დღისწესრიგში. როდის იქნა ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციისგან დაფიქსირებული, მკაფიოდ, რომ საქართელო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი სახელწმიფო და რას ნიშნავს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მე-5 მუხლი კოლექტიურ თავდაცვასთან მიმართებაში, რომელიც უმნიშვნელოვანესია საქართელოს სახელმწიფოსთვის. იღებს თუ არა მონაწილეობას საქართველო თავდაცვის ძალები ნატოს სამშვიდობო ეგიდით გამართულ საერთაშორისო მისიებში და როგორია მისი როლი. რამდენად ურყევია ნატო-საქართველოს შორის ჩამოყალიბებული კავშირები და საქართველოს პოზიცია თავის პარტნიორთან. რა არის საბოლოო მიზანი, რომელიც სრულყოფს ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობას.

საკვანძო სიტყვები:
საქართველო, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რუსეთი, ოკუპაცია, უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა, პარტნიორი, ნატოს სამიტი, ნატოს მეხუთე მუხლი, თავდაცვის ძალები, დემოკრატია.

NORTH ATLANTIC COURSE OF GEORGIA (HISTORY, RESULTS AND OBJECTIVES)

GIORGI MKHEIDZE
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY
SOCIAL SCIENCES – INTERNATIONAL RELATIONS
SUPERVISOR: LEVAN NIKOLEISHVILI
PROFESSOR OF CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

ABSTRACT

The paper discusses the relations established between Georgia and the North Atlantic Treaty Organization. Specifically, what steps have been taken to establish and strengthen the staff by both Georgia and NATO. What are the main principles of the North Atlantic Treaty Organization and how compatible is Georgia with these values? What steps were taken by the state of Georgia to raise the aspiration of the state to the Western vector at the level of the Constitution. What programs were implemented between NATO and Georgia and what were the results? In what aspect are the implemented programs beneficial and how did they affect the state and defense forces of Georgia. What is the specific goal of the Georgian state and why does the state have a strong aspiration for the North Atlantic course, hence its integration into NATO. What are the challenges of today's Georgia in terms of security and geopolitical agenda. When it was stated by the North Atlantic Treaty Organization, it is clear that Georgia will definitely become a member of NATO and what does Article 5 of the North Atlantic Treaty Organization mean in terms of collective defense, which is crucial for the state of Georgia. Is Georgia participating in the NATO-led international peacekeeping missions and what is its role? How unshakable are the ties established between NATO and Georgia and Georgia's position with its partner. What is the ultimate goal of perfecting NATO-Georgia cooperation?

KEYWORDS:
Georgia, North Atlantic Treaty Organization, Russia, Occupation, Security, Geopolitics, Partner, NATO Summit, NATO Article 5, Georgian Defense Forces, Democracy.

საქართველოს სახელმწიფო, ფაქტობრივად დამოუკიდებლობის დღიდან მიისწრაფის ევროინტეგრაციისკენ და მკვეთრად აქვს აღებული პროდასავლური გეზი. საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ჩრდილოატალანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება. ნატო განიხილება, როგორც კოლექტიური თავდაცვის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო და სხვა რესურსი, რათა უზრუნველყოს მისი წევრების უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მშვიდობა ევროატლანტიკურ სივრცეში. (ნატო-ს მე-5 მუხლი - ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ნატოს წევრ ყველა ქვეყანაზე). ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისთვის, როგორც ორგანიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი არის პრინციპები: დემოკრატია, პიროვნების თავისუფლება და კანონის უზენაესობა. საქართელო სრულიად იზიარებს ზემოთ ჩამოთვლილ ღირებულებსა და ფასულობებს. საქართველოს აქვს მრავალი გამოწვევა, თუმცა მთავარ გამოწვევად რჩება, რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული, საქართველოს ტერიოტირების ოკუპაცია და მცოცავი ოკუპაცია, რომელიც ყოველდღიურობის ნაწილად არის ქცეული. ამგვარ რთულ ვითარებაში ნატო არის საქართველოს მთავარი მოკავშირე, როგორც გეოპოლიტიკურ დღისწესრგიში, ისე, რა თქმა უნდა უსაფრთხოების სფეროში. საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის მუშაობის შედეგად, კონსტიტუციის დონეზე გაფრომდა საქართელოს სწრაფვა დასავლური ვექტორის მიმართულებით. კერძოდ, მუხლი 78 -კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ჩრდილოატლანტიკური ოგანიზაციისა და საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, რომელსაც 1997 წლიდან ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო ეწოდა. ზემოთ ნახსენებ ფორმატში პარტნიორი და წევრი ქვეყნები მუშაობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია ორგანიზაციისთვის. ერთ-ერთი პირველი პროგრამა, რომელსაც საქართველო შეუერთდა იყო 1994 წელს. ამ პროგრამას ეწოდება - ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის". პარტნიორი მშვიდობისთვის პროგრამას მოჰყვა მთელი რიგი პროგრამები და საქართელოს აქტიური თანამშრმოლობა ჩრდილო ატლანტიკურ ალიასნთან. საქართველო 1996 წლიდან აქტიურად არის ჩართული ნატო-ს მიერ დაგეგმილ სწავლებებსა და წვრთნებში, და არა მარტო არის ჩართული, არამედ მასპინძლობს კიდეც სხვადასხვა პროგრამებს. ნატოსთან თანამშრომლობის აღნიშნული პრაქტიკული ინსტრუმენტები პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფებისა და მართვის სისტემების ნატოს ძალებთან თავსებადობას უწყობს ხელს. საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი არის რომ განხორციელდეს ინტეგრაცია ნატოში. პირველად ეს სურვილი საქართველომ გააჟღერა 2002 წელს ქ. პრაღაში, გამართულ ნატოს სამიტზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დღის შემდგომ იწყება საქართველოს აქტიური მუშაობა ნატოში ინტეგრირებისთვის. 2004 წელს საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. აღნიშნული თანამშრომლობის ინსტრუმენტი წარმოადგენდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსი, სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით საქართველოსგან ითხოვს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას, რომელიც ძალიან მნიშვნლოვანია ალიანსში ინტეგრაციისთვის. საქართველოს ინტეგრირებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო 2006 წელს, როდესაც ქ. ნიუ-იორკში, გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე, ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოსთან დაწყებულიყო ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე. აქედან გამომდინარე, საქართველო გადავიდა თანამშრომლობის ახალ ეტაპზე, პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის წევრობის კანდიდატის ასპირანტის ფორმატზე. ამგვარი ნაბიჯები და ინტენსიური დიალოგი წარმოადგენდა ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობას. ინტენსიური დიალოგისა და თანამშრომლობის შედეგად, საქართველომ მიიღო მონაწილეობა მრავალ კონსულტაციაში, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომის" შემდგომ, ნატოს ბუქარესტის სამიტზე, ალიანსიის მხრიდან იქნა გაჟღერებული რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. ამგვარი განწყობა ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციისგან წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს საქართველოსთვის, რომელიც ცხადყოფს თანამშრომლობის მაღალ დონეს. ასევე ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით შემუშავდა თანამშრომლობის ახალი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს სამხედრო თანამშრომლობას. საინტერესოა 2011 წელს გამართული შეხვედრა ნატოს შტაბ-ბინაში, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. შეხვედრის დასრულების შემდგომ, საქართველო მოიხსენიეს ასპირანტ ქვეყნად, მონტენეგროსთან, ბოსნია-

ჰერცეგოვინასთან და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად (მაკედონია 2020 წელს გახდა ნატოს წევრი სახელმწიფო, ხოლო ბოსნია-ჰერცოგოვინას, ნატოს ორგანიზაციისგან მიღებული აქვს აქვს სამოქმედო გეგმა). 2015 წელს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს განცხადება „ღია კარის“ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეებმა კვლავ გამოხატეს ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართ, რომლის თანახმად, საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ წარმოადგენს საქართველოს ნატოში მიწვევის თაობაზე მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილს. აღსანიშნავია, საქართველოსთვის დადებითი შეფასები მინისტერიალის შედეგად, სადაც ნატოს წევრებმა, ცალსახად დადებითად შეაფასეს საქართველოში განოხრციელებული რეფორმები.

უმნიშვნელოვანესია საქართველოს როლი ნატო-ს სამშვიდობო ეგიდით გამართულ მისიებში. საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი სახელმწიფო, აქტიურად იყო და არის ჩართული ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფები 1999-2008 წლებში მონაწილეობდნენ კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში. საქართველო ასევე მონაწილეობდა ნატოს მიერ დაგეგმილ სხვა სამშვიდობო მისიებშიც. აღსანიშნავია ერთ-ერთი მათგანი - ხმელთაშუა ზღვის აუზში განოხრციელებული ანტიტერორისტულ ოპერაცია. ასევე საქართველოს მონაწილეობა ავღანეთში განოხრციელებულ მისიებში. საქართველომ დაიკავა პირველი ადგილი არაწევრ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით. მისიაში მონაწილეობა მიიღო 12 000-ზე მეტმა ქართველმა საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურემ, რაც ძალიან დიდი ციფრია ასეთი პატარა სახელმწიფოსა და მოსახლეობის გათვალისწინებით. 2015 წელს ავღანეთში, საქართველო ჩაერთო ნატოს მისიაში, სადაც ის ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორია. ალიანსის და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან ქართველი სამხედროების მომზადების დონე და მათი მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა. ერთ-ერთი ბოლო ვიზიტისას, როდესაც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის გენერალურმა მდივანი, იენს სტოლტენბერგი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს, გიორგი გახარიას, მან შეხვედრის დროს კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოს როლს სამშვიდობო მისიბეში და მადლობა გადაუხადა საქართველოს სახელმწიფოს გაწეული სამსახურისთვის.

აღსანიშნავია ნატო-საქართველოს კომისიის ფაქტორი. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მხრიდან გაცხადებული ძალიან მკაფიო მხარდაჭერა, რომელიც მოჰყვა რუსეთის სახელმწიფოს მიერ განოხრციელებული აგრესიის შემდგომ (2008წელი). საქართველოში, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, ბრიუსელში გაიმართა შეხვედრა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაგმეს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსეთის ფედერაციის ქმედებები. სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება რომ უნდა შექმნილიყო ნატო-საქართველოს კომისია. ნატო-საქართველოს კომისია ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოსა და ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის თანამშრომლობისთვის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხელს შუწყობს საქართველოს გაწევრიანებას ალიანში. აღნიშნული კომისიის ფარგლებში აქტიურად იმართება შეხვედრები და სხვადასხვა საკითხის განხილვები ნატოსთან ორგანიზაციასთან მიმართებაში. 2014 წელს ამოქმედდა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი. ამ სამიტზე, კერძოდ უელსში, მიიღეს საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობდა ნატო-საქართველოს შორის არსებითი პაკეტის შემუშავებას, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს მომზადება გაწევრიანებისთვის და ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება. ალიანსმა აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება და კიდევ ერთელ გაუსხვა ხაზი საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. საქართველო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თავსებადი პარტნიორი, სხვა ოთხ ქვეყანასთან (შვედეთი, ფინეთი, ავსტრალია, იორდანია) ერთად „გაფართოებული შესაძლებლობების პარტნიორების“ ჯგუფში მიიწვიეს, რომლის ფარგლებში ქვეყანამ ნატოსთან თანამშრომლობის უფრო გაფართოებულ შესაძლებლობები მიიღო. ნატოს მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით, ნატო- საქართველოს არსებითი პაკეტის 14 სხვადასხვა პროექტი განისაზღვრა, რომლებიც ახალი ინტიტუტების ჩაოყალიბებასთან ერთად, თავდაცვის შესაძლებლობის ამაღლების კუთხით, ცალკეული მომართულებების განვითარებას მოიცავდა.

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული საქართველოს თავდაცვის ძალების სამუშაო გეგმების შედგენაში. კერძოდ, 2010 წელს, ნატოს-ს საბჭოს გადაწყვეტილებით თანამშრომლობის ახალი ინსტრუმენტი - ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა შემუშავდა. სამუშაო

გეგმა ნატო-საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის მთავარ ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ამ ყოველივესთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს სწავლებები ნატო-საქართველოს შორის არსებული პაკეტების გათვალისწინებით. ნატო-საქართველოს შორის არსებითი პაკეტის ფარგლებში დაარსებულმა წვრთნისა და შეფასების ცენტრმა პირველად უმასპინძლა სიმულაციურ სწალვებებს. უნდა ითქვას, რომ 2016 წელს განხორციელებული ნატო-საქართველოს სწავლება არის რიგით მეორე საერთაშორისო სწავლება, რომელიც ჩატარდა საქართველოში განთვალისწინებული პაკეტის ფარგლბეში. „ნატო-საქართველოს სწავლება 2016" ნატოს ტრანსფორმაციის სარდლობასთან და გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა, რომელიც დაგეგმვის საწყისი ეტაპიდან ნატოს პროცედურებისა და მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობდა. ამგვარი სწავლებები დღესაც რეგულარულად გრძელდება. სწავლება მიზნად ისახავდა საქართველოს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, დაგეგმარებას, კოორდინაციასა და მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის წარმომადგენლების უნარ-ჩვევების განვითარებას.

ნატო-ს მიერ, საქართელოში ასევე ხორციელდება სამხედრო და პროფესიული განვითარების პროგრამები. ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა მხარს უჭერს პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისა და სამხედრო სფეროში არსებული საგანმანათლებლო ინსტიტუტების განვითარებას, ტრანსფორმაციასა და ბოლონიის პროცესთან შესაბამისობას. ამ მიმართულებით 2009 წელს ნატომ საქართველოსთვის სპეციალური სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა შეიმუშავა. ეს გამოიხატა თავდაცვის აკადემიებისა და უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტების მხარდაჭერით. ასევე სასწავლო ცენტრებისა და მოკავშირეთა თავდაცვითი ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობით. რაც შეეხება პროფესიული განვითარების პროგრამას, ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამა 2009 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე დაარსდა. საქართველოს მთავრობასა და ნატოს შორის პროგრამის შესახებ ოფიციალური ხელშეკრულება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია და ვენის 1961 წლის კონვენციას ექვემდებარება. ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს ეფექტურ, დემოკრატიულ მმართველობის დანერგვას, ასევე აქტიურ მხარდაჭერას რეფორმებთან მიმართებაში და საჯარო მოხელეების (რა თქმა უნდა განსაკუთრებით იგულიხმება თავდაცვის, უსაფრთხოების სექტორში მომუშავე პირების) პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულ პროგრამებთან და სხვადასხვა თანამშრომლობის მექინზმებთან ერთად, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შედეგად, ხორციელდება კიდევ მრავალი პროგრამა და პროექტი, მაგალითად: ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართულობა, საჩხერის სამთო სათხილამურო სკოლის პროექტი, დაფუძნდა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი და ა.შ. ამგვარი თანამშრომლობა და განხორციელებული პროექტი მხოლოდ და მხოლოდ ამყარებს საქართველოს სახელმწიფოსა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც საჭიროებს კიდევ უფრო მეტ გაღრმავებას ურთიერთობისა და კავშირების, რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს საქართელოს ინტეგრაციით ჩრდილო ატალნატიკურ ორგანიზაციაში. დღესდღეობით ნატოში ინტეგრაცია, საქართველოს სახელმწიფოსთვის უმთავრეს და უპირველეს მიზანს წარმოადგენს. მოცემულ რეალობაში, საქართველოს სახელწმიფოსთვის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია არის მთავარი უსაფრთხოების გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Collective Defence – article 5
   https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm
2. Wales summit declaration - Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in
   https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm
3. Substantial NATO-Georgia Package (SNGP)
   https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2015_12/20151209_151209-factsheet-nato-georgia-package.pdf
4. NATO-GEORGIA EXERCISE 2016 Fact Sheet
   https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_11/20161109_1611-Factsheet-NATO-Georgia-exercises-2016-ENG.pdf
5. ნატო-საქართველოს ურთიერთობები
   https://bit.ly/2Z4el6L

საქართველო-ნატო - პარტნიორობის პოტენციალი და ინსტიტუციების როლი ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში

მაიორი ლაშა ქარდავა
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
უსაფრთხოების კვლევის სამაგისტრო პროგრამა

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი „საქართველო-ნატო - პარტნიორობის პოტენციალი და ინსტიტუციების როლი ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში“ წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტუდენტური კონფერენციისათვის ნაშრომს, რომელიც მომზადდა უსაფრთხოების კვლევის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

აღნიშნული სტატის შესავალ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საქართველო ევროკავშირის თანამშრომლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვაზე და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების წარმატებით შესრულების აუცილებლობაზე ევროკავშირში გაწევრიანების შეუქცევადი პროცესის უზრუნველსაყოფად.

სტატიაში საუბარია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესზე, როგორც საქართველოს საგარეო და უსაფრთხო პოლიტიკის ერთერთ მთავარ პრიორიტეტზე. საქართველო - ნატოს თანამშრომლობის განვლილი გზა, სამშვიდობო მისიებში საქართველოს მონაწილეობამ, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო წარმოაჩინა არა როგორც მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა, არამედ ქვეყანა რომელსაც შეუძლია ჩაერთოს სამშვიდობო პროცესებში და უზრუნველყოს სხვათა უსაფრთხოება.

საქართველოში დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებით განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობა, აღნიშნულიდან გამომდინარე სტატიის ბოლოს მოცემულია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის როლის შესახებ სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობისა და განვითარების პროცესში.

საკვანძო სიტყვები:
ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო, დემოკრატია, ინსტიტუცია, უსაფრთხოება, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა.

NATO-GEORGIA – THE POTENTIAL OF PARTNERSHIP AND THE ROLE OF INSTITUTIONS IN THE PROCESS OF DEMOCRATIC RECONSTRUCTION OF THE COUNTRY

MAJOR LASHA KARDAVA
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
MASTER'S DEGREE PROGRAM IN SECURITY STUDY

ABSTRACT

The present paper "Georgia-NATO - Partnership Potential and the Role of Institutions in the Process of Democratic Reconstruction of the Country" is a paper for the Student Conference of LEPL - David Agmashenebeli Georgian National Defense Academy, prepared within the Master's program in Security Studies.

The introductory part of this article focuses on a brief historical overview of Georgia-EU Collaboration and the need to successfully implement the measure envisaged by the Association Agreement to ensure the irreversible process of EU accession.

The article discusses the process of Georgia's integration into NATO as one of the main priorities of Georgia's foreign and security policy. Georgia - NATO's path of cooperation, Georgia's participation in peacekeeping missions, has presented Georgia in the international arena not only as a country that enjoys security, but also as a country that can engage in peacekeeping processes and ensure the security of others.

Sustainability of state institutions is critical to the successful development of democracy and the democratization process in Georgia. Therefore, the end of the article is about the role of the Defense Institution Building School in the process of sustainability and development of state institutions.

KEYWORDS:
North Atlantic Treaty Organization– NATO, Democracy, Institution, Security, DIBS – DEFENCE INSTITUTION BUILDING SHOOL.

საქართველოს ევროპიზაცია და განვითარება

ევროკავშირში და ნატოში საქართველოს გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს, რასაც მტკიცედ მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. საქართველოს მისწრაფება მიაღწიოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, ნათლად და ხაზგასმით არის მითითებული საქართველოს კონსტიტუციაში სადაც 78-ე მუხლში ნათქვამია „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“, ასევე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის რეზოლუციის ტექსტში.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველო მიისწრაფვის ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს არსებულ კრიზისების მოგვარებაში დიდი მხარდაჭერა ქონდა ევროკავშირის მხრიდან სხვადასხვა პროექტების და პროგრამების საშუალებით, რაც მიზნად ისახავდა ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და საქართველოს თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ გადაქცევას. საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობა შეიძლება ითქვას უკანასკნელი წლების განმავლობაში აქტიურ ფაზაშია, რაზეც კონკრეტული მიღწევები მიუთითებს, ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება, უვიზო რეჟიმის ფუნქციონირება, ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება და ა.შ. სწორედ აღნიშნული ღონისძიებების წარმატებით შესრულება უზრუნველყოფს საქართველოს ევროპიზაციის შეუქცევად პროცესს.

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ნატო, წარ¬მოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს, რომლის მთა¬ვარ მიზანია ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის და წევრი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვა. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებას გააჩნია წესდება, რომელიც ერთხმად აღია-რე¬ბული და დეკლარირებულია მისი წევრი ყველა სახელმწიფოს მიერ.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდ¬გომ განსაკუთრებით საყურადღებო გახდა საქართველოს საგარეო ორიენტა¬ციის მიმართულებები, რომელიც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ქვეყნის განვითარების პროცესში. რეგიონში არსებული კონფლიქტებიდან და დემარკაციის პრობ¬ლე¬მიდან გამომდინარე, სა¬ქართველოსათვის მოკავშირის მოძიება ისტორიულად რთულ საკითხს წარმოადგენდა. უმნიშვნელოვანეს საკითხს ისტორიულად წარმოადგენდა და დღევანდელი დღისათვის წარმოდგენს რეგიონში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხედვები, რომელიც უმეტესად წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან. საქართველოს დამოუ¬კი¬დებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს მოქალაქეებისა და ხელისუფლების ერ¬თობ¬ლივი სურვილია ქვეყნის ევროპულ და პროდასავლურ ორგანი¬ზაციებში გაწევრიანება. – „რა სარგებელი შესაძლოა მოუტანოს საქართვე¬ლოს, ნატოში გაწევრიანებამ და პირიქით „ - ეს კითხვა მრავალგზის განსჯის საგანია ისტო¬რიკოსთა, პოლიტიკოსთა თუ ეკონომისტთა საზოგადოებაში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნების მიერ ნატოში ინტეგრაციის შემდგომ მიღებული ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე. უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის მეხუთე პუნქტი კოლექტიური თავდაცვის შესახებ რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების გარან¬ტიას, რაც თავის მხრივ გახლავს ქვეყნის განვითარების უპირვე¬ლესი წინაპირობა. ნატოში გაწევრიანება ნიშნავს არა მარტო ქვეყნის უსა-ფრთხოებას არამედ მის ეკონომიკის გაუმჯობესებასაც. რადგანაც უსაფრთხო გარემო პირდაპირ პროპორციულია ინვესტიციებთან. მაგალითისათვის თუ შევადარებთ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და შემდგომ 2 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონო¬მიკურ ზრდის ინდექსებს ის 40%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო საქართველოში შექმნილი უსაფრთხოების გარემოდან. ლიტვის, ესტონეთის, რუმინეთისა და სლოვაკეთის მაგა¬ლითებიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას რომ ამ ქვეყნების ნატოში შესვლის შემდგომ მათი ეკონომიკა გაიზარდა, რადგან გაიზარდა იმ გარემოს უსაფრთხოება, რომელ გარემოშიც ხორციელდებოდა ეკონომიკური საქმიანობა. საქართველოსა და ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითიდან გამომდინარე, შესაძლებელია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ნატოში ინტეგრაცია სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას შეიქმნას უსაფრთხო გარემო რაც შემდგომში აისახება ეკონომიკაზე, ინვესტიციებზე და მრეწველობაზე. შესაბამისად საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ნატოში გაწევრიანება წარმოადგენს.

საქართველო-ნატო-სთან დაახლოების განვლილი გზა

1992 წლიდან იწყება საქართველო-ნატოს ურთი¬ერთობები, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდი¬ლოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC- North Atlantic Cooperation Council), რომელსაც 1997 წლიდან ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC-Euro-Atlantic Partnership Council) ეწოდა. ნატო საქართველოს შორის თანამშრომლობის გაფართოება 1994 წლიდან იწყება, როცა საქართველო ერთვება ნატოს პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის (PFP- Partnership for peace) რომლის მიზანიც სწორედ რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება იყო.

2004 წლიდან საქართველო - „ნატო“-ს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP – Individual Partnership Action Plan) ფორმატში თანამშრომლობს.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) მიხედვით საქართველო იღებდა გარკვეულ ვალ¬დებულებებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე. ვალდებულებები ძირითადად შეეხებოდა თავდაცვის უნარიანობის ამაღლებასა და განმტკიცებას, საიდანაც რამდე¬ნიმე მნიშვნელოვან მიმართულებას გამოვყოფ:

- შეიარაღებული ძალების აღჭურვა და მოდერნიზაცია, „ნატო“-ს დოქ¬ტ-რინების შესაბამისად;
- შეიარაღებული ძალების წვრთნისა და საბრძოლო მომზადების ტექ¬ნიკური ბაზის ჩამოყალიბება;
- თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ინსტიტუციების ჩამოყალი¬ბე¬ბა-განვითარება;
- ეროვნული სამხედრო სტრატეგიების შემუშავება;
- მრავალეროვნულ წვრთნებსა და მისიებში მონაწილეობა.

არსებული პაკეტის მიზანი „ნატო“-ს ქვედანაყოფებთან საქართველოს შეიარაღებული ძალების მაქსიმალური ადაპტირება გახლდათ და ის გრძელ¬ვადიან პერიოდზე იყო გაწერილი. ამავე წელს საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომლის თავდაცვის ბიუჯეტის სუბ¬სი¬დირებაც მოხდა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მხრიდან. ამავ¬დროულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოხდა 2006 წელს ნიუ-იორკში, გამართულ „ნატო“-ს შეხვედრაზე, სადაც ალიანსმა მიიღო გა¬დაწყვეტილება დაეწყო ინტენსიური საერთაშორისო დონის სწავლებები, რომელშიც ქართული მხრიდან წარმოდგენილი იქნებოდნენ შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები.

ნატოს სამიტები

საქართველო ნატოს ურთიერთობაში ბუქარესტის სამიტზე (2008 წლის 2-4 აპრილი) მიღებული გადაწყვეტილებები ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ სამიტზე ალიანსი ლიდერები შეთანხმდნენ რომ საქართველო „აუცილებლად გახდება ნატოს წევრი“. ერთი წლის შემდგომ სტრასბურგისა და კელის სამიტებზე (2009 წლის 2-3 აპრილი) წევრმა ქვეყნებმა თავიანთი ერთგულება გამოხატეს ბუქარესტზე აღებული ვალდებულებისადმი. რამაც თავისთავად გაამყარა ალიანსის ლიდერი ქვეყნების მიერ ბუქარესტის სამიტზე აღებული პასუხისმგებლობა და მიგვანიშნა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შეუქცევად პროცესზე.

ლისაბონის სამიტმა (2010 წლის 9-10 ნოემბერი) კიდევ უფრო გააღრმავა ნატო საქართველოს ურთიერთობები, როგორც პოლიტიკური დიალოგების ასევე პრაქტიკული თანამშრომლობის თვალსაზრისით, გაიხსნა სამეკავშირეო ოფისი საქართველოში, რომელიც საქართველოს რეფორმების იმპლემენტაციაში და შესაძლებლობების გამოყენებაში ეხმარება, განსაკუთრებით დემოკრატიის, საარჩევნო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორში.

შემდგომი მნიშვნელოვანი სამიტი იყო ჩიკაგოს სამიტი (2012 წელი 20-21 მაისი) სადაც საქართველოს ასპირანტი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა და ხაზი გაესვა საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ასევე საქართველოს ნატოში ინტეგრაციისაკენ ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ წინგადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს დაჯგუფება ბალკანეთის ქვეყნებთან, რომლებიც ნატოს პოტენციურ კანდიდატებად განიხილებიან.

საქართველო-ნატოს ურთიერთობის გაღრმავების შემდეგი ეტაპი უელსის სამიტია (2014 წლის 4-5 სექტემბერი), აღნიშნულ სამიტზე არ განიხილებოდა გაფართოების შესაძლებლობები, თუმცა საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა რომელსაც ალიანსმა თანამშრომლობის გაძლიერებული პაკეტი „არსებული შესაძლებლობების პაკეტი შესთავაზა“. პაკეტის მიზანი იყო საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და ალიანსში გაწევრიანებისათვის მზადება. რის ფარგლებშიც 2015 წელს საქართველოში ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი და 2016 წელს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა გაიხსნა.

ვარშავის სამიტზე (2016 წლის 8-9 ივლისი) ალიანსის მიერ მაღალი შეფასება მიიღო დემოკრატიული განვითარების გზაზე მიღწეულმა პროგრესმა და აღინიშნა რომ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული მექანიზმი, რათა მომზადებულ იქნა ალიანსის წევრობისთვის.

საქართველოს მონაწილეობა ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში და სამხედრო თანამშრომლობა

ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, საქართველო აქტიურად მონაწილეობს სხვადსხვა სამშვიდობო ოპერაციებში.

პირველი ასეთი სამხედრო თანამშრომლობა ალიანსსა და საქართველოს შორის დაიწყო 1999 წელს, როცა საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში ჩაერთვნენ (KFOR – Kosovo Forces) 1999-2008 წლებში.

აღსანიშნავია საქართველოს წვლილი ავღანეთში 2004 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციებში (ISAF – International Security Assistance Force). აღნიშნულ ოპერაციაში საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის, კონტიგენტის რიცხოვნობის მიხედვით. 2015 წლიდან ჩაერთო ავღანეთში ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში, სადაც მისიაში მონაწილე ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე პირველ ადგილზე იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველომ დამტკიცა, რომ მას აქტიურად შეუძლია ჩაერთოს სამშვიდობო პროცესებში და არ არის მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIBS – DEFENCE INSTITUTION BUILDING SHOOL) როლი დემოკრატიული ინსტიტუციების გაძლიერების პროცესში

საქართველოში დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებით განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობა. ვინაიდან საქართველო ახალგაზრდაა დემოკრატიაა და ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე მყოფი, რეფორმირების პროცესი ჯერ არ დასრულებულა და დღესდღეობით ჯერ კიდევ არსებობს დახარვეზებული, გადაუჭრელი საკითხები.

ზოგადად, საქართველოში დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის განვითარების პროცესში საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო ინსტიტუციების მდგრადობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

ამ გამოწვევის დასაძლევად 2016 წელს დაარსდა ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (Defence Institution Building School – DIB). იგი ჩამოყალიბდა თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის საშუალებით გაძლიერდა. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც საქართველოში მოვლენილი ნატოს ექსპერტთა ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება.

თავადაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა 4 ძირითად მიმართულებაზე უჭერს მხარს უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე რეფორმებს: კარგი მმართველობის მხარდაჭერა, თავადაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, უწყებათაშორისი თანამშრომლობა, ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობა.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის უახლოეს გეგმას წარმოადგენს ნატოს ინსტიტუციური აკრედიტაციის მიღება. რატომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული სკოლა? ეს იქნება ერთადერთი ინსტიტუცია საქართველოში, რომელიც სხვადასხვა კურსებს ნატოს აკრედიტაციით განახორციელებს.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლამ 5 წლის განმავლობაში 2016 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში ჩაატარა სულ 242 სასწავლო ღონისძიება (81 სასწავლო კურსი, 25 სემინარი, 14 ლექცია, 54 ტრეინინგი, 47 ვორქშოფი, 13 დისკუსია და 7 კონფერენცია) 5000 მონაწილე მსმენელისათვის. თავადაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის 2017-2018 წლიური ანგარიშის მიხედვით, სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო; თავდაცვის სამინისტროს 1330 მოსამსახურემ, უსაფრთხოებისა და სხვა არსამთავრობო ორგანიზაციებიდან 515 მონაწილემ, სხვა უწყებებიდან (სამოქალაქო საზოგადოება, ექსპერტები, აკადემიური წრე, საერთაშორისო ორგანიზაციები).

ამრიგად უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების სისტემატიური განვითარება უზრუნველყოფს ინსტიტუციურ აღმშენებლობას, კარგად ინფორმირებული და კომპეტენტური პერსონალი წინაპირობაა

ინსტიტუციური აღმშენებლობის. ინსტიტუციების სიძლიერე კი უზრუნველყოფს დემოკრატიზაციის სისტემატიზაციას და მდგრადობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი საქართველოსათვის რათა შეიქმნას წინა პირობა ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ევროპიზაციისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://surl.li/alvpg
2. http://old.infocenter.gov.ge/georgia-and-the-european-union/
3. https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda
4. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG
5. http://surl.li/alvpn
6. http://surl.li/alvpt
7. http://old.infocenter.gov.ge/georgia-and-nato/
8. https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan
9. https://dibs.mod.gov.ge/
10. http://surl.li/alvpz
11. https://dibs.mod.gov.ge/uploads/images/geo%2000010.pdf

ნატო-საქართველოს ურთიერთობები ინფორმაციული ომისა და კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევების ფონზე

ვიცე-პოლკოვნიკი ილია ჩანადირი, ვიცე-პოლკოვნიკი აკაკი გუნჯუა მაიორი დავით შალიკიანი და მარიამ ურმაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
სახელმწიფო რესურსების მართვის
სამაგისტრო პროგრამის იუნკერთა ჯგუფი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კიბერ ომის ისტორია, მისი არსი, საფუძვლები, წარმომავლობა და ტექნოლოგიური მიღწევები. ასევე კიბერ ომის, კიბერშეტევებისგან მომდინარე საფრთხეები, საინფორმაციო ომი და არსებული გამოწვევები. ძირითად საკითხს წარმოადგენს კიბერომი, როგორც რეალური კონვენციური ომის თანმდევი პროცესი და ასევე, ომის ალტერნატიული ვარიანტი. სტატიაში განხილულია გლობალური უსაფრთხოება, ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ ევროპის, ევროკავშირისა და ნატოს როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში, საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობა, უსაფრთხოება და რუსეთის მიერ განხორციელებული კიბერთავდასხმები. ნაშრომში განხილულია კიბერ ომის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მისი ადგილი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში. წარმოდგენილია კიბერ ომის წარმოების მაგალითები, გაანალიზებულია კიბერ ომის ტრანსფორმაციის ისტორიული ასპექტები. იქიდან გამომდინარე, რომ კიბერ ომის წარმოების მეთოდების დახვეწა და განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული ტექნოლოგიების განახლებასთან, ასევე წარმოდგენილია ნატო-ევროკავშირის მოკლე ისტორიული მონაკვეთები კიბერ- უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები:
თანამედროვე ომის წარმოების მეთოდები, საინფორმაციო ომი, კიბერსივრცე, კიბერშეტევა, უახლოესი ტექნლოგიური შეიარაღება.

NATO-GEORGIA RELATIONS IN THE CONTEXT OF INFORMATION WARFARE AND NEW CYBER SECURITY CHALLENGES

LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI,
LIEUTENANT COLONEL AKAKI GUNJUA
MAJOR DAVIT SHALIKIANI, MARIAM URMASHVILI
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
MASTER'S DEGREE PROGRAM IN
STATE RESOURCE MANAGEMENT

ABSTRACT

The paper discusses the history of cyberwar, mission, basics of origin, and technological advances. As well as the threats posed by cyber, cyber-attacks, information warfare, and existing challenges. The key issue is cyber warfare as a follow-up to the real conventional warfare as well as an alternative variant of warfare. The article discusses global security, the role of the United States, Western Europe, Eastern Europe, the European Union, and NATO in international security. Georgia's geostrategic situation, security, and cyber-attacks were carried out by Russia. The paper discusses the theoretical and practical aspects of cyberwarfare, its place in modern world politics. Examples of cyber production are presented; the historical aspects of the transformation of cyberwar are analyzed. Because the refinement and development of cyber warfare production methods are direct to technology upgrades, NATO-EU brief historical sections on cybersecurity are also presented.

KEYWORDS:
Modern warfare production methods, information warfare, cyberspace, cyber attack, latest technological weapons.

თანამედროვე ეპოქამ საფუძველი ჩაუყარა ბრძოლის ახალ მეთოდებს, რომლებმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა თანამედროვე მსოფლიო. ამან განაპირობა ბრძოლის შესაბამისი მიდგომების წარმოშობა, რამაც გამოიწვია თანამედროვე კონფლიქტების ახალ განზომილებებში გადაყვანა. აუცილებელი გახდა, სამხედრო დოქტრინებსა და სამოქმედო გეგმებში შესულიყო ცვლილებები, რომლებიც დაუპირისპირდებოდა თანამედროვე გამოწვევებს. მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, რომელთაც გააჩნიათ მისწრაფება, აკონტროლონ და საკუთარი ინტერესები გაავრცელონ სხვა ქვეყნებში, იყენებს ზეგავლენის ახალ მეთოდებს, ისეთებს როგორებიცაა კიბერ და საინფორმაციო ომი. ამ ახალი გამოწვევების წინაშე საქართველოს უსაფრთხოების საკითხი მწვავედ დადგა დღის წესრიგში. ამ ბრძოლაში საქართველოს მთავარ მოკავშირეს წარმოადგენს ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO). საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატო-ს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვან წილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. ახალი გამოწვევების ფონზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციულ ომსა და კიბერ სივრცეში ბრძოლას, ნატო-საქართველოს ურთიერთობა და მოკავშირეობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

ტერმინი „ინფრომაციული ომი“ არის ამერიკული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების (კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები) გამოყენებას და მენეჯმენტს, მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოსაპოვებლად. საინფორმაციო ომი შესაძლოა მოიცავდეს ტაქტიკური ინფორმაციის მოპოვებას, მიღებული ინფორმაციის ვალიდურობის დადასტურებას, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას მოწინააღმდეგისა და საზოგადოების დემორალიზებისთვის ან მანიპულაციისთვის. ასევე, ხელის შეშლას მოწინააღმდეგისთვის, მოიპოვოს სარწმუნო ინფორმაცია. ამ იარაღსგან საკუთრებით კარგად იყენებს რუსეთის ფედერაცია. 2013 წლის 27 თებერვალს გაზეთ „Военно-промышленный курьер“-ში გამოქვეყნდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის, სტატია, რომელშიც საუბარი იყო კრემლის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებებზე. „გერასიმოვის დოქტრინად“ წოდებული სტატიის თანახმად, თანამედროვე ომში წამყვანი ადგილი საინფორმაციო ომს უკავია (ავალიშვილი, ლომთაძე, ქევხიშვილი 2016). წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაცია სულ უფრო ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო პროპაგანდას. ამ ახალი გამოწვევის წინაშე საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი და მასში შემავალი ქვეყნები.

თანამედროვე მსოფლიო საინფორმაციო ომები მიმდინარეობს სახელმწიფოებს, პოლიტიკოსებს, კომპანიებს, ორგანიზაციებს, რელიგიურ დენომინაციებს შორის. საინფორმაციო ომში მთავარი იარაღი არის მედია, რომელზეც სრული კონტროლი საშუალებას იძლევა საზოგადოებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას, რომელიც აუცილებლად შეიქმნება პრობლემად სახელმწიფოსა თუ კონკრეტული სოციუმის დონეზე. საინფორმაციო ომის დროს იყენებენ საინფორმაციო ომის წარმოების რამოდენიმე მეთოდს. კერძოდ, ტელევიზიისა და რადიო გადაცემებს, დეზინფორმაციის გავრცელებასა და მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებისა და ინფორმაციის გავრცელების მასშტაბის ზრდასთან ერთად, თანამედროვე საზოგადოება კიდევ უფრო დაუცველია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, დაინტერესებული მხარის მიერ, მათი განწყობებით მანიპულირების მიმართ.

საინფორმაციო ომის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ინფორმაციის გავრცელების მასშტაბსა და ამ ინფორმაციის სიხშირეს ენიჭება. როგორც წესი, დაინტერესებული მხარე, მის დაქვემდებარებაში არსებული, სხვადასხვა მედია-საშუალებებით ავრცელებს ცრუ ინფორმაცის, რომელიც მანიპულირებს საზოგადოებაში არსებული ფობიებით, ეთნო-ნაციონალური სენტიმენტებით და პირდაპირ ემსახურება პოლიტიკური დივიდენდების მიღებას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ცვლის საზოგადოების განწყობებს დაინტერესებული ქვეყნის სასარგებლოდ. საინფორმაციო ომის ტაქტიკა, მეთოდოლოგია და სტრატეგიული ამოცანები განსხვავებულია ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, თუმცა, ემსახურება ერთ მიზანს – დაინტერესებული მხარისთვის პოლიტიკური გავლენისა და უპირატესობის მოპოვებას.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგიებში კიბერ-ომს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ნატო-ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია, რაც პირდაპირ კავშირშია რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებელ

პოლიტიკასთან. რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინის 2015 წლის ვარიანტში მე-16 და მე-17 პარაგრაფებში მთავარ მოწინააღმდეგეებად აშშ და ნატო მოიაზრებიან, ხოლო მე-7 პარაგრაფში პირდაპირ არის დაფიქსირებული რუსეთის ფედერაციის როლის ამაღლება მსოფლიო წესრიგის მოწყობის საქმეში. რუსეთის ფედერაცია ამბობს, რომ ის კი არ წარმოადგენს სხვა ქვეყნებისთვის საფრთხეს, არამედ თავად არის მსხვერპლი და მას აქვს ასამაღლებელი შესაძლებლობები, რათა გაუმკლავდეს აშშ-დან და ნატოდან მომდინარე საფრთხეებს. რეალური სიტუაცია და ფაქტები კი საპირისპიროს გვიმტკიცებს - მაგალითად, რუსეთმა სწორედ „ჰიბრიდული ომის“ ელემენტების გამოყენებით შეძლო სერიოზული დარტყმის მიყენება აშშ-სთვის, საპრეზიდენტო არჩევნების დროს შეიტანა პოლიტიკური არასტაბილურობის ნიშნები ამ სახელმწიფოს მონოლითურ პოლიტიკურ სისტემაში. საპრეზიდენტო არჩევნებში ჰაკერული ჩარევის ამბავი სრული სიცრუეც რომ იყოს, რუსეთი მაინც იღებს სარგებელს. აღნიშნული ფაქტი აჩენს განცდას, რომ იგი ყოვლისშემძლეა. სწორედ ეს იწვევს ნიჰილიზმს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობაში. თუმცა, რატომ მხოლოდ ამ ქვეყნის მოსახლეობაში? როდესაც მთელი ევროპა, აზია თუ აფრიკა ხედავს, რომ სუპერსახელმწიფოც კი დაუცველია გარკვეულ მომენტებში, ყველას უჩნდება იმედგაცრუებისა და უმწეობის განცდა. ამის ერთ-ერთ მაგალითად აშშ-ზე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებიც გამოდგება. აი, აქ გაჩნდა პირველად არა მხოლოდ “ამერიკული ნიჰილიზმი”, არამედ “მსოფლიო ნიჰილიზმი”. ამერიკის შეერთებულ შტატებს სწორედ ამ პერიოდში ჰქონდა ე.წ. „მოფერება-გადატვირთვის“ პოლიტიკა - სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მოსკოვში ჩაბრძანდა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს გადატვირთვის სიმბოლური ღილაკი აჩუქა, ხოლო იმჟამინდელ დოქტრინაში პირდაპირ ჩაწერეს, რომ რუსეთთან აუცილებელია კონსტრუქციული თანამშრომლობა, ნატო-რუსეთის უსაფრთხოება გადაჯაჭვულია და ასე შემდეგ. როგორც შემდგომში ვნახეთ, ამგვარმა მიდგომამ არ გაამართლა. რაც შეეხება ჩრდილოატალნტიკურ ალიანსს, მის სტრატეგიულ კონცეფციაში დიდი ყურადღება ეთმობა პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის ფაქტორს. ალიანსი ცდილობს, ევროატლანტიკურ პარტნიორობის საბჭოს წევრებს შორის ყველა საკითხში იყოს ნდობა და გამჭვირვალობა. ეს კი ევროკავშირისა თუ ნატოს არაწევრ ქვეყნებსაც ავალდებულებს, აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესებში. ურთიერთანამშრომლობის გარდაუვალობა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული პირველი აღწერილი კიბერ-ომის შემთხვევაც ადასტურებს. 2008 წლის რუსეთ საქართველოს საომარი მოქმედებების დროს, საქართველოს ინტერნეტ სივრცე კიბერ შეტევების წინაშე აღმოჩნდა, მიზანმიმართულად გატყდა და დაზიანდა მრავალი სახელმწიფო საიტი. ასევე, საინფორმაციო სააგენტოების კუთვნილი ინტერნეტ გვერდები. ქართული ინტერნეტ სივრცის მიმართულებით იგზავნებოდა დიდი რაოდენობის ქსელური პაკეტები, რამაც გამოიწვია ინტერნეტ არხების გადავსება და ქართული ინტერნეტ სივრცის დროებითი დაზიანებები. პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით მოხდა სახელმწიფო საიტის ფუნქციონირების აღდგენის და მათი დროებითი ასლების შექმნა ამერიკულ და ევროპულ ინტერნეტ სივრცეში.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევებიდან, ასევე აღსანიშნავია „GeorBot“-ის (2011-2012 წელი) კიბერ-შპიონაჟის შემთხვევა, რომელიც ქართული სახელმწიფო რესურსების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჰაკერების მიერ დაინფიცირდა მრავალი სახელმწიფო უწყება და რამდენიმე კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტი.

2007-2012 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით დაფიქსირდა მრავალი შემთხვევა, რომელთაგან აღსანიშნავია „Acad/Medre“ , „Red October“ , „Operation Shady RAT“-ის სახელებით ცნობილი კიბერშეტევები. აღნიშნული შეტევების დროს ინტერნეტის და კომპიუტერული ვირუსების გამოყენებით მიზანმიმართულად დაზიანდა სხვადასხვა ქვეყნებისა და კომპანიების მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა. შესაძლებელია ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მასშტაბური შეტევები გახდა მიზეზი იმისა, რომ 2016 წელს ნატოს წევრმა ქვეყნებმა კიბერსივრცე აღიარეს როგორც საომარი მოქმედებების სფერო.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მისწრაფებები კრიტიკულად მნიშვნელოვანია, აქედან გამომდინარე, ეფექტიანი საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების სისტემის არსებობა, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ნატოსთან თავსებადობის მისაღწევად. მუდმივი კიბერთავდასხმების რისკი დასავლელ პარტნიორებში საქართველოს მიმართ უნდობლობას გააჩენს, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ქვეყნის დასავლურ სტრუქტურებთან ინტერგაცია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე განხორციელდეს კვლევები, პარტნიორებთან ერთად უფრო მეტი სიხშირით ჩატარდეს ერთობლივი წვრთნები. ამასთანავე, საჭიროა საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების კუთხით მაღალგანვითარებულ ქვეყნების ექსპერტებთან ურთიერთობების გაღრმავება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე, გიორგი, ჯეოქეისი, რეგიონალურისამხედროდისბალანსიდასაქართველო: დასკვნებიმსჯელობისათვის, 2020 წლის 12 ივნისი https://www.geocase.ge/ka/publications/167/regionaluri-samkhedro-disbalansi-da-saqartvelo-daskvnebi-msjelobisatvis (გადამოწმებულ იქნა: 12.10.21);
2. ბურკაძე, ხათუნა, ჯეოქეისი. კიბერშეტევები, როგორც ომის წარმოების თანამედროვე ფორმა 2020 წლის 9 ივნისი https://www.geocase.ge/ka/publications/164/kibershetevebi-rogorc-omis-tsarmoebis-tanamedrove-forma (გადამოწმებულ იქნა: 10.10.21);
3. სვანიძე ვლადიმერი, კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოებისგამოწვევები, 2015 წელი https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf (გადამოწმებულ იქნა: 11.10.21);
4. Nagorno-Karabakh conflict. 2020 წლის 14 ოქტომბერი https://dronewars.net/2020/10/14/the-use-of-drones-in-the-ongoing-nagorno-karabakh-conflict/ (გადამოწმებულ იქნა: 10.10.21).

„თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ - თეორიიდან პრაქტიკამდე (ნატო-ს შემთხვევის გარჩევა)

ვიცე-პოლკოვნიკი ილია ჩანადირი, თამარ მახარაშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი აკაკი გუნჯუა და თეოდორე პაპავა
სახელმწიფო რესურსების მართვის
სამაგისტრო პროგრამის იუნკერთა ჯგუფი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
ეროვნული თავდაცვის აკადემია
სახელმწიფო რესურსების დაგეგმვისა და
მართვის სამაგისტრო პროგრამა

აბსტრაქტი

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, თუ რა გავლენა იქონია NATO-საქართველოს ურთიერთობებმა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარებაზე, რა ძირითადი ღონისძიებები იქნა გატარებული 1994 წლიდან დღემდე. რამდენად ესადაგება NATO-საქართველოს ურთიერთობები კოენის მოდელით მიღებულ თეორიას „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ - თეორიიდან პრაქტიკამდე. რა გავლენა მოახდინა პოლიტიკურმა თანამშრომლობამ NATO-სთან და რა მიიღო ამით ქვეყანამ. ასევე რა გავლენა ქონდა და აქვს NATO-საქართველოს ურთიერთობას სამხედროდ კუთხით და რამდენად ეფექტური იყო NATO-ს ეგიდის მისიებში მონაწილეობა ამ პატარა ქვეყნისთის. რა როლი მიუძღვს NATO-ს ქვეყნის თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის საქმეში.

სტატიის მიზანია აჩვენოს, რომ NATO-საქართველოს ურთიერთობა მნიშვნელოვანია საქართველოს უსაფრთხოების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ საქართელომ ბევრი იშრომა წინ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. ცალსახაა რომ საქართველო გახდება NATO-ს სრულუფლებიანი წევრი და საბოლოოდ მოახდენს ქართული სახელმწიოფებრიობის უსაფრთხოების დიდი ქოლგის ქვეშ მოქცევას.

საკვანძო სიტყვები:
NATO, „თანამშრომლობითი უსაფრთხოება, ალიანსი, თავდაცვის ძალები, მსოფლიო უსაფრთხოება, თავდაცვის ძალების ტრანსფორმაცია.

COLLABORATIVE SECURITY" – FROM THEORY TO PRACTICE (NATO CASE RESOLUTION)

LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI, TAMAR MAKHARASHVILI, LIEUTENANT COLONEL AKAKI GUNJUA, TEODORE PAPAVA
STUDENT OF MASTER'S TEAM
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
MASTER'S DEGREE PROGRAM IN
STATE RESOURCE MANAGEMENT

ABSTRACT

The main purpose of the article is to show the impact of NATO-Georgia relations on the development of the country's defense capabilities, what key measures have been taken since 1994. To what extent do NATO-Georgia relations fit into the Cohen's theory of "Cooperative Security" – from theory to practice? What was the impact of political cooperation with NATO and what did the country gain from it? As well as what impact NATO-Georgia relations have had and continue to have in military terms, and how effective it has been for this small country to participate in NATO-led missions. What role does NATO play in the transformation of the country's defense forces? The purpose of this article is to show that NATO-Georgia relations are important for Georgia's security. Despite the fact that Georgia has done a lot of work, there is still a long way to go. It is clear that Georgia will become a full member of NATO and will eventually bring the Georgian state under a large umbrella of security.

KEYWORDS:
NATO, "cooperative security", alliance, defense forces, modern warfare, world security, transformation of the Georgian defense forces .

თანამედროვე მსოფლიოში მწვავედ დგას უსაფრთხოების საკითხი. მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის უმთავრესია ოკუპაცია, ჰიბრიდული ომი, კიბერშეტევები და საინფორმაციო კამპანიები რომელიც მომდინარეობს რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ეს გამოწვევები საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს. ამ ბრძოლაში საქართველოს მხარს უჭერს და ზურგს უმაგრებს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (NATO – North Atlantic Treaty Organization). რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 1949 წელს და ემსახურებოდა საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხეების განეიტრალებასა და შეკავებას. საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, არაერთი კონფლიქტი და საომარი კამპანია გადაიტანა, რაც მძიმედ აისახა ქვეყნის განვითარებაზე. მისი სწრაფვა დასავლეთისკენ, რუსეთის ფედერაციის მხრიდან აღიქმება საფრთხედ. საქართველოში ხშირია აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ მოაქვს თუ არა სიკეთე საქართველო ნატო-ს ურთიერთობებს, რომელიც იწვევს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანებას, რაც ათეული წლებია მწვავედ ისახება ქართული სახელმწიფოებრიობაზე. საქართველო მცირე რესურსების გამო (ეს შეეხება როგორც ფინანსურ, ასევე ადამიანურს და ტერიტორიულს), არ შეუძლია მხოლოდ საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოება და თავდაცვა აგრესორის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ NATO წარმოადგენს ძლიერი მოკავშირეს და საიმედო დასაყრდენს თანამედროვე სამყაროში.

პირველ რიგში საინტერესო იქნება შევეხოთ და ორი სიტყვით განვიხილოთ ამერიკელი პოლიტოლოგის რიჩარდ კოენის თეორია, რომელიც ცნობილია კოენის მოდელის სახელით. „თანამშრომლობითი უსაფრთხოების "თეორიის არსი (კოენის მოდელი) ოთხ რკალს მოიცავს, ესენია ინდივიდუალური უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვა და სტაბილურობის მიღწევა საერთო ძალისხმევით. ამ თეორიას უნდა შეექმნა მსოფლიოში სტაბილურობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობები (ვახტანგ მაისაია, ეს ომი არ იქნება ხანმოკლე, 2014). თუ გავაანალიზებთ, საქართველოს გეოსტრატეგიულ მდებარეობასა და გამოწვევებს, აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ ქვეყნისთვის უსაფრთხოების გასაძლიერებლად და საფრთხეების შესამცირებლად მნიშვნელოვანი იქნება მესამე რკალის - კოლექტიური თავდაცვის შერჩევა, რომელიც გულისხმობს ქვეყნების გაერთიანებას საერთო სახის სამხედრო რისკების წინააღმდეგ. უფრო რომ გავშალოთ, ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანამ უნდა შეძლოს პირველ რიგში საკუთარი თავის დაცვა, ამის შემდგომ კოლექტიური უსაფრთხოების რიგებში უნდა გაწევრიანდეს, რათა შეძლოს გაერთიანება სხვადასხვა რისკების წინააღმდეგ. მესამე რკალში იგულისხმება ისეთ სამხედრო ალიანსში (სამხედრო ორგანიზაციაში) გაწევრიანება, რათა კოლექტიური უსაფრთხოებით შეძლონ საერთო ბრძოლა, აგრესორი ქვეყნის ან არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, საქართველოს მიერ არჩეული გზა და სწრაფვა ნატოსკენ, არის სწორი არჩევანი და წინ გადადგმული ნაბიჯი.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი NATO-სკენ სწრაფვისთვის, არის ქვეყნის ინდივიდუალური თავდაცვის შესაძლებლობებისა და ბრძოლის უნარიანობის გაზრდა. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ თავდაცვის ძალების სტრუქტურული თავსებადობა ნატოს ქვეყნების სტანდარტებთან. ასევე, ქართული თავდაცვის ძალების აღჭურვა NATO-ს სტანდარტის შეიარაღებით. თუ ავიღებთ, რიჩარდ კოენის პირველ რკალს და შევაფასებთ ქვეყნის ინდივიდუალურ თავდაცვას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანის თავდაცვის უნარიანობა, გაზრდილია ბოლო ათეული წლების განმავლობაში.

ამასთანავე, კიდევერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ საქართველოს ნატო - სთან დაახლოების განვლილი გზა - პოლიტიკური მხარდაჭერა. ალიანსში გასწევრიანებლად ნატო-საქართველოს ურთიერთობები, არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებით, ძალიან დიდი შრომაა ჩადებული პოლიტიკურ-დიპლომატიური კუთხით. ნატო-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობას 29 წლიანი ისტორია აქვს, ხოლო უშუალოდ სამხედროების ჩართულობას 22 წლიან ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს ისტორიის და ზოგადად მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდია, მაგრამ ქვეყნისთვის, რომელმაც თავი დააღწია საბჭოთა კავშირს, მოიპოვა დამოუკიდებლობა და საბჭოთა იარები ჯერ კიდევ არ მოშუშებია, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა შეძლო. ნატოს მხრიდან არაერთი რეზოლუცია და პოლიტიკური მხარდაჭერა იქნა მიღებული საქართველოს მხარდასაჭერად. მათ შორის მნიშვნელოვანია, 2008 წლის ბუქარესტის სამიტი, სადაც მიღებულ რეზულუციაში ჩაიწერა, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატოს სრულუფლებიანი წევრი. ამასთანავე მნიშვნელოვანი იყო,2006 წელს, ნიუი-ორკში გამართულ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრა, სადაც ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან დაეწყო ,,ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე" (ID-Intensified Dialogue on Membership Issues). აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად

საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდანალიანსის წევრობის, კანდიდატობის - ასპირანტის ფორმატზე. აღნიშნული პოლიტიკური გადაწყეტილებები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

თუგანვიხილავთ რიჩარდ კოენის მოდელის მეორე რკალს დავინახავთ, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა კოლექტიური უსაფრთხოების პროცესში. საქართველოს მონაწილეობა ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში და სამხედრო თანამშრომლობა ზრდის ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას. საქართველოს ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსთან (ნატო) 24-წლიანი თანამშრომლობის ისტორია აკავშირებს. ქვეყანამ 1992 წლიდან დღემდე გრძელი და მნიშვნელოვანი გზა განვლო. ნატო-ს ძალიან დიდი პოლიტიკური მხარდაჭერიდან გამომდინარე საქართველოს მიმართ, ამ ურთიერთბის ისტორიის განმავლობაში საქართველო ყოვეთვის ცდილობდა ყოფილიყო ღირსეული მეკავშირე და პარტნიორი მსოფლიოს ერთ ერთი ყველაზე ძლიერი სამხედრო ალიანსისა. სწორედ აღნიშნულის მიზეზია საქართველოს უდიდესი კონტრიბუცია ნატო-ს საერთაშორისო მისიებში. მაგალითის სახით შეგვიძლია თუნდაც მოვიყვანოთ ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში შესრულებული მისიები 2004 წლიდან 2021 წლამდესხვადასხვა დონეზე ჩატარებული 107 როტაციის ფარგლებში (ISAF, RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 20 ათასზემეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო.აქედან გამომდინარე წლების მანძილზე, საერთაშორისო მისიების შესრულებისას, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა, არაერთხელ დაადასტურეს მაღალი საბრძოლო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი, რითაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების სფეროში საიმედო მოკავშირე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ, ნატოს როლი საქართველოს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციასა და პროგრესში. ცალსახაა, რომ NATO-სსაქართველოს თვადაცვის ძალების ტრანსფორმაცია და განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის. თუ ჩავშლით აღნიშნულ საკითხს, პირველ რიგში თვალშისაცემია განათლება, სადაც ოფიცრთა და სერჟანტთა კორპუსის მომზადება მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების, მეთოდების, პრაქტიკის და ტექნიკის გამოყენებით. ქართველ სამხედროებს საშუალება აქვთ კვალიფიკაცია აიმაღლონ და განათლება მიიღონ ნატოს წევრ, ისეთ სახელმწიფოთა წამყვან სამხედრო სასწავლებლებში, როგორებიცაა: ა.შ.შ.; კანადა, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, ჩეხეთი, გერმანია, საფრანგეთი. სწორედ ნატო-ელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, რეკომენდაციებითა და მათ უშუალო ჩართულობით ხდება თავდაცვის ძალებისათვის სხვადასხვა საბრძოლო თუ საველე სახელმძღვანელოების შემუშავება და დოქტრინების დონეზე დახვეწა. ნატო-ელი პარტნიორების შეთავაზებითა და რეკომენდაციებით დაინერგა: სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (Defence Education Enhancement Program, DEEP). ამ პროგრამის მიზანია, მხარი დაუჭიროს, საქართველოს სამხედრო განათლების სისტემურ განვითარებას სამი ძირითადი მიმართულებით - ვისვასწავლოთ (Whom to teach): აკადემიური პერსონალისა და სამხედრო ინსტრუქტორების გადამზადება. - რა ვასწავლოთ (What to Teach): სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების გადახედვა და დახვეწა; - როგორ ვასწავლოთ (How to Teach): მეთოდოლოგია, სწავლების მეთოდები და პრინციპები. ასევე მნიშვნელოვანია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (Defence Institution Building School, DIB);

NATO- ს მხარდაჭერით შეიქმნა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC). ცენტრში ხდება, ქვედანაყოფების, როგორც წვრთნა, ასევე შეფასება. აღნიშნულ ცენტრში ტარდება მნიშვნელოვანი სამეთაურო საშტაბო საერთაშორისო სწვალებები. აღნიშნულ ცენტრში, ნატო-ს და ა.შ.შ.-ს უდიდესი ძალისხმევით მოხდა, ცხრა ქვეითი ბატალიონის გადამზადება - საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში (GDRP-T). დაიხვეწა და გაუმჯობესდა საბრძოლო მომზადების პროგრამების შემუშავების პროცესი ქვედანაყოფებში. ეს ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს ბრძოლის უნარიანობის გაზრდას (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თანამშრომლობა ნატოსთან, 2018).

აღნიშვნის ღირსია მრავალეროვნული სწავლებები, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე წლებია უწყვეტ რეჟიმში ტარდება კერძოდ, „მტკიცე სული“ და „ღირსეული პარტნიორი“, ამ სწავლებებს გარდა პოლიტიკური დატვირთვისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავდაცვის ძალების განვითარება ტრანსორმაციისთვის. სწავლებების დროს იხვეწება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ლოჯისტიკური ტვირთების სწრაფი და დროული ტრანსპორტირება კომბინირებული მეთოდებით (ხმელეთი, ზღვა, ჰაერი); კოორდინაცია როგორც უწყებათაშორის ასევევ სახელმწიფოთაშორსი დონეზე (ტაქტიკური, ოპერატიული, სტრატეგიული); ხდება სხვა ქვეყნებში არსებული შეიარაღების სისტემების შესწავლა; იხვეწება კავშირის წარმოების მეთოდები და ხდება ახალი სისტემების ინტეგრაცია; ხდება მცირე ზომის ქვედანაყოფების მიერ ერთობლივი ოპერაციების ჩატარება; ხდება თვალთავლისა და დაკვირვების სისტემების ინტეგრირება ზემოქმედების სისტემებთან

(დაზვერვა/არტილერია).

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია, თავდაცვის ძალების გადაიარაღება და საბრძოლო მომზადება/საბრძოლო მზადყოფნა. რომ არა ნატოს მხარდაჭერა, დღეს ქართული ჯარი აღჭურვილი იქნებოდა ისევ რუსული წარმოების შეიარაღებით და ქართველ ჯარისკაცს არ ექნებოდა შეხება ისეთ თანამედროვე სისტემებთან როგორიცაა, ჰარისის წარმოების რადიოსადგურები, სათვალთვალო ხელსაწყოები, ლაზერული მანძილმზომები და ღამისხედვის სისტემები, თანამედროვე შაშხანები, ტყვიამფრქვევები, ავტომატური ყუმბართმტყორცნები და ტანკსაწინააღდეგო შეიარაღება. რაც შეეხება საბრძოლო მომზადება/საბრძოლო მზადყოფნა, სწორედ ნატო-ს და ა.შ.შ.-ს უდიდესი ძალისხმევით მოხდა ცხრა ქვეითი ბატალიონის გადამზადება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში (GDRP-T). დაიხვეწა და გაუმჯობესდა საბრძოლო მომზადების პროგრამების შემუშავების პროცესი ქვედანაყოფებში. ქართული ბატალიონი ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები (NATO Response Force, NRF), რომელიც ნატო-ელი პარტნიორების დახმარებით არის შექმნილი.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი, ფაქტები და არგუმენტები, ცხადყოფს რომ საქართველოს თავდაცვის ძალებისათის ნატო-სთან მჭიდრო ურთიერთობა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმტომ, რომ საიმედო პარტნიორი და უსაფრთხოების გარანტიაა, არამედ ნატო-ს მოაქვს მეტი განათლება და განვითარება. აქედან გამომდინარე ეს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტი რიჩარდ კოენის მოდელის პირველი რკალის შესრულებას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნატოში გაერთიანება, მიზნად ისახავს ქვეყნის და მთელი მოსახლეობის უსაფრთხოებას. ეს ყოველივე კი, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევაში დიდ როლს ითამაშებს. ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით, საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში, თავისი უშუალო მეზობლებისთვის კიდევ უფრო საიმედო და პერსპექტიური პარტნიორი გახდება. ევროატლანტიკურ ორგანიზაციაში ინტეგრაცია ქვეყნას სტაბილურს და უსაფრთხოს გახდის. რაც მიმზიდველი იქნება უცხოური ინვესტიციებისთვის და უცხოელ პარტნიორებთან კავშირების გამყარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახტანგ მაისაია. ეს ომი არ იქნება ხანმოკლე" – რა გახდა თურქეთ-ამერიკას შორის დიდი განხეთქილების მიზეზი? ევრონიუსი. https://euronews.ge/ეს-ომი-არ-იქნება-ხანმოკლე/ (17.10.2021);
2. პიერ დე სენარკლენი, იოანე არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ტბილისი, 2014 წ;
3. გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი თუ რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები. თბილისი. 2017 წ;
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ქართული კონიგენტის გაცილება ავღანეთში 2015 წლის 30 სექტებერი.https://mod.gov.ge/ge/news/read,(17.10.2021);
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საერთაშორისო მისიები, მისია ავღანეთში. https://mod.gov.ge/ge/mission (17.10.2021);
6. საქართველო და ნატოს საინფორმაციო ცენტრი, სამშვიდობო მისიები. http://old.infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/#1 (16.10.2021);
7. საქართველოს ანალიტიკური საბჭო, საქართველოს კონტრიბუცია საერთაშორისო მისიებში და მისი როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში, 2015 წლის, 28 მაისი. http://acge.ge/ (16.10.2021);
8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველო ნატო-ს ურთიერთობები, https://mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/საქართველო-NATO-ს-ურთიერთობები.aspx. (18.10.2021);
9. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, საქართველოს ევროპეიზაცია 2020 წლის შემდეგ: პროგრესის შეფასება და გამოწვევების იდენტიფიცირება. http://gip.ge/ge/საქართველოს-ევროპეიზაცი/ (18.10.2021);
10. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თანამშრომლობა ნატოსთან. https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan) (18.10.2021).

ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, როგორც გამოწვევა ნატო-საქართველოს ურთიერთობებისთვის

ვიცე-პოლკოვნიკი ბიძინა წერეთელი, მაია ბეჭვაია და დავით ტაბატაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
უსაფრთხოების კვლევების
სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ევროატლანტიკური სტრუქტურებისა და მათში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მხრივ არსებული მდგომარეობის აღწერა.

ნაშრომი მიმოიხილავს ძალისხმევას, რომლებიც საქართველოში წარმოებს სხვადასხვა აქტორების მიერ ცნობიერების ამაღლების მისაღწევად, მათ წვდომას და გავლენას საზოგადოების სხვადასხვა ნაწილზე. ასევე განხილულია რუსეთიდან მართული საინფორმაციო კამპანია და ფსიქოლოგიური ოპერაციებიც, რომლებიც საქართველოში წარმოებს ანტი-დასავლური განწყობების გასაძლიერებლად. თვალსაჩინოებისთვის ნაშრომში მოყვანილია ფსიქოლოგიური ოპერაციის ერთი მაგალითი ახლო წარსულიდან, რომლის უშუალო მიზანიც საზოგადოებში NATO-ში გაწევრიანების მხარდაჭერის დაქვეითება იყო.

დასკვნის სახით ავტორები წარმოადგენენ ვარაუდს, თუ რა დადებითი და უარყოფითი გავლენები შეიძლება ჰქონდეთ განხილულ ძალისხმევებს საზოგადოების განწყობებზე დასავლური ინტეგრაციის მიმართ.

საკვანძო სიტყვები:
ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ცნობიერების ამაღლება, მოსახლეობის ინფორმირება, ევროპული არდადეგები, დასავლური ღირებულებები.

RAISING PUBLIC AWARENESS ABOUT EURO ATLANTIC INTEGRATION, AS A CHALLENGE FOR NATO – GEORGIAN RELATIONSHIP

LIEUTENANT COLONEL BIDZINA TSERETELI, MAIA BECHVAIA, DAVIT TABATADZE
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
MASTER'S DEGREE PROGRAM IN SECURITY STUDIES

ABSTRACT

The aim of the study is to describe the situation regarding efforts to increase social awareness about Euro Atlantic Integration.

The study discusses efforts in support of awareness, as well as their reach and effects on different part of the society. Russian controlled information campaign in Georgia and, in particular, Psychological Operations, with the aim to increase anti-western attitudes, are also discussed. For evidence, the paper includes one example of Psychological Operation from a recent past, the aim of which was to degrade support to integration in NATO among population.

As a conclusion, the authors will present an assumption on positive and negative effects that above-mentioned efforts can have on attitudes among the society towards integration in the western world.

KEYWORDS:
Euro Atlantic integration, awareness, informing the population, European Holidays, western values.

დინამიურად ცვალებადი გეოპოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მთავარ პრიორიტეტს **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში** (ნატო - **NATO**) გაწევრიანება წარმოადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სურვილია და რაც განმტკიცებულია 2008 წელს ჩატარებული პლებისტიცით, რომელშიც დაახლოებით 1 700 000 საქართველოს მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა და 77% მხარი დაუჭირა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე საქართველო და ნატო აქტიურად მუშაობენ პოზიციების დაახლოებისკენ.

2002 წლის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო - NATO) პრაღის სამიტზე, საქართველომ გააკეთა ოფიციალური განცხადება ალიანსში გაწევრიანებისკენ სწრაფვის შესახებ და 2004 წლის 29 ოქტომბერს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელთანაც ნატო-მ **„ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ (IPAP)** ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. აღნიშნული გეგმა (**IPAP**) წარმოადგენდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომელიც შედგებოდა ოთხი თავისაგან. ესენია:

I. **პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხები;**
II. **თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები;**
III. **საზოგადოების ინფორმირების, მეცნიერების, გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხები;**
IV. **ადმინისტრაციული, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და რესურსების საკითხები.**

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა (ნატო - NATO) და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს თანამშრომლობის ერთ-ერთ საკვანძო სფეროს. მოხსენების მიზანი სწორედ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით მიმდინარე ტრენდებისა და გამოწვევების, ასევე შესაძლებლობების განხილვაა.

NATO-ს შესახებ ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მიმდინარე მოვლენები შეიძლება დაიყოს მხარდამჭერ და ხელის შემშლელ ძალისხმევებად. მოხსენება თანმიმდევრობით აღწერს ჯერ NATO-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების მხარდამჭერ ძალისხმევებს, ინფორმაციას, შემდეგ კი წინააღმდეგობრივ ხელის შემშლელ ძალისხმევას, დეზინფორმაციას.

1. ნატო-ს ძალისხმევა საქართველოში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით

NATO-ს შესახებ საქართველოს მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 19 სექტემბრის №752 ბრძანების საფუძველზე დაფუძნდა სსიპ **„საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“**, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს მასშტაბით, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გარდა, თბილისის სათაო ოფისისა და 11 რეგიონალური წარმომადგენლობის (აჭარა: ბათუმი და შუახევი, გუარია, სამეგრელო - ზემო სვანეთი, იმერეთი, რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, სამცხე - ჯავახეთი, მცხეთა - მთიანეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) საშუალებით.

აღნიშნული ცენტრი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო - **NATO**) გაწევრიანებისთვის საქართველოს მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის შესანარჩუნებლად, განსამტკიცებლად და ასამაღლებლად, დაარსების დღიდან დასახული მიზნების განსახორციელებლად აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობის, არასამთავრობო სექტორის, დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლებთან.

საინფორმაციო ცენტრის მიზანს პროაქტიური და ეფექტიანი კომუნიკაციის გზით, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ობიექტური და ფაქტებზე დამყარებული ინფორმაციით მოსახლეობის ინფორმირება, მოქალაქეების ცოდნის დონის გაღმავება და მათი აღნიშნულ ინტეგრაციის პროცესში ჩართულობის გაზრდა წარმოადგენს.

საინფორმაციო ცენტრის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ სკოლის მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ახალგაზრდები, პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საოკუპაციო ხაზთან და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, სასულიერო პირები, მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სხვ.

დასახული მიზნის მისაღწევად, საინფორმაციო ცენტრი მუდმივად გეგმავს და ახორციელებს სამიზნე ჯგუფების სპეციფიკაზე მორგებულ საჯარო ღონისძიებებს, პროექტებს, საინფორმაციო კამპანიებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებს, ღია დისკუსიებს და სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებს მთელი

ქვეყნის მასშტაბით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი პროექტები:

I. **„დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა რეგიონებში“** - პირველი მასშტაბური პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციისგან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ ქვეყნის მოსახლეობის მედეგობის გასაძლიერებლად მიიღო. პროექტში მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარტნიორი რეგიონალური მედიის წარმომადგენლების მონაწილეობა. პროექტის ფარგლებში, გაიმართა 774 ღონისძიება, პირდაპირი კომუნიკაცია დამყარდა 26700 ადამიანთან, გაფართოვდა საინფორმაციო ცენტრის რეგიონალური ქსელი (გაიხსნა 4 ახალი ბიურო - მაღალმთიანი აჭარა, რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ქვემო ქართლი და გურია), პარტნიორმა რეგიონალურმა მედიასაშუალებებმა მოამზადეს 283 მედიაპროდუქტი (1 000 000 მეტი ნახვა საქართველოს მასშტაბით), შესაძლებელი იქნა დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ობიექტური და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება ფართო საზოგადოებისთვის და აღნიშნული პროცესის მიმართ საზოგადოების განწყობების შესახებ ორი კვლევა ჩატარდა. პროექტის პირველი ფაზა დასრულდა 2020 წელს, ხოლო მეორე ფაზაზე მუშაობა განახლდა 2021 წლიდან და გაგრძელდება 2022 წლის ივლისამდე.

II. **„ნატო - საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი“** - სახალხო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების შესახებ მსჯელობის მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს, სადაც განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები, როგორიცაა ნატო - საქართველოს თანამშრომლობა, შავი ზღვის რეგიონში არსებული ჰიბრიდული გამოწვევები, ანტიდასავლური პროპაგანდა და მასთან ბრძოლის პროცესში ინფორმაციისა და განათლების როლი.

III. **„ევროპული არდადეგები“** და **„ჩართულობის აკადემია“** - ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ახალგაზრდების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობები) როლი უმნიშვნელოვანესია. აქედან გამომდინარე, საშუალო სკოლის მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ. საინფორმაციო ცენტრის მიზანს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება დასავლური ღირებულებების, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე აღნიშნულ პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზნით საინფორმაციო ცენტრი რეგულარულად მართავს სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საგანმანათლებლო - შემეცნებით ღონისძიებებს (მათ შორის, საჯარო ლექციები, ღია კარის დღეები, საზაფხულო სკოლები, კონკურსები, ინტელექტუალური თამაშები, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები) ქვეყნის მასშტაბით. პროექტის ფარგლებში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ 300-მდე ახალგაზრდას საქართვლოს სხვადასხვა რეგიონიდან მიეცა საშუალება გაცნობოდა ქვეყნის ღირშესანიშნაობებს და მიეღო ობიექტური ინფორმაცია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ და ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის როლზე. პროექტის მონაწილეებთან შეხვედრები გამართეს სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა.

IV. ციფრული ფორმატის სასერტიფიკატო კურსში (**„ჩართულობის აკადემია“**), საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 400-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. ვებინარების ფარგლებში, ლექციებს უძღვებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე მოწვეული ექსპერტები, რა დროსაც, სტუდენტებთან ერთად განხილულ იქნა ისეთი თემები, როგორიცაა დეზინფორმაციული კამპანიები და ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის მეთოდები.

V. **„ნატო - არჩევანი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისთვის“ და „მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“** - მსგავსად ახალგაზრდებისა, პროფესორ - მასწავლებლებიც (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობები) საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ. პროექტი („ნატო - არჩევანი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისთვის“) მრავალი წელია წარმატებით ხორციელდება, რომლის ფარგლებში, 30-ზე მეტი სემინარი გაიმართა და 800-ზე მეტი პედაგოგი გადამზადდა. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორების ცნობიერების ამაღლებას ქვეყნის დასავლურ ინტეგრაციის საკითხებზე.

VI. პროექტის (**„მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“**) ფარგლებში, პედაგოგები ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციის მიზნით, სკოლებში სხვადასხვა აქტივობას გეგმავენ, ახორციელებენ და პროექტის სახით წარადგენენ კონკურსში. საუკეთესო პროექტების ავტორები სასწავლო ვიზიტით სტუმრობენ ევროკავშირის წევრ სხვადასხვა ქვეყნებს და ეცნობიან მასპინძელი ქვეყნების განათლების სიტემას, მიმდინარე რეფორმებსა და ინიციატივებს. პროექტის ფარგლებში, ექვსი წლის მანძილზე, 700-ზე მეტი

პედაგოგი გადამზადდა, 400-ზე მეტი პროექტი განხორციელდა და 60-ზე მეტი პედაგოგი სასწავლო ვიზიტით ევროკავშირის წევრ სხვადასხვა ქვეყანას ეწვია.

ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები არ წამოადგენს იმ ღონისძიებათა სრულ ჩამონათვალს, რასაც **„საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ"** ახორციელებს საქართველოს მასშტაბით. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან პროექტებსაც, როგორიცაა **„ევროპის დღეები", „ნატოს დღეები", „გავიცნოთ დიდი ბრიტანეთი", „შემოქმედებითი ზაფხული", „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები"**, ასევე ორგანიზებას უწევს შეხვედრებს **„Erasmus +"**-ის ფარგლებში საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობების შესახებ, მედიასკოლებსა და ონლაინ სემინარებს რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის, სოციალური მედიის საშუალებით ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს, ატარებს საზოგადოებრივი აზრის კვლევებს, სხვადასხვა სახის კონკურსებსა და ტრენინგებს დეზინფორმაციასთან გამკლავების საკითხებზე როგორც მისთვის პრიორიტეტული სამიზნე აუდიტორიებისთვის, ასევე თავად საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებისთვისაც, რადგან საზოგადოების ობიექტური და სრული ინფორმაციით დროული აღჭურვა და დეზინფორმაციის მიმართ მოქალაქეების მედეგობის გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა ანტიდასავლური პროპაგანდა და მისგან გამოწვეული საფრთხეები დიდ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის.

2. საქართველოს ძალისხმევა NATO-ს შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით

საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი სახელმწიფო, აქტიურად არის ჩართული ნატო-ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ქართული სამხედრო ქვედანაყოფები 1999-2008 წლებში მონაწილეობდნენ კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში. საქართველო ასევე მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაცია „აქტიურ ძალისხმევა"-ში, რომელიც ინიცირებულ იქნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეხუთე მუხლის საფუძველზე 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ.

აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთში აწ უკვე დასრულებულ ოპერაციაში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF). საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ISAF-ის მონაწილე, არაწევრ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით.

2015 წლიდან საქართველო ჩაერთო ავღანეთში ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში, სადაც ის მისიაში მონაწილე ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე რიგით პირველი კონტრიბუტორია. საქართველო, 2015 წლიდან ასევე შეუერთდა ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს (NATO Response Force - NRF).

ზემოთ აღნიშნულ ოპერაციებში აქტიური მონაწილეობის გარდა საქართველო აქტიურად ატარებს საკანონმდებლო და უწყებრივ დონეებზე ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაობს, მაგალითად ნატოს და ევროკავშირის მიმართ ცნობიერების ასამაღლებლად საქართველოს მთავრობამ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაცია ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. 2013 წელს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგია ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ. 2015 წლიდან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციის სტრუქტურული ერთეულები და გაძლიერდა სსიპ - საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ შესაძლებლობები.

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში, ასევე, აღსანიშნავია, **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის** როლი, რომლის ამოცანას ნატოში ინტეგრაციისა და ალიანსთან თანამშრომლობის საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა წარმოადგენს.

აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

2020 წლის ბოლოს NDI-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი განწყობების კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ნატოსა და ევროკავშირის მიმართ ნდობა და მასში გაწევრიანების სურვილი ყოველწლიურად მატულობს, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას რესპონდენტების 80% ემხრობა (76% 2020 წლის აგვისტო), 8%-ისთვის მიუღებელია, 12%-მა კი – არ იცის. ბლოკში გაერთიანებას უფრო მეტად (84%) 18-34 წლის ახალგაზრდები ემხრობიან.

კვლევის მიხედვით, საქართველოს ნატოში გაწევრიანება მისაღები გამოკითხულების 74%-ისთვის (69%

2020 წლის ივნისი) არის, 9% ნატოში ინტეგრაციას არ ემხრობა, 16%-მა არ იცი. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების იდეასაც უმეტესად (78%) 18-34 წლის ასაკის ახალაზრდები ემხრობიან.

აღნიშნული კველვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამიზნე ჯგუფებში შედარებით გამოწვევა გვაქვს ასაკოვან მოსახლეობაში, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს მათზე რუსული ძალების შედარებით მეტი ზემოქმედებით, რაც გამოიხატება დეზინფორმაციის გავრცელებისთვის იმ საშუალებების გამოყენებით რაც მეტად ხელმისაწვდომია ქვეყნის მოსახლეობის შედარებით ასაკოვანი ნაწილისთვის.

საქართველოს მოსახლეობითვის ნატოს და ევროკავშირის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება, ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის დაახლოებით 13%-ს წარმოადგენს, რომელთაგან უმრავლესობა მიეკუთვნება ორ ჯგუფს 6.5% - ეთნიკური აზერბაიჯანელები და 4.5% - ეთნიკური სომხები აღნიშნული ორი ჯგუფი ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ეთნიკური ქართველებისგან განსხვავებით, ისინი არაერთსულოვანნი არიან ქვეყნის დასავლური საგარეო პოლიტიკური მიმართულების მხარდაჭერის მხრივ. ეთნიკური ქართველების 75-80%-ისგან განსხვავებით, აზერბაიჯანელთა მხოლოდ 30-35% და სომეხი მოსახლეობის მხოლოდ 45-50% უჭერს მხარს ევროკავშირში საქართველოს პოტენციურ გაწევრიანებას (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები 2019). ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად სეგმენტს ანტიდასავლური პროპაგანდისადმი, მათ შორის, რუსეთის პროპაგანდის კუთხით.

სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 2019 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. 2019 წელს, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის 125-მდე ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 3400-მდე ადამიანთან დამყარდა პირდაპირი კომუნიკაცია. შეხვედრები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. წლის განმავლობაში, საინფორმაციო ცენტრი სისტემატურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის აქტივობას, მათ შორის, საჯარო ლექციებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებსა და კამპანიებს, ღია დისკუსიებს, საგანმანათლებლოშემეცნებით ღონისძიებებს და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინფორმაციას აწვდიდა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის, ასოცირების შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, თუმცა როგორც სხვადასხვა კვლელები აჩვენებს საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება, მაგალითად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი მედიების შექმნის დაფინანსება, რაც შეამცირებს რუსულ პროპაგანდას, ასევე რაც შეიძლება დეტალური ინფორმაციის მიწოდება ეთნიკური უმცირესობების ენაზე და მეტად მოიცვას უფროსი თაობა, რომლებიც ნაკლებ ინფორმაციას ფლობს ევროკავშირზე და უფრო სკეპტიკურად არის განწყობილი, ვიდრე ახალგაზრდები

3. რუსეთის ფსიქოლოგიური ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ, როგორც გამოწვევა ნატო-საქართველოს ურთიერთობებისთვის

იმისათვის, რომ ვისაუბროთ რუსეთის მიერ საქართველოში წარმოებულ ფსიქოლოგიურ ოპერაციებზე და მათ შედეგებზე, ჯერ უმჯობესია განვიხილოთ ზოგადად ფსიქოლოგიური ოპერაციების არსი და რუსეთის ფედერაციის ინტერესები საქართველოში.

ისევე, როგორც ნებისმიერი ავტორიტარული რეჟიმისთვის, რუსეთის ფედერაციისთვისაც სტრატეგიული დონის რისკს წარმოადგენს მის საზღვრებთან წარმატებული, დასავლურ სამყაროში სრულად ინტეგრირებული სახელმწიფოს არსებობა, რადგან ამგვარი სახელმწიფოს პრეცედენტი გავლენას მოახდენს რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ერების მისწრაფებებზე. შესაბამისად, საქართველოში რუსეთის სტრატეგიული მიზნები დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის აღკვეთაა.

ამავე მიზნებს ემსახურება რუსული სპეცსამსახურების მიერ მართული ფსიქოლოგიური ოპერაციებიც. პრეზენტაციის ფორმატი არ გვაძლევს ამ ფენომენის სიღრმისეული აღწერის საშუალებას, ამიტომაც შემოვიფარგლებით მისი განმარტების და მიზნების, ასევე უახლესი ისტორიიდან ერთი მაგალითის განხილვით და გამოვთქვამთ ვარაუდს ბრძოლის ამ სახეობის შედეგებზე.

როგორ შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ ფსიქოლოგიური ოპერაციები? მაგალითად ამგვარ განმარტებას გვთავაზობს ა.შ.შ.-ს თავდაცვის დეპარტამენტი:

„დაგეგმილი ოპერაციები შერჩეული ინფორმაციისა და ინდიკატორების უცხოური აუდიტორიისთვის

გადასაცემად მათ ემოციებზე, მოტივებზე, ობიექტურ განსჯაზე გავლენის და, საბოლოოდ, უცხოური ხელისუფლებების, ორგანიზაციების, ჯგუფებისა და ინდივიდების ქცევაზე გავლენის მოსახდენად. ფსიქოლოგიური ოპერაციების მიზანია ორიგინატორისთვის სასურველი უცხოური შეხედულებებისა და ქცევის გამოწვევა და გაძლიერება."[1]

მოყვანილ განმარტებაში რამდენიმე საგულისხმო ცნებაა. ოპერაციები იგეგმება კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. მათი სამიზნე არა ჯავშანტექნიკა ან ფორტიფიკაციები, არამედ ადამიანის შემეცნებაა. მათი სასურველი ეფექტი არა განადგურება ან დანგრევაა, არამედ შეხედულებებისა და ქცევის, შემეცნების, ოპერაციის ფართო მასშტაბების შემთხვევაში კი - იდენტობის ძალისმიერი ფორმირება.

ფსიქოლოგიურ ოპერაციებს კიდევ რამდენიმე ძალზედ საინტერესო თავისებურება ახასიათებთ. კერძოდ, მათი დაგეგმვის პროცედურები პრინციპულად არ განსხვავდება სხვა სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის პროცედურებისგან. უფრო მეტიც, ამგვარი ოპერაციები არის საბრძოლო ოპერაციების ნაწილი, კონკრეტულად, გაერთიანებული საცეცხლე მხარდაჭერის ერთერთი, არა კინეტიკური კომპონენტი. მაგალითად, სამხედრო ფსიქოლოგიური ოპერაციის ერთერთი სახეა მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის გეგმის აღსრულება.

რაც შეეხება უშუალოდ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულ ფსიქოლოგიურ ოპერაციებს, ზემოთ მოყვანილი განმარტებისგან განსხვავდება იმით, რომ იყენებს არა მხოლოდ შერჩეულ ინფორმაციას და ინდიკატორებს, არამედ დეზინფორმაციასა და ცრუ ინდიკატორებსაც.

ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიური ოპერაციები არის არაკინეტიკური ძალის გამოყენება ადამიანის შემეცნების წინააღმდეგ. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ომის დროს ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მოწინააღმდეგის მებრძოლი ძალის წინააღმდეგ. შესაბამისად, თუ ფსიქოლოგიურ ოპერაციებს განვიხილავთ, როგორც საინფორმაციო ომის შემადგენელს, შეიძლება ასევე ჩაითვალოს, რომ ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომელთა სამიზნე აუდიტორიაც საბრძოლო მოქმედებებში არ ჩართული მოსახლეობაა, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

საქართველოს უახლეს ისტორიაში რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული ფსიქოლოგიური ოპერაციების ბევრი მაგალითი და დატოვებული კვალია. მაგრამ მოხსენება განიხილავს შერჩეული ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ნაზავის გავრცელების მხოლოდ ერთ მაგალითს თვალსაჩინოებისთვის. უშუალოდ მაგალითის აღწერამდე, მისი შინაარსის უკეთ გასააზრებლად, საჭიროა იმ ინფორმაციის განხილვა, რომლიდანაც ოპერაციის დამგეგმავებმა კონტენტი მიზანმიმართულად ამოარჩიეს ოპერაციის მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე.

საქმე ეხება მორწმუნე მართლმადიდებელი სამოქალაქო პირების მსხვერპლს საბრძოლო მოქმედებების დროს. სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში ამგვარი მოვლენა არაერთხელ მოხდა და მათ შორის საქართველოშიც.

2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის დროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით დაიღუპა ძალოვანი უწყებების 184 წევრი და 224 სამოქალაქო პირი. სამოქალაქო პირების მსხვერპლი 5 დღიანი აქტიური საბრძოლო მოქმედებების შედეგია. საქართველოს მოსახლეობაში სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დაღუპულთა უმეტესი ნაწილი მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. პარადოქსულია ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის ორი ასპექტი: 1. დაღუპულ სამოქალაქო პირთა რაოდენობა აღემატება დაღუპულ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა რაოდენობას, 2. ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების 5 დღისთვის დაღუპულ სამოქალაქო პირთა რიცხვი არაბუნებრივად მაღალია. ეს ფაქტები ხაზს უსვამს რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებებისთვის დამახასიათებელ არაადეკვატურად დიდ თანამდევ ზიანს.

ქრისტიან მართლმადიდებელთა შორის მსხვერპლი გამოიწვია ასევე ნატო-ს საავიაციო ოპერაციამ ყოფილი იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ 1999 წელს. ოპერაცია მიმდინარეობდა 78 დღის განმავლობაში. ოფიციალური ცნობებით კამპანიის განმავლობაში განხორციელდა 10 000-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა და იერიში იქნა მიტანილი დაახლოებით 900 მიზანზე.[2] 2013 წელს სერბეთის პრემიერ მინისტრ ალექსანდრ ვუჩიჩის მიერ დასახელებული დაღუპული ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების რაოდენობა დაახლოებით 1000 მებრძოლია და ეს რაოდენობა მეტ-ნაკლებად ემთხვევა ნატო-ს ოფიციალური წარმომადგენლების მიერ დასახელებულ ციფრს.[3] საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-მა დაახლოებით 500 სამოქალაქო პირის დაღუპვა დაადასტურა. ასევე დაფიქსირდა იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ცოცხალ ფარად გამოყენების ფაქტებიც, რასაც ომის მხოლოდ ერთ ეპიზოდში 80-მდე სამოქალაქო პირის დაღუპვა მოჰყვა.

1 M 1-02 (FM 101-5-1) MCRP 5-12A Change No. 1 Headquarters Department of the Army Washington, DC, MCRP 5-12A 2 February 2010
2 https://www.hrw.org/sites/default/files/reports/natbm002.pdf
3 https://balkaninsight.com/2016/03/24/serbia-remembers-nato-bombing-victims-03-24-2016/

რომ შევაჯამოთ, ნატო-ს მიერ წარმოებული 79 დღიანი ძალზედ ინტენსიური საავიაციო ოპერაციის თანამდევი ზიანი დაღუპული სამოქალაქო პირების სახით არის მებრძოლთა შორის მსხვერპლთან შედარებით ორჯერ ნაკლები. რაც მთავარია, კამპანიის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მოწინააღმდეგის მიერ მოსახლეობის ცოცხალ ფარად გამოყენების პირობებში, ნატო-ს ოპერაციის თანამდევი ზიანის ინტენსივობა არის შეუდარებლად მცირე ვიდრე რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში წარმოებული 5 დღიანი საავიაციო და სარაკეტო იერიშების თანამდევი ზიანის დონე.

საბრძოლო მოქმედებების თანამდევი ზიანის ამ ორი ისტორიული მაგალითის ფონზე 2014 წელს საქართველოში რუსთავსა და თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მოხდა დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომელიც ასახავდა 1999 წელს ნატოს შეიარაღებული ძალების მიერ ყოფილი იუგოსლავიის, ამჟამად კი სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის დაბომბვას. ორგანიზატორების თქმით დაბომბვის შედეგად დაიღუპა ათასობით უდანაშაულო მართლმადიდებელი ქრისტიანი.[45]

ერთი შეხედვით ალოგიკურია ის არჩევანი, რომელიც ღონისძიების ორგანიზატორებმა გააკეთეს ფილმის შერჩევისას. თუ მათი მოტივი განპირობებული იყო საბრძოლო მოქმედებების შედეგად მართლმადიდებელი ქრისტიანების დაღუპვის გულისტკივილით, რა შეიძლება იყოს იმ ფაქტზე უფრო მტკივნეული საქართველოში, ვიდრე ამ ფილმის ჩვენებიდან სულ 6 წლით ადრე 5 დღის განმავლობაში მოკლული 224 თანამოქალაქე, რომელთა უმეტესობაც მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო? რა შეიძლება იყოს იმაზე მეტად დასაგმობი, ვიდრე ომის განმავლობაში დაღუპულ მებრძოლზე მეტი დაღუპული სამოქალაქო პირი? ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ისმის კითხვა, თუ რას ემსახურებოდა ყურადღების გამახვილება ფილმის ჩვენებიდან 14 წლით ადრე წარმოებული ნატო-ს ოპერაციის თანამდევ ზიანზე და არა 6 წლით ადრე დაღუპულ თანამოქალაქეებზე.

ღონისძიების ორგანიზატორების არჩევანის ლოგიკას ხსნის ის ფაქტი, რომ ქალაქ რუსთავში გამართულ ფილმის ჩვენებაზე დამსწრეებმა არათუ არ გაიხსენეს მათი დაღუპული თანამოქალაქეები, არამედ ფეხზე წამოდგომით პატივი მიაგეს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მხოლოდ რუსი ჯარისკაცების ხსოვნას. პატივი მიაგეს სწორედ მათ, ვინც გამოიწვია ასეთი არაადეკვატური მსხვერპლი საქართველოს მოსახლეობაში.

ზემოთ მოყვანილი მოვლენა არის შერჩეული ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ნაზავის გავრცელების, კონკრეტული მიზნის მიხედვით დაგეგმილი ფსიქოლოგიური ოპერაციის თვალსაჩინო მაგალითი. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოსახლეობის შემეცნებაზე წარმოებული ძალადობის მიზანი ანტი დასავლური შეხედულებების ჩამოყალიბებაა. უშუალოდ ნატო-ს საწინააღმდეგო არა კინეტიკური ოპერაციების მიზანი სწორედ ცნობიერების ამაღლების ეფექტების განეიტრალებაა მოსახლეობაში მიუღებლობისა და ინტეგრაციის პროცესის უარყოფის გამოწვევით. ოპერაციების მეთოდი და იარაღი რელიგიური და პოლიტიკური სენტიმენტებით მანიპულირებაა, საბრძოლო მასალა კი შერჩეულ ინფორმაციაზე აგებული დეზინფორმაციით გაძლიერებული იდეა.

რუსულ არა კინეტიკურ ოპერაციებს უდავოდ აქვთ გარკვეული ეფექტი. მოხსენების ავტორებისთვის შეუძლებელია ამ ეფექტის ზუსტი გაზომვა, თუმცა შესაძლებელია ამის შესახებ ვარაუდის ჩამოყალიბება.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ახლო წარსულში წარმოებული საბრძოლო ოპერაციების შედეგად საქართველოსა და უკრაინაში ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანები იღუპებიან, ძნელია საქართველოში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა მორწმუნე მართლმადიდებელია, სამიზნე აუდიტორია დაარწმუნო, რომ მის იდენტობას რუსულ აგრესიაზე მეტად რამე სხვა ფაქტორი უქმნის საფრთხეს. აქედან გამომდინარე ზემოთ მოყვანილი ფსიქოლოგიური ოპერაციის მიზანი საკმაოდ ამბიციური იყო, შესაბამისად რადიკალური, დაუფარავი იყო ოპერაციის ფორმაც და მასში მონაწილეთა განწყობაც.

რუსეთის ფედერაციის არაკინეტიკური ოპერაციების ეფექტების ვარაუდისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაც უფრო რადიკალურ სახეს იძენს გავრცელებული დეზინფორმაცია ან რაც უფრო არაობიექტურად ხდება ინფორმაციის შერჩევა-მანიპულირება, დროსთან ერთად მით უფრო მცირდება ინფორმაციის წყაროს სანდოობაცა და მისი მოქმედებების ეფექტიც.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მტრული საინფორმაციო ომი უდავოდ ამცირებს საქართველოს მოსახლეობაში ნატო-ს შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების ეფექტს. შესაბამისად რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში წარმოებული ფსიქოლოგიური ოპერაციები წარმოადგენს ხელის შემშლელ პრობლემას ნატო-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების გზაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის მიერ ქვეყნის NATO-ში გაწევრიანების მხარდაჭერისა, მაინც სახეზეა გამოწვევები ინფორმაციის არასაკმარისი <u>გავრცელებისა</u> და დეზინფორმაციის გავრცელების სახით.

4 https://tabula.ge/ge/news/561794-evraziis-institutis-momkhreebma-tabulas

5 https://netgazeti.ge/news/30381/

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიღების მთავარი ენა რუსულია. ფსაბამისად მოსახლეობის აღნიშნული ნაწილი მიდრეკილია ინფორმაციის რუსული წყაროებიდან მიღებისკენ. ინფორმაციის რუსული წყაროები კი ანტი დასავლური, განსაკუთრებით NATO-ს საწინააღმდეგო დეზინფორმაციული შინაარსითაა გაჯერებული. ეს ფაქტორი ამცირებს როგორც სახელმწიფოს ძალისხმევის წვდომას მოსახლეობის აღნიშნულ ნაწილზე, ასევე ზრდის დეზინფორმაციული პროპაგანდის გავლენასაც. საქართველოში რუსული საინფორმაციო წყაროებისთვის გადამწყვეტი კონკურენციის გაწევის, ან სულაც მათი ჩანაცვლების გარეშე მომავალში ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის მიუღებლობა უფრო მოსალოდნელია. ეს თავის მხრივ პრობლემას წამოჭრის კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირების მხრივ.

საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული დაგეგმილი NATO-ს საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური ოპერაციები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საქმეში, კომპლექსური საინფორმაციო თავდაცვის გარეშე აღნიშნული გამოწვევა მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფოსა და NATO-ს ძალისხმევის ეფექტებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით. აქვე უნდა ითქვას, რომ საინფორმაციო თავდაცვა არა აუცილებლად რეაქტიული, არამედ უმჯობესია პრო-აქტიული იყოს, რადგან 2018 წელს მასაჩუსეთსის ტექნიკური ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მასშტაბური კვლევა ადასტურებს, რომ დეზინფორმაცია კიბერსივრცეში უფრო სწრაფად ვრცელდება და უფრო მეტ მომხმარებლამდე აღწევს, ვიდრე ინფორმაცია.[6] შესაბამისად, დეზინფორმაციაზე რეაქტიული რეაგირება მისი გაქარწყლების მიზნით შედარებით ნაკლებ ეფექტური ქმედებაა, ვიდრე დეზინფორმაციის გავრცელება თვითონ. მოსახლეობის ფსიქოლოგიური ოპერაციებისადმი რეზისტენტულობის ამაღლება საინფორმაციო თავდაცვის ერთერთი პრო-აქტიული ზომა და NATO-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების პარალელური ძალისხმევა შეიძლება იყოს.

საბოლოოდ, საქართველოს მოქალაქეების ობიექტური განსჯა, არჩევანი, შემეცნება და განწყობა უნდა მარაგდებოდეს ცოდნით და დაცული უნდა იყოს ძალისმიერი ზემოქმედებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://old.infocenter.gov.ge/natoinfo/
2. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm
3. https://bit.ly/3pbnqWr
4. https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/3650131?publication=0
5. http://old.infocenter.gov.ge/
6. http://shorturl.at/bituM
7. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202020%20Poll_GEO_FINAL.pdf
8. FM 1-02 (FM 101-5-1) MCRP 5-12A Change No. 1 Headquarters Department of the Army Washington, DC, MCRP 5-12A 2 February 2010
9. https://www.hrw.org/sites/default/files/reports/natbm002.pdf
10. https://balkaninsight.com/2016/03/24/serbia-remembers-nato-bombing-victims-03-24-2016/
11. https://tabula.ge/ge/news/561794-evraziis-institutis-momkhreebma-tabulas
12. https://netgazeti.ge/news/30381/
13. https://www.bbc.com/news/technology-43344256

6 https://www.bbc.com/news/technology-43344256

საქართველოს ნატოში ინტეგრაციისა და ეროვნული უსაფრთხოების სამომავლო პერსპექტივები

ნიკოლოზ ხაჩიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის
მიმართულების იუნკერი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობისა და სამომავლო ურთიერთობების განვითარების შემდგომი პერსპექტივები, საქართველოს ნატოში გაწევრიანების ახლებური მიდგომის დადებითი და უარყოფითი მხარეები იმ ფუნდამენტურ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ეროვნული ინტერესების მატარებელია.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და საქართველოს ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და სტაბილური სახელმწიფოს ასაშენებლად გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს თავდაცვის სფეროში მყარი საფუძვლების შექმნა. უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ეკონომიზაციის, დემოკრატიზაციისა და ინფორმატიზაციის უპრეცედენტო შესაძლებლობებთან ერთად, უფრო დაუცველს ხდის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას XXI საუკუნეში არსებული გამოწვევების მიმართ.

ამჟამად საქართველო წარმოადგენს ნატოში გაწევრიანების კანდიდატ ქვეყანას. აქტიურად მონაწილეობს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ოპერაციებში, ასევე თანამშრომლობს წევრ და პარტნიორ სახელმწიფოებთან სხვადასხვა სფეროში, თუმცა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საქართველოს დასავლური კურსის შენარჩუნება და ნატოში გაწევრიანების საკითხი, რასაც განაპირობებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში განვითარებული მოვლენების განსაკუთრებული დინამიურობა.

სამხრეთ კავკასია წარმოადენს მრავალმხრივ გამორჩეულ რეგიონს როგორც გეოპოლიტიკური, ისე სტრატეგიული მნიშვნელობის თვალსაზრისით. საქართველო არის ენერგო მატარებლებისა და ზოგადად, საკომუნიკაციო ხაზების ბუნებრივი ,,დერეფანი''და წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას ევროკავშირისა და ნატოსთვის. აქედან გამომდინარე, რუსეთი ცდილობს აგრესიული პოლიტიკის გატარებით ხელი შეუშალოს რეგიონის პროდასავლური კუთხით განვითარებას. კრემლი სამხედრო ძალის გამოყენებით (კარგად გამოცდილ მეთოდი) ახდენს ტერიტორიების ოკუპირებასა და ამ ტერიტორიების გამოყენებით რეგიონის ქვეყნების შიდა და გარე პოლიტიკაზე ზემოქმედებას, რაც დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს დასავლური კურსის შენარჩუნებისა და ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით. ნატოსთვის ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს საქართველოსთან მიმართებაში. ამ დაბრკოლების გვერდის ავლის მიზნით, საქართველოს მეგობარი ამერიკელი მკვლევარებისგან გაჟღერებულ იქნა ნატოში გაწევრიანების ახალი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მე-5 პუნქტის გავრცელება არ მოხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვიდრე არ განხორციელდება აღიშნული ტერიტორიების დეოკუპაცია. სწორედ აღნიშნული ინიციატივისა და ნატოში გაწევრიანების ახალი მიდგომის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლასა და ანალიზზეა გაკეთებული ძირითადი აქცენტები მოცემულ ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები:
საქართველოს ნატოში ინტეგრაცია, რუსეთის რეგიონალური ჰეგემონიის ამბიციები, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი. უსაფრთხოება

GEORGIA'S INTEGRATION INTO NATO AND FUTURE PROSPECTS FOR NATIONAL SECURITY

NIKOLOZ KHACHIDZE
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
CADET, MASTER'S DEGREE PROGRAM IN
DEFENSE ANALYSIS

ABSTRACT

The paper discusses further prospects for cooperation between NATO and Georgia and the development of future relations, The pros and cons of Georgia's new approach to NATO membership on fundamental issues of national interest.

The current processes in the world and the historical experience of Georgia show that in order to maintain the independence of the country and to build a stable state, it is imperative to create a solid foundation in the field of defense. Security is especially relevant in the age of globalization, when the unprecedented opportunities for economization, democratization and informatization make the system of international relations more vulnerable to the challenges of the 21st century.

Georgia is currently a candidate country for NATO membership, actively participating in operations led by the North Atlantic Treaty Organization, as well as cooperating with member and partner countries in various fields. However, the maintenance of Georgia's western course and NATO membership is still in question, which is due to the special dynamics of developments in the South Caucasus region.

Currently, the South Caucasus is a multifaceted region in terms of both geopolitical and strategic importance. Georgia is considered to be a passage of energy and communicative lines in general. Accordingly, this region represents an important direction for UN and Nato. Hence it follows that Russia tries to prevent the pro-Western development of the region with an aggressive policy. Russia, (with the well-known method) occupies the territories with the use of military forces and by using these territories it influences the country's internal and external politics. This is an obstacle in terms of maintaining Georgia's western course and joining NATO. For NATO, occupied territories and Russia's factor is an important obstacle in reference of Georgia. To avoid this obstacle some of Georgia's friend explorers inform about a new approach of joining. According to a new approach , the spread of N5 article will not occur in occupied territories until the de-occupation of these territories. The main focus of this paper is on the study and analysis of the pros and cons of this initiative and the new approach to NATO membership.

KEYWORDS:
Georgia's integration into NATO, ambitions of Russian regional hegemony, Article 5 of the North Atlantic Treaty. security.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი იმპერიების დაშლის შედეგად პატარა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს და საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდნენ, როგორც დამოუკიდებელ მოთამაშეები. რა ნიშნავს პატარა ქვეყანა? ალექსანდრე რონდელის განმარტებით, პატარა ქვეყნის სტატუსი ვერ განისაზღვრება მხოლოდ ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. საკითხის განხილვისას უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ პატარა ქვეყანა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით არის სუსტი ქვეყანა. ამ ტიპის ქვეყნებს არ აქვთ უნარი დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე (რონდელი 2009, 14-18). პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების დაცვისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებისთვის თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკა გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე ეს გასულ საუკუნეში იყო, თუმცა, დღევანდელ მსოფლიოშიც არის ქვეყნები, რომლებიც აგრესიულ და დამპყრობლურ პოლიტიკას ატარებენ პატარა ქვეყნების მიმართ. აღნიშნული ფაქტის ნათელ მაგალითს წარმოადგენს რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსი სამხრეთკავკასიის რეგიონში. კერძოდ, საქართველოს წინააღმდეგ, რასაც განსაკუთრებულ სიმძაფრეს ძენს ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ირიბად ერევა ქვეყნის შიდა უსაფრთხოების საკითხებში და ხელს უშლის საქართველოს ევროატლანლიკური კურსისკენ სვლას. აღნიშნული რთული მოცემულობის გათვალისწინებით, საქართველოსთვის აქტუალურ სკითხად რჩება ისეთ ორგანიზაციაში გაწევრიანება როგორიც არის ,,ნატო''. ნატო-საქართველოს შორის დიალოგი და თანამშრომლობა 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს, რომელიც თანდათანობით ღრმავდებოდა. ინტენსიური პარტნიორობისთვის მძლავრ კატალიზატორად იქცა 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ და შემდგომი დემოკრატიული რეფორმების ტალღა. ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქარეთველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ეკონომიკური განვითარებასა და შესაძლებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაშიც ითამაშოს დადებითი როლი.

მე-20 საუკუნის 80 იან წლებში საბჭოთა კავშირის დასუსტების პირისპირ საქართველოში აქტიური ბრძოლა დაიწყო დამოუკიდებლობის აღდგენისთვის და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შედეგად მიღწეული იქნა დასახულ მიზანი, თუმცა, ამ მოვლენებიდან ერთ წელიწადში დასუსტებული საბჭოთა კავშირი ისედაც დაიშალა და დამოუკიდებლობა მოიპოვეს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა აზერბაიჯანმა და სომხეთმა. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ძლიერი მოთამაშეების თურქეთის, რუსეთის ინტერესების გატარებამ სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია რეგიონში. ამასთან, საქართველომ გამოვლინა ევროპული კურსით განვითარების სურვილი და შესაბამისად, რუსეთმა დაიწყო აგრესიული პოლიტიკის გატარება რეგიონის პატარა ქვეყნების მიმართ. კრემლი 90-იან წლებიდან დაწყებული კონფლიქტების პროვოცირებით ახდენს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო და საშინაო პილიტიკურ მანიპულირებას.

2020 წელს ყარაბაღში განვითარებული მოვლენებს შედეგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში შეიცვალა ძალთა ბალანსი რუსეთის სასარგებლოდ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შესაბამისად, თურქეთისა და რუსეთის სამხედრო ძალებს უნდა ეთამაშათ სამშვიდობო ქვედანაყოფების როლი, თუმცა, რუსეთმა მოახერხა საკუთრი ინტერესების გატარება და კონტიგენტი 2000 სამხედრო მოსამსახურით გაზარდა. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ნაბიჯით მან სამხედრო ბაზა სომხეთის გარდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც განათავსა, რასაც წარმატებით გამოიყენებს აზერბაიჯანისა და სომხეთის წინააღმდეგ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ნატოს საკუთარი ინტერესები გააჩნია. ზოგადად, კავკასიაში დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკის მთავარი ფაქტორი რეგიონში არსებული ნავთობი და გაზის რესურსებია, მათ შორის მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე კონტროლი. (ბულისკირია 2020, 23-24). ნატოს მიზნების განხორციელებისთვის რეგიონში პარტნიორ ქვეყნად მიჩნევა საქართველო, რადგან იგი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მკაფიოდ აქვს გაცხადებული ევროპული საგარეო პოლიტიკური კურსი და მიზანდასახულად მიისწრაფის ნატოში ინტეგრაციისკენ. მოცემული ვითარების გათვალისწინებით, ყარაბაღის 2020 წლის ომის შემდეგ რუსეთის პოზიციების გაძლიერება რეგიონში, საგანგაშოა საქართველოს ევრო-ატლანტიკური პოლიტიკური კურსისთვის.

,,საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატო-ს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში'' (საგარეო საქმეთა სამინისტრო 2014). ზემოაღნიშნულ ციტატაში ნათლად არის გამოხატული საქართველოს დამოკიდებულება ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საქართველო 1992 წლიდან თანამშრომლობს ნატოსთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში დაძაბული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ედუარდ შევარდნაძემ მაინც მოახერხა ნატოსთან თანამშრომლობაში პირველი ნაბიჯების გადადგმა. 2002 წლის პრაღის სამიტზე

საქართველომ გააკეთ ოფიციალური განაცხადი ნატოში გაწევრიანებასთნ დაკავშირებით. ქართული სახელმწიფოს სწრაფვას ნატოსკენ ახალი სიცოცხლე შესძინა ,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე ახალმა ხელისუფლებამ. საქართველოს მიზანმიმართული სვლა ნატოსკენ არ შედიოდა რუსეთის რეგიონალურ ინტერესებში. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, ალიანსის მხრიდან მიღებულ იქნა კომუნიკე სადაც გაიწერა, რომ საქართველო და უკრაინა გახდებოდნენ ალიანსის წევრი ქვეყნები. ნატო-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები რუსეთისთვის უკვე შემაშფოთებელი გარემოება იყო. ბუქარესტის სამიტზე მიღებულმა კომუნიკემ და კოსოვოს აღიარებამ რუსეთის კიდევ მეტად გაღიზიანება გამოიწვია, შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა რუსეთის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. იგივე სცენარი განმეორდა სომხეთთან მიმართებაშიც. სომხეთში რევოლუციურად მოსულმა ხელისუფლებამ გამოხატა დასავლეთის მიმართ ინტერესი და პასუხად მიიღო გაყინული კონფლიქტის ესკალაცია, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ომის შედეგად სომხეთი დასჯილ და წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩდა.

აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ რუსეთი მწვავედ რეაგირებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების დასავლეთისკენ სწრაფვის სურვილზე. მომხდარი მოვლენების სიმძაფრემ გამოავლინა, თუ, როგორ ახდენს გავლენას რუსეთი პატარა ქვეყნების პოლიტიკური ვექტორის ცვლილებაზე, რადგან ევროპული ღირებულების მატარებელი სახელმწიფო, რომელიც დაცული იქნება ნატოს ქოლგის ქვეშ, პრობლემური საკითხი გახდება მისი რეგიონალური ამბიციებისთვის.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობლემას უქმნის საქართველოს სუვერენიტეტსა და დასავლური ღირებულებებით ქვეყნის განვითარების პერსპექტივას. ამ რთულად პროგნოზირებად ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც რუსეთი მოქმედებს ერთპიროვნულად და იყენებს სამხედრო ძალას რეგიონის ქვეყნების წინააღმდეგ, საქართველოს ევროპული მომავალი არის ნატოში გაწევრიანება, რადგან ნატო არის უსაფრთხოების და განვითარბის გარანტი.

საქართველომ ნატოში გაწევრიანების ოფიციალური განაცხადი 2002 წლის პრაღის სამიტზე გააკეთა. განაცხადის გაკეთებიდან დღემდე ქვეყანამ შეასრულა ნატოს სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე ინტენსიურად მონაწილეობდა ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში, თუმცა, ნატოს კარი საქართველოსთვის ჯერ კიდევ დაკეტილია. რა არის ამის მიზეზი? ალიანის გაფართოების პროცესს თუ გადავხედავთ, შეიძლება საკამათო იყოს აკმაყოფილებს თუ არა ყველა სახელმწიფო ნატოში გაწევრიანებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს. თუმცა, მათ აქვთ ერთი და გადამწყვეტი უპირატესობა, გეოპოლიტიკური მდებარეობა. რადგან გეოპოლიტიკური მდებარეობა გახდა გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან მიმართებაში. გავრცელებულ მოსაზრების მიხედვით ნატოში გაწევრიანების ერთადერთ გზად რუსეთის დასუსტება სახელდება. როცა რუსეთი ვერ შეძლებს სამხედრო წინააღმდეგობის გაწევასა და ვერ მოახდენს ენერგო რესურსებით მანიპულირებას ნატოს წევრი ქვეყნების მიმართ. კითხვის პასუხად უნდა ითქვას, რომ სწორედ გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ შეაფერხა საქართველო ნატოში ინტეგრაციის გზაზე. სწორედ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო შეიქმნა ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებიც თვის ტკივილი გახდება ნატოსთვის საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში.

წარმოჩენილი პრობლემების მიუხედავად, გაჟღერდა ნატოში გაწევრიანების განსხვავებულ მიდგომა, რომელიც შესაძლოა რეალური და ერთადერთი გზა იყოს საქართველოს მსგავსი პრობლემების მქონე ქვეყნისთვის. ამ მოსაზრების ავტორი ლუკ კოფი განმარტავს. ,,ნატოს წევრ ქვეყანათა ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთთან ომს გამოიწვევს. ამავე დროს, საქართველოს ოფიციალური პირები კერძო საუბრებში არ მალავენ, რომ მზად არიან ნატოში გაწევრანებისთვის კომპრომისზე წასასვლელად. ასეთი კომპრომისი იქნებოდა ნატოს წესდების მე-5 მუხლის დროებითი შეჩერება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე'' (კოფი 2018, 9). ამ მიდგომის შესაბამისად, როგორც კი მოხდება ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია მე-5 მუხლი გავრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. იგივე მოსაზრებას ადასტურებს ნატოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი ადმირალი სტავრიდისი. „ნატო-ს იმაში დარწმუნება, რომ ალიანსი საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებაში დაეხმაროს, ძალიან რთული იქნება. თუმცა, თუ ტერიტორიების დაბრუნება ნატო-ს მოქმედებების ფუნდამენტური პოზიცია არ იქნება, ეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას გააადვილებს.“ (ანთაძე 2020, 1)

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული მოდელი უკვე გამოყენებულ იქნა 1955 წელს, როდესაც დასავლეთ გერმანია გახდა ნატოს წევრი და ამ პროცესმა ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანების. აქ გასათვალისწინებელია გერმანიის გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც საკითხის გადაწყვეტას საგრძნობლად ამარტივებს. ამ მაგალითის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანება საბჭოთა კავშირის დაშლამ

გამოიწვია, მაგრამ ფაქტია, დასავლეთ გერმანიის სწრაფმა განვითარებამ მოახდინა უდიდესი გავლენა გაერთიანების პროცესზე. თუ პარალელს გავავლებთ საქართველოსთან მიმართებაში, ნატოში გაწევრიანებას შეუძლია საქართველოს ძლიერი და ევროპული სტილის ქვეყანად ჩამოყალიბება, შესაბამისად, გაჩნდება ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი დეოკუპაციის შესაძლებლობა.

ამ ასპექტში შესაძლებელია გაჩნდეს შიში ოკუპირებული ტერიტორიების საბოლოოდ დაკარგვასთან დაკავშირებით, თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის გარდა სახელმწიფო დგას უდიდესი პრობლემის წინაშე - რეგიონში რუსული ნარატივისა და სამხედრო ძალის გაძლიერების გამო. ,,საქართველოს მთავარი ავტობანის ერთ-ერთი მონაკვეთიდან სულ რაღაც 300 მეტრში მიმდინარეობს ე.წ. „ბორდერიზაციის“ კიდევ ერთი უკანონო პროცესი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ზოგადად, უსაფრთხოების სისტემა მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშეა. სამხედრო ბალანსისა და სტრატეგიული მოკავშირეების თვალსაზრისით, საქართველო რეგიონალური აუტსაიდერია. შიდა პოლიტიკური სტაბილურობა კი შორს არის სასურველისგან''. (ანთაძე 2020, 3). ეს მოცემულობა საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას და შესაძლებელია საქართველომ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბედი გაიზიაროს. შესაბამისად, ამ საფრთხის თავიდან არიდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ საქართველო გახდება ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებისა და ევროპული სამყაროს წევრი.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. დიდია იმის ალბათობა, რომ განხორციელდეს საინფორმაციო პროპაგანდისტული კამპანია მედიის, პრესისა და ინტერნეტის გამოყენებით, რაც გამოიწვევს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. გამომდინარე აქედან, მნშვნელოვანია საწყის ეტაპზე მოხდეს მოსახლეობის სწორად და სარაფად ინფორმირებულობა ნატოში გაწევრიანების ახალი მოდელის შესახებ. მოსახლეობის ყველა ფენისთვის ნათლად უნდა იქნეს განმარტებული თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნის განვითარებისთვის ახალ მიდგომას, მიუხედავად რისკების არსებობისა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ზემოთ აღწერილი პროცესის განხორციელება არ იქნება მარტივად გადასაჭრელი ამოცანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ოკუპირებული ტერიტორიების სტატიკურ/გაყინულ მდგომარეობას და ნატოში გაწევრიანების ტრადიციული გზის არაეფექტურობას, რომელიც ორი ათეული წელია წარუმატებლად გრძელდება და დასასრული არ უჩანს რუსეთის გავლენის გამო, ლოდინის რეჟიმში ყოფნამ შესაძლოა საქართველოს ფატალური შედეგები მოუტანოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და საერთოდ გაქრეს ნატოს ინტერესის რუკიდან. რეგიონში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, შემოთავაზებული მოდელი ნამდვილად კარგი საშუალებაა ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანისა და სწორად განვითარებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მოხდეს პოლიტიკური კონსესუსის მიღწევა და საკითხის ძირეულად შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე, გიორგი. (2020), ჯეოქეისი. ნატო-ში გაწევრიანება და საქართველოს „დიდი სტრატეგია. 6 სექტმბერი, https://bit.ly/3AR51k4 (გადამოწმებულ იქნა 15.10. 21);
2. ბულისკირია, ბაბილინა. (2020), ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლი სამხრეთ კავკასიაში - თანამშრომლობის გეოპოლიტიკური ასპექ. სამაგისტრო ნაშრომი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, https://openscience.ge/handle/1/2079 (გადამოწმებულ იქნა 15.10. 21);
3. კოფი, ლუკ. (2018), heriTijis fondis. საქართველოს ნატოშ გაწევრიანება ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ინტერესებშია. 28 იანვარი;
4. რონდელი, ალექსანდრე. (2009), პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისიტემაში. საქართელოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლეევის ფონდი. თბილისი;
5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2014). საქართველო ნატო-ს ურთიერთობები, https://bit.ly/3ALKCMU, (გადამოწმებულ იქნა 15.10. 21).

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
ISBN 978-9941-8-4117-0